



ოკულტური და რელიგიური ჟურნალის

აკოკრიტიკი

საქართველში

მეცნიერების რელიგია ჯადოსნური

№9, ივნისი, 2015 e.v.



ოკულტური და რელიგიური ჟურნალის
აპოკრიფი
საქართველოში

№ 9.
ივნისი, 2015 e.v.

პროექტი დაარსებულია 2003 წელს.
ქართულ ენაზე გამოდის 2013 წლის სექტემბრიდან.

მთავარი რედაქტორი: Fr. Nyarlathotep Otis (ადრიანოვი რ. ო.)
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში: Kasandra

ინტერნეტი:

ქართულ ენაზე: <http://apokrif93.com/gruziya/>, <http://vk.com/apokrif93geo>
რუსულ ენაზე: <http://apokrif93.com>, <http://vk.com/apokrif93>

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

ჯურნალი გამოიცემა — <http://imago-666.livejournal.com> — ის მხარდაჭერით.

© ჟურნალი «აპოკრიფის» რედკოლექცია და ავტორები, 2015

თბილისი
თეორი მაიმუნის ორდენი



შინაარსი

№ 9. ივნისი 2015 e.v.

აპოკრიფი, №90 (მაისი 2015):

ქარტია საერთაშორისო საზოგადოებრივი,
ოკულტურ-რელიგიური მიმოხილვის ჟურნალი «აპოკრიფის»
ავტონომიური განყოფილების შესაქმნელად ქართულ ენაზე..... 6

ახალი აღთქმა:

თომას სახარება 8
მარიამის სახარება..... 19
სიკვდილი მართლისა: პონტოელი პილატეს ცოლის
წერილი თავის მეგობარმეგობარ ქალთან..... 22

ბჰაგავატ გიტა:

(1) თავი პირველი 32
(2) თავი მეორე. გიტას მოკლე შინაარსი 35
(3) თავი მესამე. კარმა იოგა 40
(4) თავი მეოთხე. ტრანსცენდენტული ცოდნა 44
(5) თავი მეხუთე. კარმა იოგა — მოქმედება კრიშნას ცნობიერებაში 47
(6) თავი მეექვსე. დჰიანა — იოგა 50
(7) თავი მეშვიდე. აბსოლუტის ცოდნა 53
(8) თავი მერვე. უზენაესის მიღწევა..... 56
(9) თავი მეცხრე. ყველაზე საკრალური ცოდნა 58
(10) თავი მათე. აბსოლუტის სიდიადე 61
(11) თავი მეთერთმეტე. სამყაროსეული ფორმა..... 64
(12) თავი მეორმეტე. ერთგული სამსახური 69
(13) თავი მეცამეტე. ბუნება განმცხრომელი და ცნობიერება 71
(14) თავი მეოთხმეტე. მატერიალური ბუნების სამი მოდუსი..... 73
(15) თავი მეხუთმეტე. უზენაესი პიროვნების იოგა..... 75
(16) თავი მეექვსმეტე. ღვთაებრივი და დემონური ბუნებანი..... 77
(17) თავი მეჩვიდმეტე. რწმენის ნაირსახეობანი 79
(18) თავი მეთვრამეტე. განდევილობის სრულქმნა..... 81

ანტონ შანდორ ლავეი:

სატანის 9 მცნება..... 90
დედამიწაზე ცხოვრების 11 სატანისტური წესი 90
სატანისტური ცოდვები 91

ვამპირის ხელოვნება:

ვამპირის ხელოვნება: ბილიკები..... 94

ჰენარო

სალონი «კასანდრა» 109



*იუმორისა და საღი აზრისთვის!
გააკეთე რაც გსურს — გსურდეს შეუძლებელი!*

*ჟურნალისა და მისი ცალკეული მატერიალის
კოპირება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ მითითებულია წყარო და ჟურნალის ელექტრონული მისამართი.*

რედაქციის აზრი შეიძლება არ დამეთხვეს ავტორისას.

*რედაქცია იტოვებს უფლებას
უარი თქვას მატერიალის გამოქვეყნებაზე მიზეზის აუხსნელად.*

გამოცემისთვის მზადება
დასაწყისი 02.04.2015 წ.

გამოცემა გამოშვებულია
01.06.2015 წ.

ინტერნეტი:

ქართულ ენაზე: <http://apokrif93.com/gruziya/>, <http://vk.com/apokrif93geo>

რუსულ ენაზე: <http://apokrif93.com>, <http://vk.com/apokrif93>

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

ჯურნალი გამოიცემა — <http://imago-666.livejournal.com> — ის მხარდაჭერით.

ანგარიში სისტემაში Яндекс.Деньги: 41001416643125

ანგარიშები სისტემაში WebMoney: Z318373604178, E263825672387, R412990927571,
U141526320068, B411510488425, G198524212114

ტელეფონის ნომერი: 89632921917

რუსეთის ზბერბანკის კარტა: 67619600 0475725116

რუსეთის ზბერბანკის რეკვიზიტები:

Калининградское ОСБ № 8626/01236

ИНН 7707083893 БИК 042748634 КПП 390602001

к/сч 30101810100000000634 р/сч

47422810920009902000

Назначение платежа: Адрианову Роману

Олеговичу,

лицевой счёт № 4230781082001344693448


მისამართი საფოსტო გზავნილებისთვის:

236022, Калининград, ул. Нарвская, д. 17, кв. 11,

Адрианову Роману Олеговичу



თქვენ მოგესალმებათ პირველი pdf-ჟურნალი
მაგიაზე, ოკულტიზმზე, ეზოტერიკაზე და თეოლოგიაზე
ქართულ ენაზე — ჟურნალი «აპოკრიფი»!
ჩვენ ვიბეჭდებით 2003 წლიდან რუსულ ენაზე,
ხოლო ახლა, გამოვიდა ჟურნალი «აპოკრიფის»
ქართულენოვანი ვერსია.
სასიამოვნო კითხვას გისურვებთ!



[აპოკრიფი, №90 \(მაისი 2015\)](#)





ქარტია
საერთაშორისო საზოგადოებრივი,
ოკულტურ-რელიგიური მიმოხილვის
ჟურნალი «აპოკრიფის»
ავტონომიური განყოფილების შესაქმნელად
ქართულ ენაზე




ნამდვილი ქარტია ეძლევა **Kasandra** (<http://imago-666.livejournal.com>, ქ. თბილისი), — ს იმასზედ რომ იგი წარმოადგენს ოკულტურ-რელიგიურ ჟურნალ «აპოკრიფს»-ს საქართველოში. უფლებამოსილება ენიჭება წარმოადგინოს ჟურნალის ინტერესები ქართულ ენაზე საქართველოში. აგრეთვე:

- დამოუკიდებლად (მთავარ რედაქტორთან შეთანხმების და კონსულტაციის შემდგომ) დაამატოს, განავრცოს, დაამუშავოს და თარგმნოს ქართულ ენაზე გამოსაცემი ჟურნალის ნომრისთვის;
- მიიღოს მონაწილეობა ჟურნალის ოფიციალურ მიმართვაში;
- მოიძიოს და დაიხმაროს კორექტორები, მთარგმნელები და ავტორები და ა.შ.;
- დადოს ხელშეკრულებები სხვადასხვა გამომცემლობებთან, ჟურნალ «აპოკრიფის» ბეჭდური ვარიანტის გამოსაცემად;
- მთავარი რედაქტორის თანხმობის შემდგომ — გააკეთოს განცხადება ქართულ ენოვან სივრცეში ჟურნალის სახელით;
- განახორციელოს მოღვაწეობა ოკულტური ცოდნის გავრცელებაში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ჟურნალ «აპოკრიფის» საბაზისო პრინციპებს (ანუ: გამჭვირვალება შემეცნებითი მასალების გავრცელებაზე, არადოგმატური და ა.შ. რომელიც იქნება წინასწარ შეთანხმებული ჟურნალის მთ. რედაქტორთან).

ქარტიის უკან გაწვევა, ჩასწორება ან გადაცემა შესაძლებელია ცალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მთ. რედაქტორთან; ქარტიის მოქმედება, გადაცემა, უკან გაწვევა ან ჩასწორება ძალაში შედის ოფიციალურ რესურსზე ჟურნალის გამოქვეყნების შემდგომ.

ელიას ოტის — ჟურნალის მთ. რედაქტორი





ახალი აღთქმა



თომას სახარება

ეს საიდუმლო სიტყვებია, რომელიც თქვა ცოცხალმა იესომ და, რომლებიც ჩაიწერა დიდძალად იუდა თომამ. და მან თქვა: ვინც მიხვდება ამ სიტყვების მნიშვნელობას, ის არ შეიგრძნობს სიკვდილს.


1. იესომ თქვა: დაე ვინც ეძებს, არ შეწყვიტოს ძიება, ვიდრე არ ჰპოვებს, და რაჟამს ჰპოვებს, იქნება შეძრწუნებული. და თუ ის შეძრწუნებულია, ის იქნება გაოცებული, და იმეფებს ყველასა ზედა.
2. იესომ თქვა: თუკი წინამძღვარნი გუბნებიან: იხილეთ სასუფეველი ზეცაშია! — იცოდეთ, ჩიტები უკან მოგიტოვებენ. თუ გეტყვიან, რომ იგი ზღვაშია, მაშინ თევზები იქნებიან უპირველესნი. ჭეშმარიტად, სასუფეველი თქვენშია და თვინიერ თქვენდა.
3. რაჟამს შეიცნობთ საკუთარ თავს, თქვენ მოიპოვებთ სიბრძნეს და მიხვდებით, რომ ცოცხალი მამის შვილები ხართ. ხოლო თუკი ვერ შეიცანით საკუთარი თავი, მაშინ იცხოვრებთ სილატაკეში და იქნებით ღატაკნი.
4. იესომ თქვა: ხანში შესული ადამიანი უყოყმანოდ ჰკითხავს შვიდი დღის ჩვილს სიცოცხლის ადგილის შესახებ, და ის იცოცხლებს. რამეთუ ბევრნი პირველნი უკანასკნელნი იქნებიან, ხოლო უკანასკნელნი — პირველნი, და იქნებიან ერთხორცნი.
5. იესომ თქვა: შეიცანი ის, რაც (ან ვინც) შენს თვალწინაა, და ის (ან ვინც), რაც დაფარულია შენგან, თვალსაჩინო გახდება შენთვის. ვინაიდან არაფერია (ან არავინ) დაფარული, რომ არ გამოჩნდეს. (და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს.)
6. მოწაფეები ეკითხებოდნენ მას; მათ უთხრეს: გინდა, რომ ჩვენ ვიმარხულოთ? როგორ გვმართებს ლოცვა, როგორ გავცეთ მოწყალება და, როგორ შევიკავოთ თავი საკვებისაგან? იესომ თქვა: ნუ ცრუობთ და ნუ აკეთებთ იმას, რაც თქვენთვის საძულველია, რადგან ყოველივე ნათელია ზეცის წინაშე. რამეთუ არ არის საიდუმლო, რომ არ გამოჩნდეს, და არა არის არაფერი იდუმალი, რომელიც დარჩება ამოუხსნელი.
7. იესომ თქვა: ნეტარია ლომი, რომელსაც ადამიანი შეჭამს, და ლომი ადამიანად იქცევა. და წყეულია ის ადამიანი, რომელსაც ლომი შეჭამს, და ლომი ადამიანად იქცევა.
8. და მან ღქვა: ადამიანი წააგავს ბრძენ მეთევზეს, რომელმაც თავისი ბადე ზღვაში ისროლა. გამოიტანა ზღვიდან წვრილი თევზებით გავსებული სათხეველი; მათ შორის ბრძენმა მეთევზემ დიდი (და) კარგი თევზი იპოვა. მან წვრილი თევზები ზღვაში გადაყარა, მან უყოყმანოდ აირჩია დიდი თევზი. მას ვისაც ყურები აქვს მოსამენად, დაე ისმინოს!
9. თქვა იესომ: აი, გამოვიდა მთესველი, აივსო ხელი მარცვლებით და მიმოაბნია (თესლი). მაგრამ ზოგი გზის პირას დავარდა, მოფრინდნენ ფრინველები და აკენკეს ისინი. ზოგი ქვაზე დავარდა, ფესვი ვერ გაიდგა მიწაში, და თავთავი



- ვერ აღმართა ზეცისკენ. და ზოგი დავარდა ეკლებში, მათ მოაშთეს თესლი და მატლებმა შეჭამეს ისინი. ზოგი კი ჩავარდა კეთილ მიწაში და კეთილი ნაყოფი გამოიღო ზეცაში. ამან მოიტანა სამოცი ზომა ერთზე და ას ოცი ზომა ერთზე.
10. იესომ თქვა: მე ჩავაგდე ცეცხლი ქვეყანაზე, და აი მე ვიცავ მას, ვიდრე იგი არ აგიზგიზდება.
 11. იესომ თქვა: ეს ცა გარდაივლის, და ის, რაც მის ზევითაა, გარდაივლის, და ისინი, რომლებიც მკვდრები არიან, არ არიან ცოცხლები, და ისინი ვინც ცოცხლები არიან, არ მოკვდებიან.
 12. (იმ) დღეებში თქვენ ჭამდით მკვდარს, თქვენ ჰყოფდით მას ცოცხალს. როდესაც თქვენ აღმოჩნდებით ნათელში, რას გააკეთებთ? ამ დღეს თქვენ — ერთი, თქვენ გახდით ორნი. როცა თქვენ გახდებიტ ორნი რას გააკეთებთ?
 13. მოწაფეებმა უთხრეს იესოს: ჩვენ ვიცით, რომ შენ წახვალ ჩვენგან. ვინ არის ის, რომელიც იქნება ჩვენზე უმეტესი? იესომ უთხრა მათ: იმ ადგილას სადაც თქვენ მოხვედით, თქვენ წახვალთ იაკობ მართალთან, ვის გამოც შეიქმნა ცა და მიწა.
 14. იესომ უთხრა თავის მოწაფეებს: მიმამსგავსეთ მე, მითხარით მე, ვის ვგავარ. სიმონ პეტრემ უთხრა მას: შენ სამართლიან ანგელოზს ჰგავხარ. მათემ უთხრა მას: შენ ბრძენ ფილოსოფოსს ჰგავხარ. თომამ უთხრა მას: მოძღვარო, ჩემი ბაგენი ვერაფრით წარმოთქვამენ, ვის ჰგავხარ შენ. იესომ თქვა: მე არ ვარ შენი მოძღვარი, რამეთუ შენ შესვი, შენ წყურვილი მოიკალი მდუღარე წყაროდან, რომელიც მე ავრწყი.
- და მან მოკიდა ხელი, გაიყვანა იგი (და) უთხრა მას სამი სიტყვა. როცა თომა დაბრუნდა თავის ამხანაგებთან, მათ ჰკითხეს მას: რა გითხრა შენ იესომ? თომამ უთხრა მათ: თუ მე გეტყვით თქვენ ერთს იმ სიტყვებიდან, რომლებიც მან მითხრა მე, თქვენ აირებტ ქვებს, ისვრით (მათ) ჩემსკენ, ქვებიდან ცეცხლი გამოვა (და) დაგწვავთ თქვენ.
15. იესომ თქვა: თუ თქვენ მარხულობთ, თქვენ ცოდვას ბადებთ თქვენში, და, თუ თქვენ ლოცულობთ, თქვენ განიკითხებით, და, თუ თქვენ მოწყალებას არიგებთ, თქვენ ავნებთ თქვენს სულს. თუ თქვენ რომელიმე რაიონში და ქალაქშიც შეხვალთ და შეგიწყნარებენ, ჭამეთ, რაც შემოგტავაზონ. განკურნეთ მატ შორის სნეულნი. იცოდეთ: ის, რაც შევა თქვენ ბაგეებში, არ წაგბილწავთ თქვენ.
 16. იესომ თქვა: რაჟამს დაინახავთ კაცს, რომელიც ქალისგან არ არის ნაშობი, პირქვე დაემხეთ (და) თაყვანი ეცით მას: ის — თქვენი მამაა.
 17. იესომ თქვა: იქნებ, ხალხს ჰგონია, თითქოს ქვეყანაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი და არ იციან, რომ მიწაზე გათიშულობის, ცეცხლის, მახვილის, ომის მოსატანად მოვედი. რამეთუ ხუთნი გაიყოფიან ერთ სახლში: სამნი იქნებიან ორის წინააღმდეგ და ონი სამის წინააღმდეგ. მამა მის წინააღმდეგ და ძე მამის წინააღმდეგ, და ისინი იდგებიან როგორც ერთადერთნი...



18. იესომ თქვა: მე მოგცემთ იმას, რაც თვალს არ უნახავს, და იმას, ყურით არ სმენილა, და იმას, რასაც ხელი არ შეხებია, და იმას, რაც კაცის გულს არ შეუგრძნია.
19. მოწაფეებმა უთხრეს იესოს: გვამცნე ჩვენ, როგორი იქნება ჩვენი აღსასრული. იესომ თქვა: მიაგენით კი დასაბამს, რომ დასასრული ეძიოთ? რამეთუ იმ ადგილას, სადაც დასაწყისია, იქ იქნება დასასრულიც. ნეტარია ის, ვინც დასაწყისში იდგება: და ისდ შეიცნობს დასასრულს, და ის ვერ შეიგრძნობს სიკვდილს.
20. იესომ თქვა: ნეტარია ის, ვინც მანამ მოვიდა სიცოცხლეში, ვიდრე მოვიდოდა სიცოცხლეში.
21. თუ თქვენ ჩემი მოწაფეები ხართ (და) ისმენთ ჩემს სიტყვებს, ეს ქვები მოგემსახურებიან თქვენ.
22. რამეთუ თქვენ ხუთი ხე გაქვთ სამოთხეში, რომლებიც არ იძვრიან არც ზაფხულში არც ზამთარში, და მათ არ ცვივა ფოთლები. ის, ვინც შეიცნობს მათ, ვერ შეიგრძნობს სიკვდილს.
23. მოწაფეებმა უთხრეს იესოს: გვითხარი, რისი მსგავსია ცის სასუფეველი. მან უთხრა: ის წაგავს მდოგვის მარცვალს, უმცირესს ყველა თესლს შორის. რაჟამს ის დავარდება დამუშავებულ მიწაზე, იგი დიდ ხედ იქცევა (და) ცის ფრინველების თავშესაფარი ხდება.
24. მარიამმა უთხრა იესოს: ვის ჰგვანან შენი მოწაფეები? მან თქვა: ისინი ჰგვანან პატარა ბავშვებს, რომლებიც სხვის მინდორში დგანან. როცა ყანის პატრონები მოვლენ, იტყვიან: მოგვეცით ჩვენი ყანა. ისინი გამოაშკარავდებიან მათ წინაშე, რათა დაუტოვონ ეს და მისცენ მათ თავიანთი ყანა.
25. ამიტომ მე ვამბობ: თუ სახლის პატრონმა იცის, რომ მოდის ქურდი, იგი მანამდე იფხიზლებს, ვიდრე იგი არ მოვა, და იგი არ მისცემს ქურდს ნებას შეაღწიოს მის სახლში, რათა წაიღოს მისი ნივთები. თქვენ კი იფხიზლეთ ქვეყნის წინაშე, ქამარი შემოირტყით წელზე მთელი ძალით, რათა ყაჩარებმა ვერ იპოვონ თქვენსკენ მომავალი გზები. რამეთუ მადლს, რომელსაც თქვენ ელით, იპოვით.
26. დაე იყოს თქვენს შორის ბრძენი კაცი! რაჟამს ნაყოფი დამწიფდა, ადრეულად მოვიდა ნამგლით ხელში, (და) მოიმკა მოსავალი. ვისაც ყურები აქვს, დაე ისმინოს!
27. იესომ დაინახა ჩვილი ბავშვები, რომლებიც ძუძუს სწოვდნენ. მან უთხრა თავის მოწაფეებს: ეს ბავშვები იმათ ჰგვანან, ვინც საუფეველს იმკვიდრებს. მათ ჰკითხეს: რა გამოდის, თუ ჩვენ ჩვილი ბავშვები ვართ, სასუფეველში მოვხვდებით? იესომ მიუგო: როცა თქვენ ორს ერთხორცად ჰყოფთ, და რაჟამს თქვენშექმნიტ შიგნითა მხარეს გარეგანის მსგავსად, და გარეთა მხარეს შიგნითას მსგავსად, და ზედა მხარეს ქვედა მხარის მსგავსად, და, რაჟამს ქალსა და კაცს ერთარსებად გახდით, რათა კაცი არ იყოს კაცი და ქალი არ იყოს ქალი, როცა თქვენ შექმნით თვალს თვალის მაგიერ, და ხელს ხელის



- მაგიერ, და, ფეხს ფეხის მაგიერ, სახეს სახის მაგიერ, მაშინ თქვენ შეხვალთ (სასუფეველში).
28. იესომ თქვა: მე არ ამოვარჩევ ერთ თქვენგანს ათასში და ორს — ათი ათასში, და ისინი ერთსახად იდგებიან.
 29. მოწაფეებმა უთხრეს: გვაჩვენე ადგილი, სადაც ხარ, რამეთუ ჩვენთვის აუცილებელია მისი პოვნა. მან უთხრა: მას, ვისაც ყურები აქვს, დაე ისმინოს! არის ნათელი ადამიანი ნათელის შიგნით, და ის ანათებს მთელ ქვეყანას. თუ არ ანათებს, მაშინ — უკუნეთია.
 30. იესომ თქვა: გიყვარდეს შენი ძმა, როგორც სული შენი. თვალისჩინივით გაუფრთხილდი მას.
 31. იესომ თქვა: შენი ძმის თვალში ბეწვს ხედავ, ხოლო საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავ. როდესაც შენი თვალიდან დირეს ამოიღებ, მაშინ დაინახავ, როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან.
 32. თუ თქვენ არ მარხულობთ ქვეყნისგან, თქვენ ვერ იპოვით სასუფეველს. თუ შაბათს არ ყოფთ შაბათად, ვერ იხილავთ მამას.
 33. იესომ თქვა: მე დავდექი ქვეყნის შუაგულში, და მათ ხორციელად მოვევლინე. მე ვიპოვე ყველანი ისინი მთვრალეები, მე ვერავინ ვნახე მათ შორის მწყურვალი, და სევდამ მოიცვა ჩემი სული კაცთა შვილების გამო. რადგან ისინი ბრმები არიან თავიანთ გულში და ისინი ვერ ხედავენ, რომ ქვეყანაში მოდიან დაცლილები; ისინი მიილტვიან კვლავ გამოფიტულები წავიდნენ ქვეყნიდან. მაგრამ, ამჟამად ისინი მთვრალეები არიან. როცა ისინი უარყოფენ ღვინოს, მაშინ ისინი მოინანიებენ.
 34. იესომ თქვა: თუ ხორცი იშვა სულისათვის, ეს — საოცრებაა. თუ სული იშვა ხორცისათვის, ეს — საოცრებათა საოცრებაა. მაგრამ მე მაკვირვებს, როგორ თავსდება ეს უზარმაზარი სიმდიდრე ამ სილატაკეში.
 35. იესომ თქვა: სადაც სამი ღმერთია, იქ ღმერთებია. სადაც ორი ან ერთი ღმერთია, მე მათთან ვარ.
 36. იესომ თქვა: არც ერთი წინასწარმეტყველი არ არის მიღებული თავის სოფელში. ექიმი არ წამლობს მათ, ვინც მას იცნობს.
 37. იესომ თქვა: მთის წვერზე აშენებული, გამაგრებული ქალაქი, ვერ დაინგრევა და ვერ იქნება დაფარული.
 38. იესომ თქვა: რასაც შენი ყურით მოისმენ, ერდოებზე იქადაგე. რამეთუ არავინ დადგამს ანთებულ სანთელს ჭურჭლის ქვეშ, ან დაფარულ ადგილას, არამედ სასანთლეზე დადებს, რათა შემსვლელმა და გამომსვლელმა იხილოს მისი სინათლე.
 39. იესომ თქვა: უკეთუ ბრმის მეგზური ბრმაა, ორივე ორმოში ჩავარდება.
 40. იესომ თქვა: როგორ შეძლებს ვინმე, შევიდეს ძლიერის სახლში და ძალით გამარცვოს იგი, თუ ჯერ ძლიერს არ გათოკავს. და (მხოლოდ) მაშინ გამარცვავს მის სახლს.

41. იესომ თქვა: ნუ იზრუნებთ დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე, თუ რითი შეიმოსოთ.
42. მოწაფეებმა თქვეს: როდის გამოგვეცხადები და, რომელ დღეს გიხილავთ შენ? იესომ თქვა: როცათქვენ გაშიშვლდებით და არ დაირცხვენთ და აიღებთ სამოსს, დაილაგებთ ფეხებთან და ბავშვების მსგავსად გათელავთ მათ, მაშინ (იხილავთ) იმის ძეს, ვინც ცოცხალია, და თქვენ არ შეშინდებით.
43. იესომ თქვა: თქვენ მრავალჯერ გასურდათ მოგესმინათ ეს სიტყვები, რომლებსაც გეუბნებით. და არ გყავთ სხვა, ვისგანაც (შეგიძლიათ) მათი მოსმენა. დადგება ჟამი, როცა ძებნას დამიწყებთ, მაგრამ ვერ მიპოვით.
44. იესომ თქვა: ფარისევლებმა და მწიგნობრებმა მისაკუთრეს ცოდნის გასაღებები. გადამალეს ისინი და არც თავად შევიდნენ და არც შესვლის მსურველებს მისცეს ნება. თქვენ კი, იყავით ბრძენნი, ვითარცა გველნი, და სუფთანი, ვითარცა მტრედნი.
45. იესომ თქვა: ვაზის ნერგი მამის გარეშე დაირგო და მან ვერ იხარა. მას ამოძირკვავენ (და) ის დაიღუპება.
46. იესომ თქვა: მქონებელს ყველას მიეცემა, ხოლო უქონელს ისიც წაერეთმევა, რაც აქვს.
47. იესომ თქვა: იყავით გამვლელნი.
48. მოწაფეებმა უთხრეს მას: ვინ ხარ შენ, რომელიც ამას გვეუბნები? (იესომ უთხრა მათ): იქიდან გამომდინარე, რასაც გეუბნებით, ვერ ხვდებით ვინ ვარ? მაგრამ თქვენ იუდეველებს დაემსგავსეთ, ვინაიდან მათ უყვართ ხე (და) სძულთ მისი ნაყოფი, მათ უყვართ ნაყოფი (და) სძულთ ხე.
49. იესომ თქვა: ვინც სიტყვას იტყვის მამის წინააღმდეგ, მიეტევება მას, და ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას. მაგრამ თუ ვინმე იტყვის სულიწმინდის წინააღმდეგ, არ მიეტევება მას არც ამქვეყნად, არც ზეცაში.
50. იესომ თქვა: ეკლის ბუჩქიდან ყურძნის მოსავალს არ იღებენ და ბირკავიდან ლედვს არ კრეფენ. ისინი ნაყოფს არ იძლევიან. კეთილ კაცს თავისი საუნჯიდან სიკეთე გამოაქვს. ბოროტ კაცს სიავე გამოაქვს თავისი გულის უგვანი საგანძურიდან (და) უკეთურებას ამბობს, რამეთუ გულის სავსებიდან მას გამოაქვს უვარგისი.
51. იესომ თქვა: ადამიდან მოყოლებული იოანე ნათლისმცემლამდე, დედაკაცთაგან შობილთა შორის არ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე დიდი. (...) მაგრამ მე ვთვით: თქვენგან უმცირესი დაიმკვიდრებს სასუფეველს და იოანეზე მეტად ამაღლდება.
52. იესომ თქვა: შეუძლებელია ადამიანი ორ ცხენზე შეჯდეს, ორი მშვილდი მოზიდოს და, შეუძლებელია მონა ორ ბატონს ემსახუროს: იგი ერთს პატივით მოეპყრობა და მეორეს უპატივცემულოდ. არც ერთი კაცი, რომელიც დაძველებულ ღვინოს სვამს, არ მოისურვებს ახალდაწურული ღვინის დალევას. არც ახალ ღვინოს ჩაასხამენ ძველ ტიკებში, თორემ ტიკები



- დასკდებაას, ღვინოც დაიღვრება და ტიკებიც მოისპობა. არავინ დააკერებს ახალ ტანისამოსს ძველი ქსოვილის საკერებელს, ვინაიდან გაიხევა სამოსელი.
53. იესომ თქვა: თუკი ერთ სახლში ორნი მშვიდობით ცხოვრობენ და ეტყვიან მთას: გადაადგილდი! — და იგი გადაადგილდება.
54. იესომ თქვა: ნეტარ არიან ერთადერთნი და რჩეულნი, რამეთუ თქვენ სასუფეველს დაიმკვიდრებთ, თქვენ მისგან ხართ (და) კვლავ იქ დაბრუნდებთ.
55. იესომ თქვა: თუ გეკითხებიან: საიდან მოხვედით? — უთხარით: ჩვენ მოვედით ნათელიდან, სადაც ნათელმა შვა ნათელი. ის... მათ ხატებაში. თუ გეკითხებიან: ვინა ხართ? — უთხარით: ჩვენ მისი შვილები ვართ, და ცოცხალი მამის რჩეულნი ვართ. თუ თქვენ გეკითხებიან: როგორია თქვენი მამის ნიშანი, რომელიც თქვენშია? — უთხარით მათ: მოძრაობა და სიმშვიდე.
56. მოწაფეებმა უთხრეს მას: როდის დადგება სიმშვიდე მათთვის ვინც მკვდარია? და როდის მოვა ახალი ქვეყანა? მან თქვა: ის (სიმშვიდე), რომელსაც თქვენ ელით, მოვიდა მაგრამ თქვენ ვერ შეიცანით ის.
57. მოწაფეებმა უთხრეს მას: ისრაელში ოცდაოთხმა წინასწარმეტყველმა იწინასწარმეტყველა შენს შესახებ. მან უთხრა: თქვენ მიატოვეთ ის, ვინც ცოცხალი დგას თქვენს წინ, და ახსენებთ მათ, ვინც მკვდარია.
58. მოწაფეებმა უთხრეს მას: სასარგებლოა თუ არა წინადაცვეთა? მან უთხრა: ის რომ სასარგებლო ყოფილიყო, მამები დედის მუცელში მათ წინადაცვეთილებს ჩასახავდნენ. მაგრამ ჭემმარიტმა წინადაცვეთამ სულში აღმოაჩინა სრული სარგებლობა.
59. იესომ თქვა: ნეტარ არიან ლატაკნი, ვინაიდან თქვენია ცის სასუფეველი.
60. იესომ თქვა: ვინც არ მოიძულა თავისი მამა და დედა, ვერ გახდება ჩემი მოწაფე, და, ვინც არ მოიძულა თავისი ძმები და დები და ვინც ჩემსავით არ ატარა თავისი ჯვარი, იგი ვერ გახდება ჩემი ღირსი.
61. იესომ თქვა: ვინც შეიცნო ქვეყანა, იპოვა გვამი, და ვინც იპოვა გვამი — ქვეყანა არ არის მისი ღირსი.
62. იესომ თქვა: მამის სასუფეველი ჰგავს ადამიანს, რომელსაც (კარგი) თესლი აქვს. მოვიდა ღამით მისი მტერი, ჩათესა ღვარძლი ხორბალში. კაცმა არ დაანება მათ (მსახურებს) ღვარძლის ამიძირკვა. მან უთხრა: არ მოხვიდეთ, რათა ღვარძლის გამარგვლისას, მასთან ერთად ხორბალიც არ ამოგლიჯოთ! ვინაიდან მკის დროს ღვარძლი გამოჩნდება, მას ამოძირკვავენ და დაწვავენ.
63. იესომ თქვა: ნეტარია ადამიანი, რომელმაც იშრომა: მან სიცოცხლე ჰპოვა.
64. იესომ თქვა: შეხედეთ მას ვინც ცოცხალია, სანამ ცოცხლობთ, რათა არ მოკვდეთ, — ესწრაფეთ იხილოთ იგი! და თქვენ ვერ შეძლებდით იხილოთ სამარიტელი, რომელსაც მოჰყავს კრავი (და) შედის იუდეაში. უთხრა თავის მოწაფეებს: (რატომ) არის ის კრავით? მათ უპასუხეს: იმიტომ, რომ დაკლას და შეჭამოს. მან უთხრა: ვიდრე ცოცხალია, არ შეჭამს მას, მაგრამ (თუ) იგი კლავს მას, (და) იგი კრავი გვამად იქცევა. მათ თქვეს: სხვაგვარად იგი ვერ შეძლებს



- დარტყმას. მან თქვა: თქვენ ასევე ეძებთ თქვენთვის ადგილს სიმშვიდეში, რათა არ იქცეთ გვამად და არ შეგჭამონ.
65. იესომ თქვა: ორნი მოისვენებენ საწოლზე: ერთი მოკვდება, მეორე იცოცხლებს. შალომეამ თქვა: ვინ ხარ შენ, ადამიანო, და ვისი (შვილი) ხარ? შენ მოისვენე ჩემს საწოლზე, და ჭამე ჩემს მაგიდასთან. იესომ უთხრა: მე ის ვარ, რომელიც წარმოიშვა იმისგან, ვინც თანასწორია; მე მამაჩემის კუთვნილი მომეცა. (შალომეამ უთხრა smile.gif მე შენი მოწაფე ვარ. (იესომ უთხრა მას smile.gif ამიტომ გეუბნები: როცა იგი გახდება ცარიელი, ის აღივსება ნათელით, მაგრამ, როცა იგი გახდება გაყოფილი, იგი აღივსება სიბნელით.
66. იესომ თქვა: მე გაუწყებთ ჩემს საიდუმლოებებს (...) საიდუმლო. რასაც შენი მარჯვენა ხელი გააკეთებს, დაე ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რასაც ის აკეთებს.
67. იესომ თქვა: იყო მდიდარი ადამიანი, რომელსაც ბევრი საუნჯე ჰქონდა. მან თქვა: მე გამოვიყენებ ჩემს სიმდიდრეს, რომ დავთესო, მოსავალი ავიღო, გავავსო ჩემი ბელლები ნაყოფით, რათა არაფერი გამიწირდეს. აი რაზე ფიქრობდა ის თავის გულში. და იმავე სარამოს ის მოკვდა. მას, ვისაც ყურები აქვს, დაე ისმინოს!
68. იესომ თქვა: ადამიანს სტუმრები ჰყავდა, და როცა მან მოამზადა ვახშამი, გაგზავნა თავისი მონა, რომ სტუმრები მოეწვია. იგი წავიდა პირველთან და უთხრა: ჩემი ბატონი გაპატიჟებს შენ. მან თქვა: მე ფული მაქვს ვაჭრებისათვის, ისინი სადამოს მოვლენ ჩემთან, მე წავალ (და) მივცემ მათ განკარგულებებს: მე უარს ვამბობ ვახშამზე. ის მეორესთან წავიდა, მან უთხრა: ჩემმა ბატონმა მოგიპატიჟა შენ. მან უთხრა: მე სახლი ვიყიდე, და მე მთხოვენ დღეს. მე არ მექნება დრო. ის სხვასთან წავიდა, მან უთხრა: ჩემი ბატონი გაპატიჟებს შენ. მან უთხრა: ჩემი მეგობარი ქორწილს იხდის, და ვახშამს გავმართავ. მე ვერ შევძლებ მოსვლას. მე უარს ვამბობ ვახშამზე. ის სხვასთან წავიდა, მან თქვა: ჩემი ბატონი გაპატიჟებს შენ. მან უთხრა: მე სოფელი ვიყიდე, მე წავალ შემოსავლის ასაკრებად. მე ვერ შევძლებ მოსვლას. უარს ვამბობ. დაბრუნდა მონა, უთხრა თავის ბატონს: მათ ვინც შენ ვახშამზე დაპატიჟე, უარი თქვეს. ბატონმა უთხრა თავის მონას: წადი გზებზე, ვისაც იპოვი, მოიყვანე ისინი, რომ მათ ივახშმონ. მყიდველები და ვაჭრებივერ შევლენ მამაჩემის სამყოფელში.
69. მან თქვა: კეთილ ადამიანს ვენახი ჰქონდა, მან მისცა ის მუშებს, რათა მათ დაემუშავებინათ ის და მას მიეღო ნაყოფი მათგან. მან თავისი მონა გაგზავნა, რათა მუშებს მისთვის მიეცათ ვენახის ნაყოფი. მათ შეიპყრეს მისი მონა, ცემეს იგი, კიდევ ცოტა და ისინი მოკლავდნენ მას. მონა დაბრუნდა, მან მოუყვა თავის ბატონს. მისმა ბატონმა თქვა: შეიძლება, მატ ვერ იცნეს იგი. მან მეორე მონა გაგზავნა. მუშებმა ისიც სცემეს. მაშინ კაცმა თავისი ძე გაგზავნა. მან თქვა: იქნებ მატ ჩემი ძის შერცხვეთ. ამ მუშებმა, როდესაც გაიგეს, რომ იგი ვენახის პატრონის მემკვიდრეა, შეიპყრეს იგი, მათ მოკლეს ის. მას, ვისაც ყურები აქვს, დაე ისმინოს!



70. იესომ თქვა: მანახე მე ქვა, რომელიც მშენებლებმა გადააგდეს! ის — მთავარი ქვაა.
71. იესომ თქვა: მან, ვინც ყველაფერი იცის, საჭიროებს რა საკუთარ თავს, საჭიროებს ყველაფერს.
72. იესომ თქვა: ნეტარნი ხართ თქვენ, როცა თქვენ სძულხართ (და) გდევნიან. და ვერ ჰპოვებთ ადგილს იქ, სადაც გდევნიდნენ.
73. იესომ თქვა: ნეტარ არიან ისინი, რომლებსაც სდევნიდნენ ტავიანთ გულებში; ეს ისინი არიან, ვინც მამა შეიძნო ჭემმარიტებაში. ნეტარ არიან მშვიდნი, ვინაიდან ვისაც სურს, მისი წიაღი გაივსება.
74. იესომ თქვა: როცა თქვენ დაიუნჯებთ ამას თქვენში, ის, რაც თქვენ გაქვთ, გიხსნით თქვენ. თუ თქვენ არა გაქვთ ეს თქვენში, ის, რაც თქვენ არა გაქვთ თქვენში, მოგკლავთ თქვენ.
75. იესომ თქვა: მე დავანგრევ (ამ) სახლს, და არავინ არის, ვინც შეძლებს მის (კიდევ ერთხელ) აშენებას.
76. (ვიღაცა კაცმა უთხრა) მას: უთხარი ჩემს ძმებს, რომ მამაჩემის საგნები გაჰყონ ჩემთან ერთად. მან უთხრა: ადამიანო, ვინ დამაყენა მე თქვენს გამყოფად? მიუბრუნდა თავის მოწაფეებს, უთხრა მათ: არ გავხდები მე ის, ვინც ყოფს!
77. იესომ თქვა: სამკალი ბევრია, ხოლო მუშახელი ცოტა. მაშ თხოვეთ ბატონს, რომ მან გამოგზავნოს მუშახელი სამკალში.
78. მან თქვა: ღმერთო, ირგვლივ ბევრი წყაროა, მაგრამ არავინ არის წყაროში.
79. იესომ თქვა: მრაცალნი დგანან კარის წინ, მაგრამ ერთეულები არიან ისინი, რომლებიც შევლენ საქორწილო დარბაზში.
80. იესომ თქვა: მამის სასუფეველი საქონლის მქონე ვაჭარით არის, რომელმაც იპოვა მარგალიტი. ეს ვაჭარი ბრძენია: მან გაყიდა საქონელი (და) იყიდა ავისთვის ერთი მარგალიტი. თქველც ასევე ეძიეთ მისი საგანძური, რომელიც არ კვდება, რომელიც რჩება იქ, სადაც ვერ შეაღწევს ჩრჩილი, რომ შეჭამოს, და (სადაც) მატლი ვერ დაღუპავს.
81. იესომ თქვა: მე ვარ სინათლე, რომელიც ყველაზეა. მე ვარ ყველაფერი: ყოველივე ჩემგან გამოვიდა და ყოველივე ჩემთან დაბრუნდა. გააპე ხე მე იქ ვიქნები; აირე ქვა და შენ მის ქვეშ მიპოვი მე.
82. იესომ თქვა: რატომ წახვედით თქვენ მინდორში? რათა გენახათ ქარისაგან შერხეული ლერწამი, და გენახათ კაცი, რომელიც ატარებს რბილ სამოსს? (შახედეთ თქვენი) მეფეები და თქვენი წარჩინებული ხალხი — ეს ისინი ატარებენ რბილ სამოსელს და ისინი ვერ შეძლებენ შეიძნონ ჭემმარიტება!
83. ქალმა ბრბოდან უთხრა მას: ნეტერია წიაღი, რომელმაც გატარა შენ, და (ძუძუები), რომლებმაც გამოგკვებეს შენ. მან უთხრა: ნეტარ არიან ისინი, რომლებმაც გაიგონეს მამის სიტყვა (და) დაიცვეს იგი ჭემმარიტებაში. რამეთუ დადგება დღეები, როცა თქვენ იტყვიან: ნეტარია საშო, რომელიც არ ჩასახულა, და ძუძუები, რომლებშიც არ ჩამდგარა რძე.

84. იესომ თქვა: მან, ვინც შეიცნო ქვეყანა, იპოვა სხეული, მაგრამ მან, ვინც იპოვა სხეული, — ქვეყანა არ არის მისი ღირსი.
85. იესომ თქვა: იგი, ვინც გამდიდრდა, დაე იმეფოს, და ის, ვისაც აქვს ძალა, დაე უარყოს.
86. იესომ თქვა: ის, ვინც ახლოა ჩემთან, ახლოა ცეცხლთან, და, ვინც შორსაა ჩემგან, შორსაა სასუფეველისგან.
87. იესომ თქვა: ადამიანს ევლინება სახეები, და ნათელი, რომელიც მათშია, დაფარულია. მამის ნათელის ხატებაში ის (ნათელი) გაცხადდება, და მისი სახე დაფარულია მისი ნათელის გამო.
88. იესომ თქვა: როცა თქვენ ხედავთ თქვენს მსგავსს, თქვენ ხარობთ. მაგრამ, როცა თქვენ ხედავთ თქვენს სახეებს, რომლებიც თქვენამდე წარმოიშვნენ, — ისინი არც კვდებიან და არც ცხადდებიან — ამდენად დიადს გადაიტანთ?
89. იესომ თქვა: ადამი წარმოიშვა დიდი ძალისგან და დიდი სიმდიდრისგან და იგი არ არის თქვენი ღირსი. რამეთუ... სიკვდილს.
90. იესომ თქვა: (მელიებს აქვთ თავისი სოროები), და ფრინველებსაც აქვთ (თავისი) ბუდეები, ხოლო კაცის ძეს არ გააჩნია ადგილი, რომ მიიდრიკოს თავისი თავი (და) დაისვენოს.
91. იესომ თქვა: უბედურია სხეული, რომელიც დამოკიდებულია სხეულზე, და უბედურია სული, რომელიც დამოკიდებულია ორივე მათგანზე.
92. იესომ თქვა: ანგელოზები და წინასწარმეტყველები მოდიან თქვენთან, და ისინი მოგცემენ თქვენ იმას, რაც თქვენია, და თქვენც მიეცით მათ ის, რაც თქვენს ხელშია, (და) უთხარით თქვენს თავს: რომელ დღეს მოდიან ისინი (და) იღებენ იმას, რაც მათ ეკუთვნით?
93. იესომ თქვა: რატომ რეცხავთ თქვენ თასის შიგნით (და) არ გესმით ის, რომ მან, ვინც გააკეთა შიდა ნაწილი, ასევე გააკეთა გარეთა ნაწილიც?
94. იესომ თქვა: მოდით ჩემთან, ვინაიდან ჩემი უღელი კეთილია და ჩემი ძალაუფლება მშვიდობიანი, და თქვენ იპოვით სიმშვიდეს თხვეწთვის.
95. მათ უთხრეს: გვითხარი ჩვენ, ვინ ხარ შენ, რათა ჩვენ ვირწმუნოთ შენი. მან უთხრა: თქვენ ცდით ცისა და მიწის სახეს; და მას, ვინც თქვენს წინაშეა, თქვენ ვერ შეიცანით იგი; და ეს დრო — თქვენ არ იცით, (როგორ) გამოცადოთ იგი.
96. იესომ თქვა: ეძებთ და თქვენ იპოვით. მაგრამ ის (საგნები), რომელთა შესახებ თქვენ მკითხეთ მე იმ დღეებში, მე არ გითხარით მაშინ. ახლა მე მინდა გითხრათ, და თქვენ არ ეძებთ მათ.
97. არ მისცეთ ის, რაც წმინდაა, ძალლებს, რათა ნეხვში არ ჩაყარონ ისინი. ნუ დაუყრით მარგალიტებს ღორებს, რომ მათ არ გააკეთონ ეს...
98. იესომ თქვა: ვინც ეძებს, იპოვის, (და ის, ვინც აკაკუნებს), მას გაუღებენ.
99. იესომ თქვა: თუ თქვენ გაქვთ ფული, ნუ გასცემთ მოგებისთვის, არამედ გაეცით... ვისგანაც თქვენ არ აიღებთ მათ.
100. იესომ თქვა: მამის (სასუფეველი) დედაკაცივით არის, რომელმაც აიღო ცოტაოდენი საფუარი, (ჩადო) ის ცომში (და) დაანაწილა ის დიდ პურებში. ვისაც ყურები აქვს, დაე ისმინოს!



101. იესომ თქვა: მამის სასუფეველი ქალივით არის, რომელსაც მიაქვს ფქვილით სავსე ჭურჭელი, (და) მიდის შორი გზით. ჭურჭლის სახელური გატყდა, ფქვილი გზაზე დაიყარა მის უკან. ქალმა არაფერი იცოდა (ამის შესახებ), მან ვერ გაიგო (როგორ) ემოქმედა. როცა თავის სახლს მიაღწია, მან ჭურჭელი მიწაზე დადო (და) ის ცარიელი აღმოაჩინა.
102. იესომ თქვა: მამის სასუფეველი წააგავს კაცს, რომელსაც უნდა მოკლას ძლიერი ადამიანი. მან აიღო ხმალი თავის სახლში, მან შეარჭო იგი კედელში, რომ შეეტყო თავისი ხელის ძალა. მაშინ მან მოკლა ძლიერი.
103. მოწაფეებმა უთხრეს მას: შენი ძმები და დედაშენი დგანან გარეთ. მან უთხრა მათ: ისინი, რომლებიც აქ არიან, რომლებიც ასრულებენ მამაჩემის ნებას, არიან ჩემი ძმები და დედაჩემი. ეს ისინი არიან, რომლებიც შევლენ მამაჩემის სასუფეველში.
104. იესოს აჩვენეს ოქროს მონეტა და უთხრეს: ისინი, ვინც ეკუთვნიან კეისარს, ჩვენგან თხოულობენ გადასახადს. მან უთხრა: მიეცით კეისარს ის, რაც ეკუთვნის კეისარს, მიეცით ღმერთს ის, რაც ეკუთვნის ღმერთს, და ის, რაც ჩემია, მომეცით ის მე!
105. მას, ვინც არ მოიძულა თავისი მამა თავისი დედა, როგორც მე, ვერ შეძლებს იყოს ჩემი (მოწაფე), და ის, ვინც (არ) შეიყვარა თავისი მამა და თავისი დედა, როგორც მე, ვერ შეძლებს იყოს ჩემი (მოწაფე). რამეთუ დედაჩემი... მაგრამ ჭეშმარიტად მან მომანიჭა მე სიცოცხლე.
106. იესომ თქვა: ვაი მათ, ფარისევლებს! რამეთუ ისინი ჰგვანან ძაღლს, რომელსაც სძინავს ხარების გეჯაზე. იგი არც ჭამს და არც ხარებს ანებებს ჭამას.
107. იესომ თქვა: ნეტარია ადამიანი, ვინც იცის, (რა დროს) მოდიან ყაჩაღები, ასე რომ იგი ადგება, შეკრებს... და ქამარს შემოირტყამს წელზე, ვიდრე ისინი მოვლენ.
108. მათ უთხრეს (მას): წავიდეთ ვილოცოთ დღეს და ვიმარხულოთ. იესომ თქვა: როგორია ცოდვა, რომელიც მე ჩავიდინე ან რომელსაც მე დავმორჩილდი? მაგრამ, როცა ნეფე გამოვა საქორწილო დარბაზიდან, მაშინ უნდათ ნათ იმარხულონ და უნდათ ილოცონ!
109. იესომ თქვა: ის, ვინც შეიცნობს მამას და დედას, — მას დაარქმევენ მეძავი ქალის ძეს.
110. იესომ თქვა: როდესაც თქვენ ორს ერთად ჰყოფთ, თქვენ გახდებით კაცის ძე, და, თუ თქვენ ეტყვიით მთას: დაიძარი, იგი გადაადგილდება.
111. იესომ თქვა: სასუფეველი წააგავს მწყემსს, რომელსაც ასი ცხვარი ჰყავს. ერთი მათგანი, ყველაზე დიდი, დაიკარგა. მან მიატოვა ოთხმოცდაცხრამეტი და დაიწყო ერთის ძებნა, ვიდრე არ იპოვა იგი. მას შემდეგ, რაც იგი გაისარჯა, მან უთხრა ცხვარს: მე შენ მეტად მიყვარხარ, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტი.
112. იესომ თქვა: იგი, ვინც წყურვილი მოიკლა ჩემი ბაგეებიდან, გახდება ცემნაირი, მეც ასევე, მე იგი გავხდები, და საიდუმლო ცხადი გახდება მისთვის.

113. იესომ თქვა: სასუფეველი წაგავს კაცს, რომელსაც თავის მინდორში საიდუმლო საგანძური აქვს და არაფერი იცის ამის შესახებ. და (მან ვერ იპოვა იმ დრომდე, ვიდრე არ) მოკვდა, მან ის დაუტოვა თავის ძეს. შვილმა არ იცოდა; მან მიიღო ეს მინდორი და გაყიდა. და სი ვინც იყიდა, მივიდა, გათხარა და იპოვა განძი. მან დაიწყო ფულის პროცენტებით მიცემა (მათთვის ვისთვისაც) მას უნდოდა.
114. იესომ თქვა: ის, ვინც იპოვა ქვეყანა (და) გახდა მდიდარი, დაე განერიდოს ამ ქვეყანას!
115. იესომ თქვა: ცა, ისევე როგორც მიწა, ქედს მოიდრეკენ თქვენს წინაშე, და ის, ვინც ცოცხალია ცოცხალისგან, ვერ იხილავს სიკვდილს. რამეთუ (?) იესომ თქვა: ის, ვინც იპოვა თავისი თავი, ქვეყანა არ არის მისი ღირსი.
116. იესომ თქვა: ვაი იმ სხეულს, რომელიც დამოკიდებულია სულზე; ვაი იმ სულს, რომელიც დამოკიდებულია სხეულზე.
117. მისმა მოწაფეებმა უთხრეს მას: როდის მოდის სასუფეველი? იესომ თქვა: იგი არ მოდის, როცა ელოდებიან. არ იტყვიან: აი, აქ! ან, აი, იქ! მაგრამ მამის სასუფეველი ვრცელდება მიწაზე, და ადამიანები ვერ ხედავენ მას.
118. სიმონ პეტრემ უთხრა მათ: წავიდეს მარიამი ჩვენგან, რამეთუ ქალები არ არიან სიცოცხლის ღირსნი. იესომ თქვა: შეხედეთ, მე წამვმართავ მას, რომ გავხადო იგი კაცი, რათა ისიც გახდეს ცოცხალი სული, თქვენს, მამაკაცების მსგავსად. რამეთუ ყოველი ქალი, რომელიც გახდება კაცი, შევა ცის სასუფეველში.

მარიამის სახარება

1-6 გვერდები აკლია

(7) დაიმსხვრევა მატერია მაშინ თუ არა?

მან გვიპასუხა:

«ყველა სულდგმული, ქმნილებაა ის თუ თხზულება, არს ერთმანეთში ან ერთმანეთთან; თვითეულ მათგანს შეივრდომებს მათივე ფესვები. შენდობილია მატერიის ბუნება მასში, რაიც რომ არის ერთადერთი მისივე ბუნება. ვისაც ასხია სასმენელნი, დაე ისმინონ!»

და ჰკითხა პეტრემ: «განგვიმარტე ყველა საგანი, გვიბრძანე ესეც, მსოფლიური ცოდვა რა არის?» პასუხობს მხსნელი: «თქვენს გარეშე არ არის ცოდვა, რადგან თქვენ სცოდავთ, გახრწნილების ბუნების მაგვარ მოვლენებში მონაწილეობთ. ხოდა ამიტომ განეფინა ტქვენს შორის მადლი, ყოველდაგვარი ბუნებისა საგანთა შორის, მივმართოთ უნდა მადლი იგი მისივე ფესვისკენ» განგვიმარტავდა, ჩვენ კი ვუსმენდით:

«მიზეზი თქვენი ავადობის და სიკვდილისა ეს გახლავთ სწორედ.

(8) ნუ გიყვართ იგი, რაც თქვენ გატყუებთ. ხოლო რომელიც დაისახავს მიზანს, მიაღწევს, და თუ მიაღწევს, დე მიაღწიოს! მატერიამ შვა ჟინი, რომელს არა ჰყავს ტოლი, წრეგადასულის პირმშოა ვნება, წარმოიშვება მისგან ძრწოლა მთწელს არსებაში. მიტომაც გეტყვით: «გამხნევდით და თუკი ისუსტეთ, გაუმხნევდით იმ ფორმებს მაინც, ნაირ-ნაირი ბუნება რომ გამოავლინებს.

ვისაც ასხიან სასმენელნი, მისმინონ დაე!»

გამოგვეთხოვა ნეტარი ბოლოს, თვითეულ ჩვენგანს გვიძღვნა მშვიდობა: «(ეირენე) თქვენ! მოიპოვეთ იგი თქვენთვის! ვერვინ გაცდუნოთ, საითაც წახვალთ, უწყოდეთ რადგან, პირმშო ღვთისა თქვენშია მხოლოდ.

მისდით, ვინაც მიპებნელია, უთუოდ ჰპოვებს. აწ კი გასწიეთ, იქადაგეთ მთელს ქვეყანაზე სახარება მეფის სუფევის. არ.

(9) დადოთ ზღვარი იმის გარე, რაც დაგიდგინეთ, ნუ გასცემთ კანონს, თქვენ არა ხართ კანონმდებელნი, ვინაიდან მათ არ შეგიპყრონ».

დაასრულა და განემორა.

მწუხარენი ისხდნენ ისინი, უხვზე უხვი დაღვარეს ცრემლი.

თქვეს: «ვით წავიდეთ წარმართებთან ვით ვიქადაგოთ ადამის ძის მეუფებაზე? კი მათ იგი არ დაინდეს, ჩვენ დაგვინდობენ?» ადგა მარიამ, დაწინაურდა, მიესათუთა თვითეულ მათგანს, ჰკითხა: «რად სტირით? იჭვნეულნი რად შეიქმნით? ხომ თქვენთან არის მისი მადლი, მისი სიკეთე, ჰოდა დაგიცავთ. უმჯობესია, ხოტბა ვაკადროთ იმის არსებას, რამეთუ დიდი წყალობაა მზადყოფნა ჩვენი, მოქცევა ხალხად». ასე მიმართა მარიამმა მათი გულები სიკეთისაკენ, და იწყეს განსჯა მხსნელისგან თქმულზედ.



(10) თქვა პეტრემ: «დაო, ვიცი უწყი, სხვა ქალებზე მეტად უყვარდი, გვითხარი სიტყვა მაცხოვარის, რომელიც იცი, ან გაიხსენებ, სიტყვა, რომელიც ჩვენ არც როსმე მოგვისმენია». უთხრა მარიამ: «ის რაც თქვენთვის დაფარულია, მე განგიცხადებთ». ხილვის ჟამს, ერთხელ თვით უფალი გამომეცხადა, ვუთხარი კიდევ: «მხსნელო, დღეს შენ გამომეცხადე». მან მიპასუხა: «განცხრომილი ხარ მარიამო, რადგან არ შეჰკრთი როცა მიხილე. სადაც გგონია, იქ არის განძი». კვლავ ვკითხე: «ჩვენო მეუფეო, მიბრძანე ესეც; ვინც მხილველია, ის ვით ხედავს, სულით, გუნებით?» მან მიპასუხა: «არც ერთი და არცა მეორე, იგი გონია, გონია და არს ორს შორის — (და იგი, ვინაც მჭვრეტელია ხილვის და (იგი))...»

11-14 გვერდები აკლია

(15) მისი. და სულს გულისთქმა ეუბნებოდა: «ვერ გიხილე შენ ჩამავალი, ეხლა გიყურებ ამომავალს. რად მეცრუები.

კუთვნილო ჩემო?» პასუხობს სული: «მე გხედავდი, ხოლო შენ ვერა, ვიყავი შენთვის ვით სამოსელი, ვერ შემიცანი».

თქვა და გაშორდა მოზეიმე, კვლავ ეწვია ძალას მესამეს უმეცრებად რომ იწოდება. ჰკითხა სულს მანაც: «მიდიხარ საით? ან ცბიერებამ ვით შეგიპყრო?

შეპყრობილი ხარ და ნულარ განსჯი!» სული პასუხობს: «რად მასამართლებ? მე ხომ არავინ განმიკითხია? კი, შეპყრობილი ვიყავი მაგრამ, არ შემიპყრია.

თვით შეუცნობმა შევიცანი რომ ემორჩილება ქვეყნად ყოველი ნების დართვას, გინდ მიწიერი,

(16) გინდ ციური». გადალახა და განეშორა ძალას მესამეს, ამაღლდა სული, მიეახლა მეოთხე ძალას. უკანასკნელი გახლავთ ძალა შვიდსახოვანი.

აქ წყვდიადს მოსდევს გულისთქმა და მას-უმეცრება; მომდევნო იჭვი-მოაკვდინებს რომელ იჭვენულს; სახე მეხუთე მეუფება არის სხეულის;

იმავე სხეულის მზაკვრობაა სახე მეექვსე; ხოლო მეშვიდე სიბრძნე გახლავთ გაშმაგებული. მე ჩამოვთვალე მრისხანების შვიდივე სახე. ეკითხებიან სულს ისინი: «საიდან მოხველ ხალხთ დამლუპველო?

სივრცის შთამთქმელო მაინც საით მიემართები?» პასუხობს სული: «რაც ვიკმარე, იგი მკვდარია; მე რომ მზორკავდა, ახლა უკვე იავარქმნილა;

გასრულდა ჟინი, უმეცრებაც მოკვდინებულა ნებადართული ვიყავი მე (მსოფლიოში).

(17) მსოფლიოსაგან (მსოფლიოთი).

ტვიფრზე ტვიფრით ამაღლებული. თავდავიწყების ამ ჟამთასვლის ვიყავ კავშირი, აქეთ და აქეთ ის ჟამთასვლა დამიმშვიდდება,

მარადიული მდუმარება მოიცავს ყოველს». დაცხრა მარიამ, დაიდუმა, მიწყნარდა რადგან გაისაუბრა მასთან მხსნელმა ამ ადგილამდე.

ხოლო ძმებს შორის იჭვენული შეიქმნა ანდრო, იკითხა კიდევ: «თქვენ რას იტყვით, თვით ვერ ვიჯერებ, თითქოს მას ეთქვას, მარიამი გვიყვება რასაც,

ეს სწავლება ხომ სულ სხვა არის, სხვა აზრებია». აღშფოთდა პეტრეც: «საიდუმლო ჩვენგან ვით ჰქონდა, ისე გამოდის, რომ მარიამს უსმინოთ უნდა რადგან ეს ქალი ყველა ჩვენგანს მან ამჯობინა?»



(18) მაშინ აცრემლდა მარიამი და უთხრა პეტრეს:

«რატომ გგონია ეს ყოველი მე მოვიგონე შევთხზე და ვცრუობ ძმაო პეტრე, მხსნელის შესახებ?» «დამშვიდდი პეტრე, სულ მრისხანებ, მიმართა ლევიმ, ნეტავ ამ ქალთან მოპაექრე არც კი მენახე, მარიამ ღირსჰყო მაცხოვარმა, ჩვენ ვით უარვყოთ?

უკეთ იცნობდა, ჩვენზე მეტად მიტომ უყვარდა. სჯობს დავიმორცხოვოთ, შევიმოსოთ სრული კაცობით, და განვეშოროთ ვით მან ინება, რომ ვიქადაგოთ სახარება, რომ არ დავდოთ სხვა ზღვარი და სხვა კანონები,

20 გარეშე იმის, რასაც მხსნელი გვეუბნებოდა». როცა.

(19) (...) და იწყეს წასვლა სადიდებლად, საქადაგებლად სახარების.

...სხვებსაც ასე თუ ისე გადავხედე მერე დავწერ ალბათ.



სიკვდილი მართლისა

პონტოელი პილატეს ცოლის წერილი თავის მეგობარმეგობარ ქალთან აპოკრიფი

«კლავდია პროკლა, ფუბლია რომელიას სალამი». შენ მთხოვ, ჩემო ერთგულო მეგობარო, გაიმბო რაც შენგან გაყრის შემდეგ განვიცადე. ზოგი შენ კიდევაც გაგიგია და საიდუმლოება, რომლითაც ისინი გარემოცული არიან, გინერგავს გულში მწუხარებას ჩემი ბედის შესახებ. ვასრულებ შენს თხოვნას და ვცდილობ ჩემი ხსოვნის სალაროში შევიკრიბო ჩემი ცხოვრების ჯაჭვის გაფანტული ნაწყვეტები და თუ შენ ამ აღწერილობაში ისეთ გარემოებებს შეხვდები, რომელნიც განგაცვიფრებენ, გაიხსენე, რომ უმაღლესმა შემოქმედებითმა ძალებმა წყვილით გარეშეიცვეს ჩვენი შობა, არსებობა და სიკვდილი და რომ სუსტ მომაკვდავს არ შეუძლია გაზომოს საიდუმლოებანი ბედისწერისა. მე არ მოგაგონებ შენ ჩემი ცხოვრების პირველ დღეებს, რომლებიც მშვიდობიანად გავატარე ჩემი მშობლების ჭერქვეშ და შენ მეგობრობაში. შენ იცი, რომ მე, როცა 16 წლის შევიქენი, ქორწინებით შევეურთდი ძველი წარჩინებული გვარის კაცს, რომელს პონტოელ პილატეს, რომელსაც მაშინ მმართველის საპატიო ადგილი ეჭირა ივერიაში. გამოვედი ტაძრიდან თუ არა, მე მაშინვე უნდა პონტოელ პილატეს გავყოლოდი მისდამი რწმუნებულ მაზრაში არა მხიარულად, მაგრამ არც სიძულვილით გავყევ მე ჩემს მეუღლეს, რომელიც წლოვანებით მამად შემეფერებოდა; მე თქვენზე ვნაღვლობდი, თვალცრემლიანი ვეთხოვებოდი მამის მყუდრო სახლს, ნაბრონის ბედნიერ ცას, მშვენიერ ძეგლებს და ჩემი სამშობლოს ამწვანებულ წალკოტებს. ჩემი დაქორწინების შემდეგმა წლებმა მშვიდობიანად გაიარა. ზეცამ მაჩუქა მე, ის იყო ჩემთვის დღის სინათლეზე უძვირფასესი. მე განაწილებული მქონდა დრო ჩემი მოვალეობის აღსრულებისა და ქალის შესაფერ განცხრომათა შორის. ჩემს ვაჟს ხუთი წელი შეუსრულდა; როცა იმპერატორის განსაკუთრებითი მოწყალების გამო პონტოელი [პილატე] დანიშნულ იქმნა ურიასტანის მმართველად. დაქირავებული მოსამსახურეების თანხლებით ჩვენ გავემგზავრეთ თვალწარმტაცი გზით. მე შევხაროდი ამ ქვეყანას, მდიდარს, ნაყოფიერს, რომლის მმართველად უნდა გამხდარიყო ჩემი ქმარი ხალხთა მპყრობელი რომის სახელით. იერუსალიმში დიდი პატივით მიმიღეს, მაგრამ მე ვცხოვრობდი სრულიად განმარტოებულად, რადგან იქვიან და ამპარტავან ებრაელებს ვძულვართ ჩვენ, სხვა ტომის ხალხი, კერპთთაყვანისმცემელნი, როგორც ისინი გვეძახიან ჩვენ. — ამბობენ, რომ ჩვენ იქ მყოფობით ვბილწავთ წმიდა ქვეყანას, რომელიც მამათა ღმერთმა აღუთქვა და მისცა მათ. მე ვატარებდი დროს ჩემ შვილთან ერთად ჩუმ, მყუდრო ბაღებში, სადაც მურტი (მცენარე) და ფუსტულის თხილი ერთმანეთს ჩაწინდნენ, სადაც მოხდენილი დელისზე უმშვენიერესი და ნაკისკუდები (პალესტინის ბუჩა) აღმართულიყვნენ ნარინჯის და ბროწეულის ხეების გვერდით. აქ, ამ გრილი ჩრდილის ქვეშ, ვქარგავდი ხოლმე, საკურთხევლის გადასაფარებლებს, ანდა ვკითხულობდი ვირგილიუსის ლექსებს, სმენისა და კიდევ უფრო გულის დამატკბობლებს. იშვიათი იყო, რომ ჩემს ქმარს, რამოდენიმე წამი გაეზიარებია



ჩემთვის, ის იყო მუდამ მოწყენილი და სევდიანი. თუმცა მას დიდი უფლება ჰქონდა, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, რომ მორჩილებაში დაეჭირა ეს ხალხი, დიდი ხნიდან დამოუკიდებელი, ბუნებით აჯანყების მიმყოლი, ათასგვარ ბრაზიან მწვალებლებად.

დაყოფილი, რომელიც ერთსულობას იჩენდა მხოლოდ ერთ საქმეში: რომაელებისადმი ცოფმორეულ სიძულვილში. იერუსალიმის აუარებელ მცხოვრებთაგან მხოლოდ ერთი ოჯახი მიწევდა მცირეოდენ მეგობრობას, — ეს იყო სინაგოგის უფროსის, იაიროსის ოჯახი. მე დიდ კამყოფილებას ვპოვებდი მისი მეუღლის — სალომეს ერთობაში, რომელიც იყო სათნოების და სიმშვიდის მაგალითი, აგრეთვე მათი ასულის თორმეტი წლის საყვარელი და მშვენიერი თმახუჭუჭა ქალის საარონის ვარდის მსგავს სემიდას ნახვაში. ხანდახან ისინი მელაპარაკებოდნენ მე თავიანთ მამათა ღმერთზე» მიკითხავდნენ საღვთო წერილის ზოგიერთ ადგილებს... და სწორედ გითხრა, ფუბლია? როცა გამახსენდებოდა სალომეს მიერ წარმოთქმული და ჩემ მიერ მოსმენილი ქება ზენაარისა ღვთის იაკობისა, ამ ერთისა ღვთისა, უნივთოისა, საუკუნოისა, უმწიკვლო — უბიწოისა, ყოვლადმოწყალისა, ყოვლის შემძლებელისა, ძლიერებისა და სახიერების, სიწმიდისა და დიდების შემაერთებელისა, — როცა გამახსენდებოდა სემიდას ხმა შეერთებული ჩანგის ჟღერასთან, გალობა წმიდა ფსალმუნებისა, ისრაელთ დიდებული მეფის თხზულებისა, რომელნიც თავის რიგზე, მეც ვსინჯე ჩემ ჩანგზე, — როცა ისინი გამახსენდებოდა, მაშინ განმარტოებული ჩემი ვაჟის აკვანთან ხშირად ვეშვებოდი მუხლებზე, დავიჩოქებდი და თითქმის ჩემდა უნებურად მოუწოდებდი იმათ ღმერთს, რომელსაც თვითონ ბედისწერა თავისი შეუდრეკელი ძალით ემორჩილება, როგორც მონა უფალს და მე ლოცვის შემდგომ ავდგებოდი ყოველთვის გამხნევებული და ნუგეშინისცემული. ერთხელ სემიდა ავად გახდა. ერთ დილას, გაღვიძების დროს მე ამბავი მომიტანეს, რომ ის დედის მკლავზე გარდაცვლილიყო. ამ საშინელი ამბით შეწუხებული და თავზარდაცემული გადავეხვიე ჩემ შვილს და მერმე გავეშურე მათთან, რომ მეტირნა საცოდავ სალომესთან ერთად. როცა იმ ქუჩაზე მივედი, რომელზეც ისინი ცხოვრობდნენ, ჩემმა ბიჭებმა ძლივს გაჭირვებით შეძლეს გზის გაკვლევა ჩემი საკაცესათვის, ვინაიდან მათ სახლის გარშემო აუარებელი ხალხი შეჯგუფულიყო, თუ მოტირალნი, თუ მოჯვირჯვლენი, თუ მოზარენი. როცა კარებს მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ ხალხმა გაიწ — გამოიწია და გზა მისცა სახლში მიმავალ რამდენიმე კაცის ჯგუფს, რომელსაც ხალხი გაკვირვებით, პატივისცემით და ცნობისმოყვარეობით უცქეროდა. პირველი, რომელიც მე ამ ჯგუფში ვიციან, იყო სემიდას მამა. მაგრამ, ნაცვლად მწუხარებისა, რომელსაც მე მოველოდი აღმომეკითხა მის პატივცემულ პირისახეზე, დავინახე ღრმა რწმენითი გამომეტყველება; ჩემს მიერ გაუგებარი საკვირველი იმედი. მასთან მიდიოდა სამი ღარიბულად ჩაცმული, უბრალო და გარეგნობით უშნო კაცი. ხოლო მათ მიყვებოდა მანტიით შემოსილი ვაჟკაცი. მე შევაჩერდი მას, მაგრამ უცბათ მოვაშორე თვალი, თითქოს მზის ცხოველი სხივების წინ ვიდექ. მე მეჩვენებოდა,



რომ შუბლი მისი გაბრწყინებულია და გვირგვინის მსგავსად შემორტყმია სხივები მის თმას, რომელიც მხრებზე ეყარა, როგორც ნაზარეთის მცხოვრებლების ჩვეულებაა. არ შემიძლია გადმოვცე რა ვიგრძენი მე მასთან შეხვედრის დროს. ეს მოხდა ერთბაშად: უძლიერესი მიმზიდველობაც, ვინაიდან მისი სხეულის ყოველ ნაწილში გამოუთქმელი სიმშვენიერე იხატებოდა, დაფარული საოცარი შიშით, რადგან მის თვალთაგან გამოკრთოდა ელვარება, რომელიც თითქოს მე მტვრად მაქცევდა. მე გავეყვი მას, თუმცა თვითონ არ ვიცოდი სად მივდიოდი. კარი გაიღო და მე დავინახე სემიდა. ის ესვენა ცხედარზე, რომლის გარშემო ენთო სანთლები და იდგა სურნელოვანი ნივთიერებანი. იგი კიდევ მშვენიერი იყო, მშვენიერი, ზეციური სიმშვიდით; მაგრამ მისი შუბლი უფრო ფერმკრთალი იყო ზამბახზე, რომელიც მის ფეხებთან მოეყარათ და სიკვდილის ლურჯ ხელს დაეჩინა კვალი მის ჩაცვნილ თვალეზე, ლოყებზე და გაფითრებულ ტუჩებზე. სალომე მის ახლოს იჯდა მდუმარე, თითქმის გრძნობაარეული. ის, როგორც ჩანდა, ჩვენ ვერ გვამჩნევდა. იაიროსი, სემიდას მამა, დავარდა.

ცხედარტან მდგომ უცნობის წინ, მოეხვია ფეხებზე და უჩვენა რა მიცვალებულზე, მწარედ წამოიძახა: — «უფალო! ასული ჩემი სიკვდილის ხელშია, მაგრამ, თუ ინებებ, გაცოცხლდება». მე ავთრთოლდი ამ სიტყვების გაგონებაზე, ჩემი გული თითქოს მიუხვდა უცნობის თითოეულ მოძრაობას. მან სემიდას ხელი ხელზე მოჰკიდა, მიაპყრო მას თავისი ძლიერი მხედველობა და წარმოსთქვა: — «აღსდევ, შვილო ჩემო». ფუბლია [ის დაემორჩილა] — სემიდა წამოდგა თავისი საწოლიდან, თითქოს მას ეხმარებოდა უხილავი ხელი, მას თვალეები აეხილა, ნაზი სიცოცხლის ფერი მიეფინა მის ტუჩებს. მან გაიშვირა ხელეები და წამოიძახა: — «დედილო!» ამ ძახილმა გამოაფხიზლა სალომე. დედაშვილი ათრთოლებულნი ერთმანეთს ჩაეკონნენ, ხოლო იაიროსი მიწაზე განრთხმული კოცნიდა იმის სამოსლის კალთას, რომელსაც ეძახდნენ უფალს და იმეორებდა: — «რა უნდა ვქნა, რომ გემსახურო, რომ დავიმკვიდრო საუკუნო ცხოვრება?» უნდა დაისწავლო და ადასრულო ორი კანონი სჯულისა: — «გიყვარდეს ღმერთი და კაცი». ეს როგორც კი თქვა, ის მიეფარა ჩვენგან, როგორც გამჭვირვალე ნათელი აჩრდილი. მე კიდევ დაჩოქილი ვიყავი, რისთვის, თვითონ არ ვიცი. მე თითქოს ძილისაგან გამოვერკვიე და შინ დავბრუნდი, დავტოვე ბედნიერი ოჯახი უმწვერვალეს სიხარულში, რომლის გამოსახატავად ჯერ არ გაჩენილა არც სამხატვრო და არც საწერი კალამი. ვახშამზე მე ვუამბე პილატეს ყოველივე, რისი მოწამეც მე ვიყავი. მან ჩაღუნა თავი და თქვა: — «შენ გინახავს იესო ნაზარეველი; ეს სიძულვილის საგანია ფარისეველთა და სადუკეველთა, იროდიანთა და ტაძრის ამპარტავან ლევიტელთა. ეს სიძულვილი ყოველდღე მატულობს და მათი შურისძიება მის თავზე ჰკიდია: სიტყვა ნაზარეველისა კი — არის სიტყვა ბრძენისა, ხოლო სასწაულნი მისნი არიან სასწაულნი ჭემმარიტის ღვთისა». — «რისთვის სძულთ მათ ის?» — «იმიტომ, რომ ის ამხილებს მათ ბიწიერებასა და მლიქვნელობას. ერთხელ მე ვუყურე მას, ის ეუბნებოდა ფარისევლებს: — «კუბონო, განგოზილნო, ნაშობნო იქედნეთანო! თქვენ ადებთ თქვენ ძმას მხარზე მძიმე ტვირთს, ხოლო თქვენ თვითონ არ გინდათ თითის წვერითაც შეეხოთ მას! თქვენ იხდით



გადასახადს ბალახთა პიტნისა და ძირაკისასა და მცირედ ზრუნავთ გადაიხადოთ ის, რაც სჯულით და სარწმუნოებით სავალდებულო გადასახადია — მართლმსაჯულება და მოწყალება. ამ სიტყვების აზრი ღრმაა და ჭეშმარიტი... ამ სიტყვებმა გააბრაზა ეს გულამაყი ხალხი და ჰორიზონტი ძლიერ ჩამობნელებულია ნაზარეველისათვის». — «მაგრამ შენ ხომ დაიფარავ მას?!» წამოვიძახე მე ცივად. — «შენ აქ სრული უფლება გაქვს». — «ჩემი უფლება ამ შფოთიანი და მზაკვარი ხალხის წინაშე, მოჩვენებაა და სხვა არაფერი და მე კი სულიერად დავიტანჯებოდი, თუ რომ წილად შემხვედროდა ამ ბრძენი კაცის სისხლის დაღვრა». ამ სიტყვებთან ერთად პილატე ძლიერ ღრმად ჩაფიქრებული ადგა და მეორე ოთახში გავიდა. მე დავრჩი მარტო შავ — ბნელ და აუტანელი მწუხარებით მოცული. «პასექის დღე ახლოვდებოდა. ამ საპატიო დღესასწაულზე იერუსალიმში იკრიბებოდა ურიასტანის ყოველი მხრიდან აურაცხელი ხალხი ტაძარში სადღესასწაულო მსხვერპლის შესაწირად. ამ დღესასწაულის წინ ხუთშაბათს პილატემ მითხრა მე დალონებით: — «იესო ნაზარეველის მომავალი ძლიერ უნუგეშოა. მისი თავი დაფასებულია და დღესვე საღამოს შეიძლება მისცენ ის მღვდელმთავრებს ხელში». ამ სიტყვების გაგონებაზე გამაჟრჟოლა და ხელმეორედ ვკითხე: — «მაგრამ შენ ხომ დაიფარავ მას?» «შემიძლია მე ამისი ქმნა?» — თქვა პილატემ დაღვრემილი სახით: «ბედი, რომელიც პლატონმა უწინასწარმეტყველა თავის წარმოდგენილ მართალს, მგონია იესოს ექადება: ის იქნება დევნილ, ღალატით მოკლულ და სასტიკ სიკვდილით დასჯილ...» ამგვარად დასცინიან ღმერთები მომაკვდავთა სისუსტეს. — მოსვენების დრო დადგა. ის იყო, მივდევი თუ არა თავი, მაშინვე იღუმაღმა სიზმრებმა მოიცვეს ჩემი გონება. მე ვხედავდი

იესოს იმ გვარად, როგორადაც სალომემ ამიწერა თავისი ღმერთი: «სახე მისი ბრწყინავდა, როგორც მზე. ის მიმოფრინავდა ფრთეთა ზედა სერაბიმთასა, რომელნიც ფიცხლად ასრულებდნენ მის ბრძანებას. შედგა რა ღრუბელთა შორის, ის როგორც ჰგავდა, მზად იყო განსჯად კაცთა ნათესავისა, რომელიც მის ფერხთა ქვეშე შეიკრიბა. ნიშითა მარჯვენისა თვისისათა, ის ყოფდა კეთილთა ბოროტთაგან. პირველნი ადიოდნენ მასთან საუკუნო სიჭაბუკით და ღვთაებრივი სიმშვენიერით გაბრწყინებულნი, უკანასკნელნი კი ცვივოდნენ ცეცხლის უფსკრულში, რომლის წინაშე არარაა ცეცხლი ერევისა და ფლეგეტონისა; — და როცა მსაჯული უჩვენებდა მათ ჭრილობებზე, რომელნი ფარავდნენ მის სხეულს და ეუბნებოდა მათ მრისხანე ხმით: — «მიზღვეით სისხლი, რომელიც მე თქვენთვის დავღვარეო». მაშინ ეს უბედურნი სთხოვდნენ მთებს, რათა დაეფარათ ისინი და დედამიწას, რათა ჩაენთქათ ისინი. ამაოდ! ისინი გრძნობდნენ თავის თავს უკვდავად წვალეებისათვის, უკვდავად სასოწარკვეთილებისათვის. ოჰ! რა სიზმარია ანუ, უფრო ნამდვილი, რომ ვთქვა, რა განცხადებაა!.. როგორც კი ცისკარმა წითლად შეღება ტაძრის თავები, მე ავდექი, მაგრამ გული შიშისაგან კიდევ მეხუთებოდა, ფანჯარასთან დავჯექ, რომ გრილი ჰაერი მესუნთქა. უცრად საშინელი ყვირილი მომესმა შუაგულ ქალაქიდან. წყევა — კრულვის ხმა, უფრო საშინელი, ვინემ აზობოქრებულ — აღელვებულ ოკიანეს ღმუილი, მოდიოდა ჩემამდე. მე სმენად გადავიქეცი. გული საშინლად მიცემდა, შუბლზე ცივი ოფლი



მასხამდა. უცბათ შევნიშნე, რომ ეს ყვირილ — ღრიანცელი უფრო და უფრო ახლოვდებოდა; აურაცხელი ხალხის სიმძიმის გამო მარმარილოს კიბე, პრეტორში შესასვლელი, ჰხუთავდა. უცოდინარობის გამო, სულშეწუხებული მე ავდექი, ავიყვანე ხელში ჩემი ვაჟი, შემოვახურე მოსახურავის კალთები და გავემურე ქმართან. როცა მივედი სამსაჯულოს შინაგან კარამდე და გავიგონე შიგ ხმაურობა და ყვირილი, ვეღარ გავბედე შესვლა და მხოლოდ ფარდა ავსწიე... რა დავინახე, ფუბლია! — პილატე ზის თავის სამეფო სპილოს ძვლის ტახტზე მთელი იმ დიდებით, რომელსაც რომი ანიჭებს თავის წარმომადგენლებს; მაგრამ მიუდგომელ გამომეტყველებაში, რომლის სახის მიღებას ის სცდილობდა, მე წავიკითხე ძლიერი მღელვარება. მის წინ ხელეშეკრული, ძალით ტანისამოსშემოხეული და შუბლგასისხლიანებული იდგა იესო ნაზარეველი, მშვიდი, გაჩერებული, მას სახეზე არ ემჩნეოდა არც ამპარტავნება, არც შიში. ის იყო წყნარი, როგორც უმანკობა; მშვიდი როგორც კრავი; მაგრამ მისი სიმშვიდე გულს მივსებდა მე შიშით და საოცრებით. იმიტომ, რომ მე კიდევ მესმოდა ჩემი სიზმრების სიტყვები: «მიზღვევით სისხლი, რომელიც მე თქვენთვის დავღვარე!» მის გარშემო ჰბორგავდა საზიზღარი ბრბო, რომელსაც მოეყვანა ის სამსაჯულოში; ბრბოს შეერთებოდა რამოდენიმე დარაჯი, სამღვდელონი და ფარისეველნი შეუპოვარნი და კადნიერნი. მათი გამოცნობა ადვილი იყო იმ რუქით სხვადასხვა ჯურის ტექსტების ზე წარწერით, რომლებსაც ისინი ატარებდნენ შუბლზე. ყველა ეს საშიშარნი პირნი სიძულვილით იყვნენ აღვსილნი, თითქოს ჯოჯოხეთს აღბდღვიალებდა მათ თვალებში და ბოროტნი სულნი ზენაარისა უერთებდნენ თავიანთ ხმებს იმათ მძვინვარე გამმაგებულ, ცოფმორეულ ყვირილს, ბოლოს პილატემ ანიშნა და ჩამოვარდა სიჩუმე. — «რა გნებავთ ჩემგან?» — იკითხა პილატემ. — «ჩვენ ვთხოულობთ ამ კაცის, იესო ნაზარეველის სიკვდილს». — უპასუხა ერთმა მღვდელოთაგანმა ხალხის მაგიერ. იროდი გიგზავნის მას განსასჯელად. — «რა ბრალსა სდებთ მას? რაში მდგომარეობს მისი დანაშაულობა?» — ამ კითხვასთან ერთად ხელახლა გაისმა გრიალი: — «ეგ უქადის ტაძარს დაქცევას, ეგ უწოდებს თავის თავს მეუფედ ურიათა, ქრისტედ, ღვთის ძედ, შეურაცხყოფას აყენებს მღვდელმთავართა — შვილთა აარონისათა,» ღრიალებდნენ ლევიტელები. — «ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!» ყვიროდა გამძვინვარებული ხალხი. ახ ფუბლია! ეს სასიკვდილე ღრიალი.

დღემდე ჩემ ყურებში ისმის და იმ დროიდან სახე უმანკო მსხვერპლისა განუწყვეტლად მეხატება თვალწინ. პილატე მიუბრუნდა იესოს, ხმა აღიმადლა და ალერსით ჰკითხა: — «შენა ხარ მეუფე ურიათა?» — «შენ იტყვი» — უპასუხა მან. — «შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა?» — იესომ პასუხი არ გასცა. ხალხის ღრიალი განახლდა და ჰგავდა იგი მშვიერ ვეფხვთა ბრდღვინვას. — «მოგვეც ჩვენ ეგე! ჯვარს აცვ ეგე!» პილატემ გააჩუმა ისინი და უთხრა: — «მე ვერავითარ ბრალს ვერ ვპოვებ ამ კაცში და მინდა გაუშვა იგი». — «მოგვეც ჩვენ ეგე! ჯვარს აცვ ეგე!» — იყო პასუხი. მე მეტი ვეღარ ავიტანე, დაუძახე მონას, გავგზავნე ქმართან და შეუთვალე, ერთ წამს ვენახე. პილატემ მაშინვე დასტოვა სამსაჯულო და მოვიდა ჩემთან; მე დავიჩოქე მის წინ და ვუთხარი: — «გაფიცებ ყველაფერს, რაც შენთვის ძვირფასია,



გაფიცებ ამ ბავშვს, ამ ჩვენი შეერთების საღმრთო წინდს, ნუ იქნები თანაზიარი მაგ მართლის სიკვდილისა, რომელიც მსგავსია უკვდავი ღმერთებისა, მე წუხელი საოცარ სიზმარში ვიხილე იგი, შემოსილი ღვთაებრივი დიდებით. ის ასამართლებდა კაცთა, რომელნიც თრთოდნენ მის წინაშე და იმ უბედურთა აჩრდილთა შორის, რომელნიც ცეცხლის ალის უფსკრულში ცვიოდნენ, მე ვიცანი ის პირნი, რომელნიც ახლა თხოულობდნენ მის სიკვდილს. უფრთხილდი არ მიუსაჯო მას სიკვდილი!.. ოჰ! უფრთხილდი არ აიღო მაგაზე სიწმინდის მპარავი ხელები. მერწმუნე, ერთი წვეთი მაგის სისხლისა საუკუნო გმობის ბეჭედს დაგასვამს. — ყოველივე, რაც ხდება, მე თვითონ თავზარსა მცემს,» — მიპასუხა პილატემ: — «მაგრამ რა შემძლია, რომ ვქმნა! რომაელთა ჯარი ძლიერ მცირეა და მათი ძალა მეტად სუსტია წინააღმდეგ ამ ხალხისა, რომელიც თითქოს ემძაკთაგან არის აღმრული. დალუპვა მოგველის ჩვენ და ეს გასამართლება მომაგონებს ევდემინთა ტაძარს, რომლისგანაც მოელიან არა მართლმსაჯულებას, არამედ შურისძიებას. დამშვიდდი კლავდია, ბაღში ჩადი, თავი შეიქციე ბავშვთან, შენი თვალები არ გაჩენილან ამ სისხლით სავსე მოედნის საცქერლად...» ამ სიტყვებით ის გავიდა. როცა მარტო დავრჩი, მე შემიპყრო სასოწარკვეთილებამ. იესო კიდევ სამსაჯულოს წინ იდგა, როგორც საგანი ხალხისა და მხედრობის დაცინვისა და შეურაცხყოფისა, რომელთა მძვინვარება და გულისწყრომა შეედრებოდა მხოლოდ იესოს უძლეველ მოთმინებას. პილატე ჩაფიქრებული მიუბრუნდა თავის დასაჯდომელს. მისი შესვლისთანავე წინანდელზე უფრო დამაყრუებელი ყვირილი, «სიკვდილი, — სიკვდილი მაგას!» — გაისმა. პასექობაზე ძველი ჩვეულების თანახმად მმართველი ყოველთვის ათავისუფლებდა ხოლმე ერთ პყრობილთაგანს კეთილმოქმედებისა და მოწყალების ნიშნად. ამ ღვთის სათნო საქმეში ის ყოველთვის ხალხს შეეკითხებოდა ხოლმე. ამ ჩვეულებით პილატემ მოინდომა იესოს განთავისუფლება და უთხრა ხმამაღლა ხალხს: — «რომელი გავანთავისუფლო დღესასწაულის გამო: ბარაბა თუ იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე?» — «ბარაბა!» — შეჰყვირა ბრბომ. ბარაბა იყო ავაზაკი და კაცის მკვლეელი, თავისი სისასტიკით ცნობილი ყველგან. პილატემ კიდევ ჰკითხა: — «და რა უნდა ვუყო იესო ნაზარეველს?» — «ჯვარს აცვ!» — «მაგრამ რა ბოროტი უქმნია მას?» — შეუბრუნა პილატემ სიტყვა. გულისწყრომით გატაცებულმა ბრბომ კვლავ შესძახა: — «ჯვარს აცვ იგი!» სასოწარკვეთილმა პილატემ თავი ჩაჰკიდა. ბრბოს თანდათან გაძლიერებული თავხედობა და კადნიერება, ჩანდა მუქარას უცხადებდა მის უფლებას, რომის სახელის უფლებას, რომელსაც ის ეგრე დიდად აფასებდა და რომელსაც იერუსალიმში არ გააჩნდა სხვა დამცველი, გარდა თავისი დიდებისა, რადგანაც ჯარის ძლიერ მცირე რიცხვმა შეფიცა ჩვენს არწივებს. აღელვება ყოველ წამს მატულობდა. არასოდეს არც ცირკის სასტიკ ხმაურობას, არასოდეს არც ფორუმის ცილობას ეგეთი გავლენა არ ჰქონია ჩემს სმენაზე. არსად მოსვენება არ იყო. მას მხოლოდ მსხვერპლის დიდებულ შუბლზე დაესადგურებინა. შეურაცხყოფამ, ტანჯვამ, სამარცხვინო და საშინელი სიკვდილის.

მოახლოებამ, ვერაფერმა ვერ შესძლო დაეხნელებინა ეს ზეციური ნათელი მხედველობა. ეს თვალები, რომლებმაც დაუბრუნეს სიცოცხლე იაიროსის ასულს,



უცქეროდნენ თავის ჯალათებს გამოუთქმელი სიმშვიდით და სიყვარულით. ის უეჭველია, იტანჯებოდა, მაგრამ იტანჯებოდა მისი სიხარულით, სული მისი კი ეტყობოდა, გაფრენას აპირებდა უხილავი ღვთაების ტახტისაკენ, როგორც ალი ყოვლად დასაწველი მსხვერპლისა. პრეტორი სავსე იყო ხალხით, რომელიც აღშფოთებული ნაკადულის მსგავსად, სიჩქარით დაიძრა სიონის ქედიდგან, სადაც იყო აგებული ტაძარი, სამსაჯულო სახლამდე და ყოველ წამს ახალ — ახალი ხმები უერთდებოდა ამ ჯოჯოხეთის ღრიანცელს. ჩემმა ქმარმა, დაქანცულ — დაღალულმა და შეშინებულმა, ბოლოს დაუთმო. ოჰ! საუკუნოდ დაღუპული საათი! პილატე ადგა. ექვი და სასიკვდინე შიშის ზარი ეხატებოდა მას პირისახეზე. მნიშვნელოვანი მოძრაობით ამოიბანა მან ხელი წყლით სავსე ურნაში და წარმოსთქვა: — «უბრალო ვარ მე სისხლისაგან ამა მართლისა». — «ჩვენზედა და ჩვენ შვილებზედა იყოს სისხლი მაგისი!» — დაიღრიალა უბედურმა უგუნურმა ხალხმა და შემოეხვია იესოს გარშემო. ჯალათებმა გაშმაგებით გაიტაცეს ის. მე თვალი გავაყოლე მსხვერპლს, რომელიც უკვე მიჰყავდათ დასაკლავად. ამ საშინელი ბოროტმოქმედების დაწვრილებითი ამბავი მიორკეცებდა მწუხარებას. ჩემი აუტანელი გულისტკივილის გამო მე ვგრძნობდი, რომ ამ უბედური დღის შემთხვევაში იყო რაღაც არაჩვეულებრივი, ზესთა — ბუნებრივი. ცა თითქოს თანაუგრძნობდა ჩემი სულის მგლოვარებას. უშველებელი ღრუბლები მსგავსი საშინელ მოჩვენებათა თავს დასტრიალებდნენ დედამიწას და იმათ გოგირდოვან გულიდან გამოკრთოდა ფერმიხდილი ელვა... ქალაქი, რომელიც დილის განმავლობაში ეგრე ხმაურობდა, ახლა დაღვრემილი და მდუმარე იყო თითქოს სიკვდილს გადაეფარებინა მისთვის შავი ფრთებიო. მოჩვენებათა გამოუთქმელმა შიშის ზარმა გამაშტერა მე ერთ ადგილას. ჩავიკარი გულში ჩემი შვილი და მოველოდი რაღაცას, მაგრამ რას მოველოდი, არ ვიცოდი. დღის მეცხრე საათზე ძლიერ დაბნელდა, მიწა საშინლად იძრა. ყველაფერი თრთოდა. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ქვეყანა იქცეოდა და სტიქიონი უბრუნდებოდა წინანდელ ქაოსს. მე ძირს დავეშვი. ამ დროს ერთი ჩემი მოახლეთაგანი, ტომით ურიის ქალი, გაყვითლებული, სასოწარკვეთილი გამტერებული შემოვიდა ოთახში და დაიყვირა: — «დადგა უკანასკნელი დღე! ღმერთი გვაუწყებს ამას სასწაულთა ფარდა ტაძრისა; რომელიც ფარავდა წმიდა — წმიდათას, ორად გაიპო, — ვაი წმიდა ადგილს! ამბობენ ბევრი საფლავი გაიღო და ბევრმა ნახეს აღდგომილნი მართალნი, იერუსალიმში დაღუპულნი — წინასწარმეტყველნი, მღვდელნი, ზაქარიადან დაწყებული, რომელიც ტაძარსა და სამსხვერპლოს შუა მოკლულ — იქმნა იერემიამდე, რომელმაც იწინასწარმეტყველა სიონის დაქცევა. მკვდრები გვაუწყებდნენ ჩვენ ღვთის რისხვას. უზენაესის მიერ მოვლენილი სასჯელი ვრცელდება ცეცხლის სისწრაფით». უცბათ თვალი დამიბნელდა, გული ისე ამიძგერდა, რომ მეგონა, აღსასრულის დღე მოახლოვდა. მე გონებაზე მოვედი ჩემი მოახლეების კალთებზე იმ ფანჯრის ახლოს, რომელიც გადაჰყურებდა სამსაჯულოს ეზოში. მე გავიხედე და დავინახე დაღვრილი სისხლის კვალი. —

— აქ შოლტით სცემეს ნაზარეველს. — თქვა ერთმა მოახლეთაგანმა. —

— იქ კი ეკლის გვირგვინი დაადგეს. — თქვა მეორემ. —



— მხედრები დასცინოდნენ მას, ეძახოდნენ მას ურიების მეფეს და სცემდნენ ყვრიმალში, ახლა ის სულს ებრძვის! — თქვა მესამემ.

ეს სიტყვები ისარივით მესობოდნენ გულზე. ამ სიტყვებთან ერთად მე მომეჩვენა, რომ გონებას ვკარგავდი! ავდექი, ფეხი ძლივსძლივობით გადავდგი და გავედი კიბეზე, იქ შევხვდი ასისთავს, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა იესოს დასჯაში. ეს იყო დამსახურებული სალდათი, რომელიც გერმანელებთან და სხვა ხალხთან ომებში გაჭაღარავებულიყო. არასოდეს მეტად გაბედული გული არ სცემდა მეტად მტკიცე მკერდში, მაგრამ ამ წუთში ის იყო აღშფოთებული და მოუძღვრებული ტანჯვისა და სინანულის გამო. მე მინდოდა ყველაფერი გამომეკითხა, მაგრამ მან ყურადღება არ მომაქცია და თავისთვის ჩუმი იმეორებდა: — «ის ვინც ჩვენ მოვკალით, იყო ჭეშმარიტად მე ღვთისა!» მე შევედი დიდ დარბაზში. იქ იჯდა პილატე. პირისახე ხელებით დაეფარა, ჩემს შესვლაზე თავი ასწია და სასოწარკვეთილებით მითხრა: — «რატომ არ დავიფარე მე ეს ბრძენი, თუნდა საკუთარი სიცოცხლის დადებით?! ახ! რატომ არ დაგიჯერე, კლავდია! ჩემი დაკოდილი გული ამის შემდგომ ველარ იგემებს მოსვენებას». რა პასუხი უნდა მიმეცა, როდესაც მე თვითონ ჩემთვის ვერ ვპოულობდი ნუგეშს ამ უბედურებაში, რომელმაც საუკუნო დაღუპვის ბეჭედი დაგვასვა? სიჩუმეს მხოლოდ არღვევდა ჭეჭა — ქუხილის გრიალი, რომელიც საშინლად გაისმოდა ჩვენი სასახლის თაღებქვეშ. ამ ელვა ჭეჭაში ვიღაც მოხუცი მოადგა ჩვენი სასახლის კარებს, შემოიყვანეს თუ არა ჩვენთან, ის თვალცრემლიანი დავარდა პილატეს წინ. — «ჩემი სახელი იოსებ არიმათიელია, მე მოვედი შენთან სათხოვნელად, რომ ნება მიბოძო, იესო გარდამოვხსნა და დავასაფლაო ჩემს საკუთარ ბაღში». — «წაიღე!» — უპასუხა პილატემ ზეაუხედავად. მოხუცი გავიდა. მე დავინახე, რომ მას შეუერთდა ჩადრწამოსხმულ დედაკაცთა ჯგუფი, რომელიც ელოდებოდა მას კარების ფარდულში. ასე გათავდა ეს საბედისწერო დღე. იესო დაასაფლავეს გამოქვაბულ კლდეში. გამოქვაბულის შესავალში მცველები დააყენეს. მაგრამ ფუბლია! მესამე დღეს ის გაბრწყინებული დიდებით და ძლევით გამოცხადდა ამ საფლავზე! ის აღსდგა! აღასრულა რა თავისი წინასწარმეტყველება და სძლია რა სიკვდილს, გამოეცხადა თავის მოწაფეებს, თავის მეგობრებს და ბოლოს მრავალრიცხოვან კრებას. ეგრე მოწმობდნენ მასზედ მოწაფენი მისნი, — მოწმობა ესე დამტკიცებულ არს მათი სისხლით, რომელიც მათ დაღვარეს უფლის იესოსათვის მთავართა და მსაჯულთა წინაშე. ყველაზე უფრო ნამდვილად მოწმობს მასზედ მისი სწავლა, რომელიც გადასცა მან რამდენიმე ტიბერიელ მეთევზეს. ეს სწავლა უკვე მთელ იმპერიაში გავრცელდა. ეს კაცები უბრალონი, უმეცარნი, თავმდაბალნი, უცბათ შეიქმნენ მჭერმეტყველნი და გამბედავნი, გულოვანნი. ახალი სარწმუნოება იზრდება, როგორც საჩრდილობელი ხე, რომელიც ოდესმე დაფარავს რომის სახელსა, სჯულსა და დიდებას. იმ დროიდან არაფერში წარმატება არა აქვს ჩემს ქმარს. თავის მოქმედებანი დამნაშავედ ცნობილი სენატორი და თვით ტიბერიოსის მიერ, ურიების სიძულვილის ნადავლი, საზიზღრად ქცეული მათთვის, რომელთა გულისთქმას ემსახურებოდა, იგი დღეს ატარებს საწამლავითა და ტანჯვით სავსე სიცოცხლეს! მე სრულიად



განმარტოებული დავრჩი. სალომე და სემიდა მე შიშით მიცქერდნენ, როგორც იმათ მიერ შეყვარებული უფლის მდევენელის და ჯალათის ცოლს, რადგანაც ისინი გახდნენ მოწაფენი იმისა, ვინც ისინი ერთიმეორეს დაუბრუნა. მიუხედავად მათი გულკეთილობისა, მე ვხედავდი ჩემს მიახლოებების დროს იმათ პირისახეზე უნებურ თრთოლვას და მალე მივანებე თავი მათთან სიარულს. მე ჩემს მარტოობაში ღრმად ჩავუკვირდი და თანდათან შევისწავლე იესოს ზოგიერთი ზნეობრივი სწავლა, გადმოცემული სალომეს მიერ და ჩემგან დაწერილი. ოჰ! ჩემო მეგობარო! რა არის უმნიშვნელო და ამაო სიბრძნე ჩვენი ქურუმებისა ამ სწავლასთან შედარებით, რომელიც მხოლოდ ერთ ღმერთს შეეძლო ეანდერძებინა ქვეყნისათვის! ოჰ! რა.

ღრმა სიბრძნეა ამ სიტყვებში, რაზომ აღსავსეა ისინი მშვიდობით და მოწყალებით! მათი ხშირი კითხვა ჩემი ერთადერთი ნუგეშია. რამოდენიმე თვის შემდეგ პილატე სამსახურიდან დაითხოვეს და ყველა უფლება ჩამოართვეს. ჩვენ დავბრუნდით ევროპაში და ქალაქიდან ქალაქში ხეტიალის დროს თან ვატარებდით მთელ იმპერიაში აღშფოთებული და სასოწარკვეთილებით დაღლილი სულის მწუხარებას. მე წავყევი მას, კაენსაც გაჰყვა თავისი ცოლი, როგორც ამბობენ ურიები, მაგრამ როგორია მასთან ცხოვრება! მეგობრობა, მეუღლეობრივი ნდომა ჩვენს შორის არ არსებობს. ის ხედავს ჩემში თავის დანაშაულობის ცხადად გამხსენებელ მოწმეს. მე ვხედავ ჩვენს შორის აღმართულ გასისხლიანებული ჯვარის სახეს, რომელზედაც მან, უსამართლო მსაჯულმა, მიაჭედა უდანაშაულო მართალი და ვერ ვხედავ შევხედო მას ჩემი თვალებით. ბგერა მისი ხმისა, რომელმაც წარმოსთქვა განჩინება, გულს მიყინავს და როცა სადილ — ვახშმის შემდგომ ის ხელს იბანს, მე მგონია, რომ ის ხელებზე წმიდა წყალს კი არ ისხამს, არამედ მჩქეფარე აორთქლებულ სისხლს, რომლის კვალის აღხოცვა შეუძლებელია. ერთხელ მე მიხდოდა მომელაპარაკა მასთან სინანულზე და უზენაესის მიერ შეწყალებაზე. მაგრამ არასოდეს დამავიწყდება მე არც მისი მხეცური შემოზღვერა და არც ის სასოწარკვეთილებით სავსე სიტყვები, რომელნიც წარმოსთქვა მისმა პირმა. მომიკვდა ჩემი ვაჟი, ჩემი საყვარელი ვაჟი, ჩემსავე კალთაში და... მე არ მიგლოვია იგი... ბედნიერია! ის მოკვდა, ის განთავისუფლდა წყევლისაგან, რომელიც ჩვენ ყველგან თან გვდევს, მან მოიშორა საშინელი ტვირთი თავისი მამის სახელისა. უბედურება ჩვენ ყველგან თან გვდევს, ვინაიდან ყველგან უკვე არიან ქრისტიანები. აქ, ამ უბედურ ქვეყანაშიც, სადაც ჩვენ ვითხოვეთ თავშესაფარი, ნისლიან ზღვისპირად, გაუხარელ კლდოვან ადგილზე, აქაც მესმის მე, რა ზიზღით წარმოითქმის ჩემი ქმრის სახელი! მე გავიგე კიდევ, რომ მისმა მოწაფეებმა, როცა ისინი მისი სწავლების საქადაგებლად და გასავრცელებლად მიდიოდნენ და ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, დასწერეს თავისი სარწმუნოების განსამარტავად ეს საშინელი სიტყვები: — «ის ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელი პილატეს დროსო!» საშინელი წყევლა, რომელსაც განიმეორებენ საუკუნეთა საუკუნენი! მშვიდობით ფუბლია! გებრალეობდე! მართლმსაჯული ღმერთი შეგეწიოს და მოგცეს შენ ყოველი ბედნიერება, რომელიც ჩვენ ოდესღაც გვინდოდა ერთი — მეორისათვის.





ბჰაგავატ გიტა



ბჰაგავატ გიტა

(1) თავი პირველი

1. დჰრტარაშტრამ თქვა: ო სანჯაია, როგორ მოიქცნენ მწირობის ადგილას, კურუკშეტრაზე შეკრებილი ბრძოლის ჟინით აღსავსე ჩემი და პანდუს შვილები?
2. სანჯაიამ თქვა: ო, მეფეო! თვალი მოავლო რა პანდუს შვილთა მიერ განლაგებულ ლაშქარს, მეფე დურიოდჰანა თავის მოძღვარს მიუახლოვდა და შემდეგი სიტყვები წარმოთქვა.
3. ო ჩემო მოძღვარო, შეხედე პანდუს შვილთა ძლევამოსილ ლაშქარს, ასე უნარიანად რომ განულაგებია შენს გონიერ მოწაფეს, დრუპადას ძეს.
4. ამ ლაშქარში მრავალი გმირი მშვილდოსანია, რომელიც ბრძოლაში ბჰიმასა და არჯუნას არ ჩამოუვარდება. მათ შორის არიან იუიუდჰანა, ვირატა და დრუპადას დარი დიადი მეზრდოლები.
5. იქ არიან დჰრშტაკეტუს, ჩეკიტანას, კაშიჯარას, პურუჯიტის, კუნტიბჰოჯასა და შაიბიას მსგავსი დიადი, გმირი, ძლევამოსილი მეომრები.
6. იქ არიან ძლევამოსილი იუდჰამინიუ და უძლიერესი უტტამაუჯა, სუბჰადრას ძედა ა დრაუპადის ვაჟიშვილები. ყოველ ამ მეომარს ეტლზე ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს.
7. ო შეუდარებელო ბრაჰმანო, ნება მიბოძე ჩვენი მხედართმთავრების შესახებაც მოგახსენო, ისინი განსაკუთრებული თვისებებით არიან შემკული და ჩემი სამხედრო ძალების წინამძღოლობას იმსახურებენ.
8. ესენი ხართ შენ, ბჰიშმა, კარმა, კრპა, აშვატთჰამა, ვიკარნა და სომადატტას ვაჟი, სახელად ბჰურშიშრავა, რომელთაც მუდამ თაბნ ახლავთ გამარჯვება.
9. აქ შეხვდები მრავალ სხვა გმირსაც, რომლებიც მუდამ მზად არიან თავი გასწიონ ჩემთვის. ყველა შესაფერისადაა ათასგვარი იარაღით აღჭურვილი და გამოცდილია სამხედრო ხელოვნებაში.
10. ჩვენი ძალები განუზომელია და ბაბუა ბჰიშმა მშვენივრად გვიცავს, მაშინ როცა შეზღუდულია პანდავთა ძალები, რომელთაც საგულდაგულოდ მფარველობს.
11. ახლა ყველანი ბოლომდე მხარში უნდა ამოუდგეთ ბაბუა ბჰიშმას, როგორც კი ლაშქარის რიგების შესასვლელში სათანადო სტრატეგიულ ადგილებს დაიკავებთ.
12. მაშინ კურუთა დინასტიის დიდმა, მამაცმა მამამთავარმა, მეომართა ბაბუა ბჰიშმამ ხმამაღლა ჩაბერა თავის ნიჟარას და გამოსცა ლომის ღრიალის მაგვარი ხმა, რამაც სიხარულით აავსო დურიოდჰანას გული.
13. ამის შემდეგ უეცრად გაისმა მთელი ნიჟარების დოლების, ბუკების, საყვირებისა და რქების ყურისწამლები ხმა.
14. მოპირდაპირე მხრიდან, თეთრი ცხენებით შებმულ ეტლში მსხდომმა უფალმა კრშნამ და არჯუნამ თავიანთ ტრანსცენდენტალ ნიჟარებს ჩაბერეს.



15. უფალმა კრწნამ ჩაბერა თავის ნიჟარას, რომელსაც პანჩაჯანია ერქვა; არჯუნამ თავისას, დევადატტას, ბჰიმამ კი, გაუმადლარმა და დევემირულ საქმეთა ჩამდენმა, — თავის შიშისმომგვრელ ნიჟარას, რომელსაც პაუნდრა ერქვა.
- 16-18. კუნტის ვაჟიშვილმა, მეფე იუდჰითჰირამ ჩაბერა თავის ნიჟარა ანანტავიჯაიას, ნაკულამ და საჰადევამ ჩაბერეს სუგჰომასა და მანიპუმჰაკას. აგრეთვე დიადმა მშვილდოსანმა კაშის მეფემ, ძლევა მოსილმა მებრძოლმა შიქჰანდიმ, დჰრშტადიუმნამ, ვირატამ, დაუმარცხებელმა სატიაკიმ, დრუჰადიმ, დრუჰადის ვაჟიშვილებმა და სხვებმა, ო მეფეო, სუბჰადრას მკლავმაგარმა შვილმა, ყველამ თავის ნიჟარას ჩაბერა.
19. ამ ნიჟარების ხმები საშინელ ხმაურში გადაიზარდა, ცა და დედამიწა შეარყია და შეძრა დჰრტარაშტრას ვაჟიშვილთა გულები.
20. ამ დროს პანდუს ვაჟიშვილმა არჯუნამ, რომლის ეტლზეც ჰანუმანის გამოსახულებით დამშვენებული დროშა იყო აღმართული, აიღო მშვილდი და ისრები სასროლად მოამზადა. ო მეფეო, მებრძოლ რიგებად დაწყობილი დჰრტარაშტრას შვილების დანახვაზე არჯუნამ ასე მიმართა უფალ კრწნას.
- 21-22. არჯუნამ თქვა: ო შეუცდომელო, გთხოვ გაიყვანე ჩემი ეტლი ლაშქართა შორის, რათა ვიხილო აქ შეკრებილნი, ბრძოლას მოწყურებულნი, რომლებთანაც მომიწევს შეტაკება ამ დიდ ომში.
23. მაჩვენე ისინი, ვინც საბრძოლველად შეიკრიბნენ აქ, რათა სიამოვნება მოჰგვარონ დჰრტარაშტრას ბოროტ შვილს.
24. სანჯაიამ თქვა: ო ბჰარატას შთამომავალო, არჯუნას ამ მიმართვის შემდეგ, უფალმა კრწნამ მშვენიერი ეტლი მოწინააღმდეგეთა ლაშქართა შუა გაიყვანა.
25. ბჰიშმას, დრონასა და მსოფლიოს დანარჩენი სარდლების თანდასწრებით უფალმა თქვა: ხედავ, პართჰა, ყველა კურუ აქაა შეკრებილი.
26. იქ, ლაშქართა ორივე მხარეს არჯუნამ თავის მამები, ბაბუები, მოძღვრები, დედის მხრიდან ბიძები, ძმები, შვილები, შვილიშვილები, მეგობრები, აგრეთვე სიმამრები და კეთილმსურველები იხილა.
27. ამდენი მეგობრის და ნათესავის ხილვამ კუნტის შვილი სიბრალულით აღავსო და მან თქვა.
28. არჯუნამ თქვა: ჩემს წინაშე მდგომი ბრძოლის სურვლით შეპყრობილი მეგობრებისა და ნათესავების შემყურე ვგრძნობ, რომ კიდურები მიკანკალებს და პირი მიშრება.
29. მთელი ტანი მიკანკალებს, თმები ყალყზე მიდგება, მშვილდი განდივა ხელიდან მივარდება და კანი მეწვის.
30. აქ გაჩერება აღარ შემიძლია, თავი მავიწყდება და გონება მერევა. ამის შედეგად მხოლოდ უბედურება მესახება, ო კრწნა, დემონ კეშის მკვლელი.
31. ვერ გამიგია რას გვარგებს ბრძოლაში საკუთარი ნათესავების დახოცვა, ძვირფასო კრწნა. ამის შემდეგ ხომ ვერც ვისურვებ რაიმე გამარჯვებას, სამეფოს ან ბედნიერებას.




- 32-35. ო გოვინდა, რას გვარგებს სამეფო, ბედნიერება, ან თვით სიცოცხლეც კი, როდესაც ბრძოლის ველზე ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულან ისინი, ვისთან ერთადაც ყოველივე ეს გვინდოდა. ო მადჰუსუდანა, როდესაც მოძღვრები, მამები, შვილები, ბაბუები, დედის მხრიდან ბიძები, სიმამრები, შვილიშვილები, სიძეები და სხვა ნათესავები მზად არიან თავი და საკუთრება გასწირონ და ჩემს წინაშე დგანან, რად უნდა მსურდეს მათი მოკვლა, მაშინაც კი, თუკი შეიძლება მათ მომკლან. ო ყოველი ცოცხალი არსების მასულდგმულეზლო, მე არ შევებრძოლები მა თარა მარტო დედამიწის, არამედ სამი სამყაროს სანაცვლოდაც კი. რა სიხარულს მოგვიტანს დჰრტარაშტრას ვაჟიშვილების დახოცვა?
36. ასეთ ბოროტმოქმედთა მკვლელობით ცოდვა მოგვეწევა. ჩვენ არ შეგვფერის დჰრტარაშტრას შვილებისა და ჩვენი მეგობრების დახოცვა. ო კრშნა, ბედის ქალღმერთის მეუღლე, როგორ ვიქნებით ბედნიერი, თუკი საკუთარ ნათესავებს სიცოცხლეს გამოვასალმებთ?
- 37-38. ო ჯანარდანა, თუმცა ეს ადამიანები, გულები რომ სიხარბით აქვთ აღსავსე, საკუთარი ოჯახის მოსპობაში, ან მეგობრებთან ჩხუბში ცუდს ვერაფერს ხედავენ, რატომ უნდა ჩავიდინოთ ეს ცოდვა ჩვენ, ოჯახის განადგურებაში დანაშაულს რომ ვხედავთ?
39. საგვარეულოს მოსპობით ოჯახის საუკუნო ტრადიციები ისპობა, რის გამოც ოჯახის დარჩენილი წევრები არარელიგიურ საქმეებში ებმებიან.
40. როდესაც ოჯახში არარელიგიურობა ბატონობს, ო კრშნა, ოჯახის ქალები იბილწებიან და ქალთა დეგრადაციის შედეგად, ო ვრშნის შთამომავლო, არასასურველი შთამომავლობა ჩნდება.
41. არასასურველი მოსახლეობის მოჭარბება უთუოდ აუტანელს ხდის ოჯახისა და საოჯახო ტრადიციების დამანგრეველთა სიცოცხლეს. ასეუტ წახდენილ ოჯახთა წინაპრები ეცემიან, ვინაიდან მათთვის საჭმლისა და წყლის შეთავაზება წყდება.
42. ოჯახური ტრადიციების დამანგრეველთა ავი საქმეებით დასაბამი ეძლევათ არასასურველ შვილებს, ისპობა ერთობათა ყოველგვარი გეგმები და ოჯახური კეთილდღეობის საქმიანობები.
43. ო კრშნა, კაცობრიობის მასულდგმულეზლო, მოწაფეობრივი თანმიმდევრობისაგან მსმენია, რომ ჯოჯოხეთია ოჯახური ტრადიციების დამრღვევთა საუკუნო საცხოვრებელი.
44. ვაი, რა საოცარია, რომ მზად ვართ უმძიმესი ცოდვები ჩავიდინოთ. სამეფო ბედნიერებით განცხრომას მოწყურებულთ საკუთარი ნათესავების დახოცვა განგვიზრახავს.
45. მირჩვენია უიარალო და წინააღმდეგობის სურვილს მოკლებული იარაღსხმულმა დჰრტარაშტრას შვილებმა მომკლან ბრძოლის ველზე.
46. სანჯაიამ თქვა: წარმოთქვა რა ეს ბრძოლის ველზე, არჯუნამ მშვილდ-ისარი გადადო და ეტლში ჩაჯდა. სევდას მოეცვა მისი გონება.



(2) თავი მეორე გიტას მოკლე შინაარსი

1. სანჯაიამ თქვა: გონებადათრგუნული, სიბრალულით აღსავსე და თვალცრემლიანი არჯუნას დანახვაზე მადკუსუდანამ, კრშნამ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა.
2. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ჩემო ძვირფასო არჯუნა, როგორ დაგეუფლა ასეთი უწმინდურება? ეს სრულიად არ შეშვენის მას, ვისაც შეგნებული აქვს ცხოვრების მნიშვნელობა. ეს გზა უმაღლეს პლანეტებამდე კი არა, სირცხვილამდე მიგიყვანს.
3. ო პრთჰას შვილო, ნუ დანებდები ამ დამამცირებელ უძლურებას. ეს შენ არ შეგფერის. არ აჰყვე დამაკნინებელ გულის სისუსტეს და აღსდექ, ო მტრის შემმუსვრელო.
4. არჯუნამ თქვა: ო მტრის შემმუსვრელო, ო მადკუს მკვლელო, ბრძოლაში ისრებით როგორ მოვიგერიო სეთი ხალხი, როგორც არიან ბჰიშმა და დრონა, ჩემი თაყვანისცემის ღირსნი?
5. უმჯობესია ამქვეყნად თავი მათხოვრობით გავიტანო, ვიდრე ჩემს მოძღვართა, დიად სულთა სიცოცხლის ფასად ვიარსებო. ამქვეყნიური მოგების სურვილიც რომ ამოდრავებდეთ, მაინც უფროსები არიან. თუკი მათ მოვკლავთ, ყველაფერი, რითაც დავტკბებით, სისხლით იქნება შეღებილი.
6. არც ის ვიცი რა გვიჯობს — დავამარცხოთ ისინი, თუ დავგამარცხოთ მათ. თუკი დჰრტარაშტრას შვილებს მოვკლავთ, სიცოცხლე არ უნდა გვინდოდეს. ახლა კი ისინი ბრძოლის ველზე ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულან.
7. ახლა მოვალეობამ საგონებელში ჩამაგდო და მდაბიურმა სისუსტემ მოსვენება დამიკარგა. გთხოვ, დანამდვილებით მითხარი, რა არის ჩემთვის უკეთესი. ახლა შენი მოსწავლე და შენზე მინდობილი სული ვარ. გთხოვ, მასწავლე.
8. არ ვიცი რით გავიქარვო სევდა, რომელიც გრძნობებს მიშრობს. მას მაშინაც ვერ ვძლევ, თუკი დედამიწაზე აყვავებულ, სწორუპოვარ სამეფოს დავიპყრობ, ისეთსავე დამოუკიდებელს, როგორც ნახევარღმერთებს აქვ ზეცაში.
9. სანჯაიამ თქვა: ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, არჯუნამ, მტრის შემმუსვრელმა მიმართა კრშნას, “გოვინდა, მე არ ვიბრძოლებ” და ჩაჩუმდა.
10. ო ბჰარატას შთამომავალო, ამ დროს ორ ლაშქარს შუა მდგომმა პირმოცინარმა კრიშნამ ასეთი სიტყვებით მიმართა სევდით განგმირულ არჯუნას.
11. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ბრძენივით ლაპარაკობ, მაგრამ დასტირი იმას, რაც მწუხარებად არა ღირს. ბრძენნი არ გლოვობენ არც ცოცხალზე და არც მკვდარზე.
12. არასოდეს ყოფილა ისეთი დრო, როცა მე, შენ ან ყველა ეს მეფეები არ ვარსებობდით; მომავალშიც არც ერთ ჩვენგანს სიკვდილი არ გვიწერია.
13. როგორც ხორცშესხმული სული გამუდმებით გადადის ამ სხეულში ბავშვობიდან სიჭაბუკეში და სიჭაბუკიდან სიბერეში, სწორედ ასევე

- სიკვდილის ჟამს სული გადადის სხვა სხეულში. გონიერ ადამიანს არ ატყუებს ასეთი ცვლილება.
14. ო კუნტის შვილო, ბედნიერებისა და უბედურების წარმავალი გამოჩენა და დროთა ვითარებაში მათი გაუჩინარება ზამთრისა და ზაფხულის გამოჩენა-გაუჩინარებას ჰგავს. ისინი გრძნობათა აღქმიდან აღმოცენდება, ო ბჰარატას შთამომავლო და ადამიანმა უნდა ისწავლოს შეუშფოთებლად მათი მოთმენა.
 15. ო კაცთა შორის საუკეთესოვ (არჯუნა), პიროვნება, რომელსაც არ აწუხებს ბედნიერება და ტანჯვა და რომელიც ორივეს მიმართ მტკიცეა, უდაოდ ღირსია განთავისუფლებისა.
 16. ჭეშმარიტების მხილველებმა დაასკვნეს, რომ არარსებული (მატერიალური სხეული) დღეგრძელი არ არის და რომ მარადიულს (სულს) ცვლილება არ უწერია. ამ დასკვნამდე ისინი ორივეს ბუნების შესწავლის საფუძველზე მივიდნენ.
 17. იცოდე, რომ ის, რაც მთელ სხეულს გამსჭვალავს, ურღვევია. არავის ძალუმს ამ უხრწნადი სულის განადგურება.
 18. უხრწნადი, განუზომელი და მარადიული ცოცხალი არსების მატერიალურ სხეულს აუცილებლად სიკვდილი უწერია; ამიტომ იბრძოლე, ბჰარატას შთამომავლო!
 19. ცოდნა არა აქვს მას, ვინც თვლის, რომ ცოცხალი არსება მკვლეელია და არც მას, ვისაც ჰგონია, რომ ცოცხალი არსება კვდება, ვინაიდან სული არც არავის კლავს და არც კვდება.
 20. სულისათვის არასოდეს არსებობს დაბადება ან სიკვდილი. იგი არც გაჩენილა, არც ჩნდება და არც გაჩნდება. არშობილი, მარადიული, მუდამ არსებული და თავდაპირველია. იგი არ კვდება სხეულის მოკვლასთან ერთად.
 21. ო პართჰა, როგორ უნდა მოკლას ვინმე ან მკვლელობის მიზეზი გახდეს ის, ვინც იცის, რომ სული ურღვევი, მარადიული, არშობილი და უცვლელია?
 22. ასევე როგორც ადამიანი იხდის ძველ ტანსაცმელს და ახლით იმოსება, სულიც ასევე ღებულობს ახალ მატერიალურ სხეულებს, როცა ძველსა და უვარგისს ტოვებს.
 23. სული არც რაიმე იარაღით იჭრება, არც ცეცხლით იწვის, არც წყალში სველდება და არც ქარში შრება.
 24. ეს ინდივიდუალური სული დაუნაწევრებელი და უხსნადია და შეუძლებელია მისი დაწვა ან გამოშრობა. იგი მარადიული, ყველგანმყოფი, უცვლელი, უძრავი და მუდამ ერთი და იგივეა.
 25. ამბობენ, რომ სული უხილავი, წარმოუდგენელი და უცვლელია. თუკი ეს იცი, სხეულზე არ უნდა იდარდო.
 26. თუკი მაინც ფიქრობ, რომ სული (ან სიცოცხლის ნიშნები) მუდამ იბადება და მარად კვდება, მაინც არა გაქვს გლოვეს მიზეზი, ო მკლავმაგარო.
 27. ვინც იბადება მისთვის სიკვდილი გარდუვალია და სიკვდილის შემდეგ კვლავ დაბადება მოელის. ამიტომ ნუ იგლოვებ შენი გარდაუვალი მოვალეობის აღსრულებისას.



28. ყოველი შექმნილი არსება დასაწყისში გამოუვლენელია, შუალედურ მდგომარეობაში ვლინდება და მოსპობისას კვლავ გამოუვლენელი ხდება. მა შრა საჭიროა გლოვა?
29. ზოგი შეჰყურებს სულს, როგორც საოცრებას, ზოგი აღწერს მას, როგორც საოცრებას და ზოგი ისმენს მასზე, როგორც საოცრებაზე, მაშუინ როცა სხვები მოსმენის შემდეგაც კი საერთოდ ვერ ხვდებიან მას.
30. ო ბჰარატას შთამომავალო, შეუძლებელია იმის მოკვლა, ვინც ამ სხეულში ცხოვრობს. ამიტომ ნურც ერთ ცოცხალ არსებაზე ნუ იდარდებ.
31. შენი, როგორც კმატრიას განსაკუთრებულ მოვალეობაზე ფიქრისას იცოდე, რომ შენთვის არ არსებობს რელიგიური პრინციპებისთვის ბრძოლაზე უკეთესი საქმიანობა; ამიტომ ყოყმანი საჭირო არ არის.
32. ო პართჰა, ბედნიერი არიან კმატრიები, რომელთაც ძებნის გარეშე ეძლევათ ბრძოლის ასეთი შესაძლებლობა, რომელიც ზეციური პლანეტებისაკენ უხსნის მათ გზას.
33. მაგრამ თუკი ბრძოლის რელიგიურ ვალს არ მოიხდი, აუცილებლად ცოდვას მოიწევ საკუთარ მოვალეობათა უგულველყოფის გამო და მეომრის სახელს წაიხდენ.
34. ხალხი მუდამ შენ სირცხვილზე ილაპარაკებს, პატივცემულ ადამიანს კი უსახელობას სიკვდილი ურჩევნია.
35. დიადი მხედარმთავრები, რომლებიც ფრიად აფასებენ შენს სახელსა და დიდებას, იფიქრებენ, რომ მხოლოდ შიშმა დაგვატოვებინა ბრძოლის ველი და არარაობად ჩაგთვლიან.
36. მტრები აუგად მოგიხსენიებენ და აბუჩად აიგდებენ შენს უნარს. რა მოგაყენებს ამაზე მეტ ტანჯვას?
37. ო კუნტის შვილო, შენ ან ბრძოლის ველზე მოკვდები და ზეციურ პლანეტებს მიაღწევ, ან მიწიერ სამეფოს დაიმორჩილებ და მით დატკბები. ამიტომ მოუხმე სიმტკიცეს, აღსდექი და იბრძოლე.
38. იბრძოლე ბრძოლისათვის. ნუ იფიქრებ ბედნიერებისა და უბედურებაზე, ზარალსა და მოგებაზე, გამარჯვებასა და მარცხზე. ამ გზით არასოდეს დაიდებ ცოდვას.
39. აქამდე ეს ცოდნა ანალიტიკური შAესწავლის გზით დაგიხასიათე. ახლა ამ ცოდნას კარმიული შედეგების გარეშე შრომის ცნებებით აგიხსნი. ო პართჰას შვილო, ამგვარი ცოდნით მოქმედების შედეგად შრომის მარწუხებიდან განთავისუფლდები.
40. ამგვარი მცდელობისას არ არსებობს ზარალი ან დანაკარგი. ამ გზაზე მცირეოდენ წინსვლასაც შეუძლია ადამიანი ყველაზე სახიფათო შიშისგან დაიფაროს.
41. ამ გზაზე მდგომთ მტკიცე მისწრაფება ამოძრავებთ და მათი მიზანი ერთია. ო კურუთა საყვარელო შვილო, მრავლად განტოტვილია არამტკიცეთა გონება.
- 42-43. ღარიბი ცოდნის მქონე ადამიანები ძლიერად არიან მიჯაჭვულნი ვედების ყვავილოვან სიტყვებს, რომლებიც ზეციურ პლანეტებზე ამალეების, კარგი

დაბადების, ძალაუფლების და სხვათა მოსაპოვებლად სხვადასხვა კარმიული საქმიანობების რჩევას იძლევა. გრძნობათა დაკმაყოფილებისა და მდიდრული ცხოვრების მოსურნენი, ისინი აცხადებენ, რომ ამაზე მაღლა აღარაფერი არსებობს.

44. მათ, ვისი ჭკუაც მეტისმეტად არის მიჯაჭვული გრძნობათა დაკმაყოფილებასა და მატერიალურ სიმდიდრეს, ვინც ამგვარი საგნებით არიან მოტყუებული, მტკიცედ ვერ გადაუწყვეტიათ უზენაესი უფლისადმი ერთგული სამსახური.
45. ვედები უმთავრესად მატერიალური ბუნების სამ მოდუსს ეხება. ო არჯუნა, აღიმართე ამ სამ მოდუსზე მაღლა. განთავისუფლდი ყოველგვარი ორმაგობის, მოხვეჭისა და უსაფრთხოების გამო შფოთვისაგან და განმტკიცდი მეობაში.
46. დიდ წყალსაცავს შეუძლია შეასრულოს ყველა მიზანი, რომელსაც პატარა ჭა ემსახურება. სწორედ ასევე, ვინც ვედების საბოლოო მიზანი იცის, მისთვის ვედების ყოველი მიზანი სრულდება.
47. შენ უფლება გაქვს შეასრულო შენზე დაწესებული მოვალეობები, მაგრამ მოქმედების ნაყოფები შენ არ გეკუთვნის. ნურასოდეს მიიჩნევ თავს საკუთარ მოქმედებათა შედეგების მიზეზად და ნურც მოვალეობის შესრულებას აირიდებ.
48. გაწონასწორებულმა შეასრულე შენი მოვალეობა, ო არჯუნა, თავი ანებე ყოველგვარ მიჯაჭვულობას წარმატებასა და მარცხზე. ამგვარ სიდინჯეს იოგა ეწოდება.
49. ო დჰანანჯაია, ერთგული სამსახურით აირიდე ყოველგვარი საძულველი საქმიანობა და ამ ცნობიერებით მიენდე უფალს. ისინი, ვისაც საკუთარი შრომის შედეგებით ტკბობა სურთ, ძუნწები არიან.
50. ერთგული სამსახურით დაკავებული ადამიანი ამ ცხოვრებაშივე აღწევს თავს როგორც კარგს, ასევე ცუდ საქმიანობასაც. ამიტომ მიესწრაფე იოგას, რომელიც ყოველგვარი შრომის ხელოვნებაა.
51. უფლის ამგვარი სამსახურით დიადი ბრძენები, ანუ ერთგულები, მატერიალურ სამყაროში შრომის შედეგებისგან განთავისუფლდნენ. ამგვარად, მათ თავი დააღწიეს დაბადება-სიკვდილის ციკლს და ყოველ გაჭირვებაზე ამაღლდნენ (დაუბრუნდნენ რა ღმრთეებას).
52. როდესაც შენი გონება ილუზიის უღრანი ტყიდან გამოვა, გულგრილი გახდები ყველაფრის მიმართ, რაც მოგისმენია და რასაც მოისმენ.
53. როდესაც შენ ჭკუას აღარ შეაშფოთებს ვედების ყვავილოვანი ენა და თვითრეალიზაციის ტრანსში განმტკიცდება, მაშინ ღვთაებრივ ცნობიერებას მიაღწევ.
54. არჯუნამ თქვა: ო კრშნა, რა ნიშნები ახასიათებს მას, ვისი ცნობიერებაც ასე ჩაძირულია ტრანსცენდენციაში? როგორ ლაპარაკობს იგი და როგორია მისი ენა? როგორ ზის და როგორ დადის?
55. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ო პართჰა, როდესაც ადამიანი უარს ამბობს ჭკუის მიერ წარმოსახულისგან აღმოცენებულ გრძნობათა დაკმაყოფილების ყოველგვარ სურვილზე და როდესაც მისი ამგვარად



- განწმენდილი ჭკუა კმაყოფილებას მხოლოდ საკუთარ თავში პოულობს, მაშინ ამბობენ, რომ იგი წმინდა ტრანსცენდენტალ ცნობიერებაში იმყოფება.
56. ვისი ჭკუაც არ ღელავს სამგვარი ტანჯვების დროს და არც ბედნიერების ჟამს არის აღფრთოვანებული, ვინც თავისუფალია მიჯაჭვულობის, შიშისა და მრისხანებისაგან, მას მტკიცე ჭკუის ბრძენი ეწოდება.
 57. ვისზედაც არ მოქმედებს მატერიალურ სამყაროში მომხდარი კარგი ან ცუდი, ვინც არც აქებს ამას და არც სძულს, მყარად არის განმტკიცებული სრულყოფილ ცოდნაში.
 58. ვისაც საკუთარი გრძნობების გრძნობათა ობიექტებისგან ჩამოცილება შეუძლია ისევე, როგორც კუს შეაქვს კიდურები ჯავშანში, მყარად არის განმტკიცებული სრულყოფილ ცნობიერებაში.
 59. ხორცშესხმულმა სულმა შეიძლება თავი შეიკავოს გრძნობათა დაკმაყოფილებისგან, მაგრამ გრძნობათა საგნების გემოს მაინც არ კარგავს. ხოლო უმაღლესი გემოს გამოცდის შედეგად ამგვარი საქმიანობების შეწყვეტით იგი ცნობიერებაში მტკიცდება.
 60. გრძნობები იმდენად ძლიერი და მგზნებარეა, ო არჯუნა, რომ ისინი იძულებით წარიტაცებენ განრჩევის უნარის მქონე ადამიანის ჭკუას, რომელიც მათ მართვას ცდილობს.
 61. ის, ვისაც ალაგმული აქვს გრძნობები მათი სრული დამორჩილების გზით და ვისი ცნობიერებაც ჩემსკენაა მომართული, მტკიცე გონების ადამიანად არის ცნობილი.
 62. გრძნობათა ობიექტების განჭვრეტისას პიროვნებას მათდამი მიჯაჭვულობა უჩნდება, ასეთი მიჯაჭვულობისგან ავხორცობა ვითარდება, ავხორცობისგან კი წარმოიშვება მრისხანება.
 63. მრისხანებისგან ილუზია წარმოიშვება, ილუზიისგან კი — მეხსიერების დაბნევა. როდესაც მეხსიერება დაბნეულია, გონიერება იკარგება, რის შედეგადაც ცოცხალი არსება კვლავ მატერიალურ ტბორში ვარდება.
 64. მაგრამ მას, ვინც თავისუფალია ყოველგვარი მიჯაჭვულობისა და ზიზღისგან და ვინც გრძნობებს თავისუფლების მარეგულირებელი პრინციპებით მართავს, უფლის სრული წყალობის მოპოვება შეუძლია.
 65. მასზე, ვინც ამგვარად არის დაკმაყოფილებული (კრშნას ცნობიერებაში), აღარ მოქმედებს მატერიალური ყოფიერების სამგვარი ტანჯვები; ასევე დაკმაყოფილებულ ცნობიერებაში მისი გონიერება მალე მტკიცდება.
 66. მას, ვინც უზენაესთან არ არის დაკავშირებული (კრშნას ცნობიერებაში), ვერც ტრანსცენდენტული გონება ექნება და ვერც მტკიცე ჭკუა, რის გარეშეც წარმოუდგენელია მშვიდობა. და განა შესაძლოა რაიმე ბედნიერება მშვიდობის გარეშე?
 67. როგორც ძლიერი ქარი იტაცებს წყალში მოცურავე ნავს, ერთ მოხეტიალე გრძნობასაც კი, რომლისკენაც ჭკუაა მიმართული, შეუძლია წარიტაცოს კაცის გონიერება.

68. ამიტომ ო მკლავმაგარო, მას, ვისი გრძნობებიც ალაგმულია მათი ობიექტებისაგან, უდაოდ მტკიცე გონიერება აქვს.
69. ის, რაც ღამეა ყოველი არსებისთვის, თვითკონტროლირებულისთვის გამოდვიძების დროა; და ყოველი არსების გამოდვიძების დრო ღამეა თვითდაკვირვებულ ბრძენისათვის.
70. მხოლოდ ის, ვისა ცარ აწუხებს სურვილების განუწყვეტელი ნაკადი, რომელიც მდინარეების მსგავსად მუდამ სავსე და წყნარ ოკეანეში ჩადის, აღწევს მშვიდობას და არა ის, ვინც ასეთ სურვილთა დაკმაყოფილებას ესწრაფვის.
71. მხოლოდ ის, ვინც უარი თქვა გრძნობათა დაკმაყოფილების ყოველგვარ სურვილზე, ვინც თავისუფალია სურვილებისგან, ვინც დაკარგა ყოველგვარი საკუთრების გრძნობა და ვინც მოკლებულია ცრუ ეგოს, აღწევს ჭეშმარიტ სიმშვიდეს.
72. ასეთია სულიერი და საღმრთო ცხოვრება, რომლის მიღწევის შემდეგაც ადამიანი აღარ ცდება. თუკი კაცი ამ მდგომარეობამდე სიკვდილის ჟამს მაინც მივა, ღმერთის სასუფეველში შეაღწევს.

(3) თავი მესამე კარმა იოგა

1. არჯუნამ თქვა: ო ჯანარდანა, ო კეშავა, რატომ გვსურს ამ საშინელ ომში ჩამაბა, თუკი თვლი, რომ გონება ჯობს კარმიულ მოღვაწეობას?
2. შენი ორაზროვანი დარიგებების გამო ჩემი გონება საგონებელშია ჩავარდნილი. ამიტომ გთხოვ დანამდვილებით მითხარი. რა იქნება ჩემთვის ყველაზე სასიკეთო.
3. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ო უცოდველო არჯუნა, მე უკვე განვმარტე, რომ არსებობენ ორი სახის ადამიანები, რომლებიც საკუთარი მეობის შეცნობას ცდილობენ. ამას ზოგი ემპირიული, ფილოსოფიური სპეკულაციებით ესწრაფვის, ზოგიც — ერთგული სამსახურით.
4. ადამიანი რეაქციებისგან ვერც შრომაზე უბრალო უარის თქმით განთავისუფლდება და ვერც მხოლოდ განდევნილობით მიაღწევს სრულყოფილებას.
5. ყოველი ცოცხალი არსება იძულებულია იმოქმედოს უმწეოდ იმ თვისებათა თანახმად, რომელიც მატერიალური ბუნებისგან შეიძინა; ამიტომ წამითაც შეუძლებელია მოქმედებისგან თავის შეკავება.
6. ის, ვინც სამოქმედო გრძნობებს აკავებს, მაგრამ ვისი ჭკუაც გრძნობათა ობიექტებზე ფიქრობს, უდაოდ თავს იტყუებს და თვალთმაქცი ჰქვია.
7. მეორე მხრივ თუკიუ გულწრფელი ადამიანი ჭკუის საშუალებით ცდილობს მოქმედი გრძნობების მართვას და მიჯაჭვულობის გარეშე იწყებს კარმა-იოგას (კრშნას ცნობიერებაში), იგი გაცილებით მაღლა დგას.



8. შეასრულე შენზე დაწესებული მოვალეობა, ვინაიდან ასეთი მოქმედება ჯობია უშრომლობას. შრომის გარეშე შეუძლებელია ფიზიკური სხეულის შენარჩუნებაც კი.
9. შრომა ვიშნუს სამსხვერპლოდ უნდა შესრულდეს; წინაარმდეგ შემთხვევაში შრომას მატერიალურ სამყაროში ტყვეობა მოჰყვება. ამიტომ, ო კუნტის შვილო, მის დასაკმაყოფილებლად შეასრულე შენზე დაწესებული მოვალეობები და არასოდეს მოექცევი ტყვეობაში.
10. სამყაროს შექმნის დასაწყისში ყოველი არსების უფალმა დასაბამი მისცა კაცთა და ნახევარღმერთთა მოდგმას და ამ სიტყვებით აკურთხა ისინი: “იბედნიერეთ ამ იაჯნათი (მსხვერპლშეწირვით), ვინაიდან მისი შესრულება მოგიტანთ ყველაფერს ბედნიერი ცხოვრებისა და განთავისუფლებისათვის.”
11. მსხვერპლშეწირვებით დაკმაყოფილებული ნახევარღმერთები შენც დაგაკმაყოფილებენ და კაცთა და ნახევარღმერთთა თანამშრომლობით ქვეყანა ყველასთვის აყვავდება.
12. იაჯნას (მსხვერპლშეწირვის) ჩატარებით დაკმაყოფილებული ნახევარღმერთები, რომელთაც სხვადასხვა სასიცოცხლო საჭიროებანი ავალათ, ყოველივე აუცილებელს მოგცემენ. მაგრამ ის, ვინც ტკბება ასეთი საჩუქრებით და სანაცვლოდ ნახევარღმერთებს არ სთავაზობს მატ, უდაოდ ქურდია.
13. უფლის ერთგულებს მოხსნილი აქვთ ყოველგვარი ცოდვის სიმძიმე, რამეთუ თავიდან სამსხვერპლოდ შეთავაზებული საჭმლით იკვებებიან. სხვები, ვინც საკვებს საკუთარ გრძნობათა დასაკმაყოფილებლად ამზადებენ, სინამდვილეში ცოდვას მიირთმევენ მხოლოდ.
14. ყოველი ცოცხალი არსება საკვები მარცვლეულით საზრდოობს, რომელიც წვიმისგან წარმოიქმნება. წვიმას წარმოშობს იაჯნას (მსხვერპლშეწირვის) შესრულება, იაჯნა კი დაწესებული მოვალეობებისგან არის შობილი.
15. მოწესრიგებული საქმიანობა დაწესებულია ვედებში, ვედები კი უშუალოდ ღმრთეების უზენაესი პიროვნებისგან ვლინდება. ამიტომ მსხვერპლშეწირვის აქტებში მარადიულად იმყოფება ყოვლისგამჭოლი ტრანსცენდენცია.
16. ჩემო ძვირფასო არჯუნა, ის, ვინც ადამიანის სიცოცხლეში არ მიჰყვება ვედების მიერ დაწესებულ მსხვერპლშეწირვის ციკლს, უთუოდ დიდად ცოდვილ ცხოვრებას ეწევა. ასეთი ადამიანის ცხოვრება ამაოა, რადგან მხოლოდ გრძნობათა დაკმაყოფილებაში ხედავს აზრს.
17. მაგრამ ვინც სიამოვნებას საკუთარ თავში პოულობს, ვინც ადამიანის სიცოცხლეს თვითრალიზაციისთვის იყენებს და ვინც მხოლოდ საკუთარ მეობაშია კმაყოფილი, მას ყოველგვარი მოვალეობა მოხსნილი აქვს.
18. დაწესებული მოვალეობიოს შესრულებისას თვითრეალიზებულ პიროვნებას არავითარი მიზნის მიღწევა არ სურს და არც ამგვარი შრომის შეუსრულებლობისათვის გააჩნია რაიმე მიზეზი. იგი არც სხვა ცოცხალ არსებებზეა დამოკიდებული.

19. ამიტომ ადამიანმა უნდა იმოქმედოს მოვალეობის გამო, მოქმედების ნაყოფზე მიჯაჭვულობის გარეშე, ვინაიდან მიჯაჭვულობის გარეშე შრომით იგი უზენაესს აღწევს.
20. ისეთმა მეფეებმა, როგორც იყო ჯანაკა, სრულქმნას მიაღწიეს მხოლოდ დაწესებულ მოვალეობათა შესრულებით. ამიტომ ხალხის განათლების მიზნით მაინც უნდა შეასრულო შენი საქმიანობა.
21. რასაც დიდი ადამიანი ჩადის, უბრალო ხალხიც მას მიჰყვება. და რა ნორმებსაც ამკვიდრებს მაგალითით, მთელი მსოფლიოც იმ გზას ადგას.
22. ო პრთჰას შვილო, სამივე პლანეტარულ სისტემაში არ არსებობს ჩემთვის დაწესებული საქმე. მე არც არაფერი მსურს და არც არაფრის მოპოვება მჭირდება — და მაინც, ვასრულებ დაწესებულ მოვალეობებს.
23. ვინაიდან ოდესმე განუხრელად რომ არ შემესრულებინა დაწესებული მოვალეობები, ო პრთჰა, მთელი ხალხი უდაოდ ჩემს გზას დაადგებოდა.
24. დაწესებული მოვალეობები რომ არ შემესრულებინა, მთელი სამყარო განადგურდებოდა. მე ვიქნებოდი არასასურველი მოსახლეობის წარმოშობის მიზეზი, რითაც ყოველ ცოცხალ არსებას სიცოცხლეს მოვუსპობდი.
25. როგორც უგუნური ასრულებს საკუთარ მოვალეობებს შედეგებზე მიჯაჭვულობით, სწავლულმაც შეიძლება ასე იმოქმედოს, მაგრამ მიჯაჭვულობის გარეშე, რათა სწორი გზით გაუძღვეს ხალხს.
26. იმისათვის, რომ არ დაარღვიოს დაწესებულ მოვალეობათა კარმიულ შედეგებზე მიჯაჭვული უგუნური გონება, სწავლულმა არ უნდა შეაწყვეტინოს მათ შრომა. ნაცვლად ამისა, ღვთის ერთგულების სულით მოქმედებით, ათასგვარი საქმიანობით უნდა დააკავოს ისინი (კრშნას ცნობიერების თანდათანობით განვითარებისათვის).
27. ცრუ ეგოს გავლენით მოტყუებული სული თვლის, რომ თავად ასრულებს მოქმედებებს, რომლებიც სინამდვილეში მატერიალური ბუნების სამი მოდუსით სრულდება.
28. ვინც იცის აბსოლუტური ჭეშმარიტება, ო მკლავმაგარო, არ არის დაკავებული გრძნობებისა და გრძნობათა დაკმაყოფილების საქმეებით, კარგად ესმის რა განსხვავება უფლისადმი ერთგულებით შრომასა და კარმიული შედეგების გამო შრომას შორის.
29. მატერიალური ბუნების მოდუსებით მოტყუებული უგუნურები მთლიანად მატერიალისტურ საქმიანობებში არიან ჩაბმული და მიჯაჭვული ხდებიან. მაგრამ ბრძენმა არ უნდა შეაწუხოს ისინი, თუმცა შემსრულებლის მცირე ცოდნის გამო ეს მოვალეობები დაბალი დონისაა.
30. ამიტომ, ო არჯუნა, ყოველი საქმიანობა მომიძღვენი მე, იქონიე ჩემზე სრული ცოდნა, უარი თქვი გამორჩენის სურვილებზე, არ განაცხადო უფლება საკუთრებაზე, განაგდე უხალისობა და იბრძოლე.

31. პიროვნებები, რომლებიც ჩემი დანაწესების თანახმად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს და ამ მოძღვრებას რწმენით, შურის გარეშე მიჰყვებიან, თავისუფლდებიან კარმიულ საქმიანობათა ტყვეობიდან.
32. მაგრამ ისინი, ვინც შურის გამო უგულვებელყოფენ და არ მიჰყვებიან ამ სწავლებებს, უნდა ჩაითვალოს ყოველგვარ ცოდნას მოკლებულად, გასულელებულად და განადგურებულად სრულქმნის თავიანთ მცდელობებში.
33. ცოდნის მქონე ადამიანიც კი საკუთარი ბუნების თანახმად მოქმედებს, ვინაიდან ყველა იმ ბუნებას მისდევს, რომელიც სამი მოდუსისგან აქვს მიღებული. რას მოიტანს დათრგუნვა?
34. არსებობს გრძნობებსა და მათ ობიექტებთან დაკავშირებული მიჯაჭვულობისა და განდევილობის მომაწესრიგებელი კანონები. ცოცხალი არსება არ უნდა მოექცეს ასეთი მიჯაჭვულობისა და განდევილობის გავლენის ქვეშ, ვინაიდან ისინი თვითრეალიზაციის გზაზე დამაბრკოლებელი ლოდებია.
35. უმჯობესია შენზედ დაწესებული მოვალეობები შეასრულო, შეცდომითაც კი, ვიდრე სხვისი მოვალეობები — სრულყოფილად. საკუთარი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვა სჯობს სხვისი მოვალეობების შესრულებას, ვინაიდან სახიფათოა სხვის გზაზე დადგომა.
36. არჯუნამ თქვა: ო ვრშნის შთამომავლო, რა უბიძგებს ცოცხალ არსებას ცოდვის ჩასადენად, მისი სურვილის საწინააღმდეგოდაც კი, თითქოსდა რაღაც ძალა ამოქმედდებდეს?
37. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ეს მხოლოდ ავხორცობაა, არჯუნა, რომელიც ვნების მატერიალურ მოდუსთან ურთიერთობის შედეგად წარმოიშვება და მოგვიანებით მრისხანებად გადაიქცევა, რომელიც ამ სამყაროში ყოვლის შთანთქმელი მტერია.
38. როგორც ცეცხლი იფარება კვამლით, სარკე — მტვერით ან ჩანასახი — საშვილოსნოთი, ეს ავხორცობაც სხვადასხვაგვარად ფარავს ცოცხალ არსებას.
39. ამდენად, ბრძენი ცოცხალი არსების წმინდა ცნობიერება იფარება მისი მარადიული მტრის, ავხორცობის მიერ, რომელიც მუდამ დაუკმაყოფილებელია და იწვის ვითარცა ცეცხლი.
40. გრძნობები, ჭკუა და გონება ამ ავხორცობის სამყოფელია. მათი გზით ავხორცობა ფარავს ცოცხალი არსების ჭეშმარიტ ცოდნას და აბრიყვებს მას.
41. ამიტომ, კ არჯუნა, ბჰარატათა შორის საუკეთესოვ, გრძნობათა რეგულაციის საშუალებით თავიდანვე ალაგმე ცოდვის ეს დიდი სიმბოლო (ავხორცობა) და განგმირე ცოდვისა და თვითრეალიზაციის ეს დამანგრეველი.
42. მოქმედი გრძნობები ღუნე მატერიაზე მაღალია; ჭკუა გრძნობებზე მაღლა დგას; გონება თვით ჭკუას აღემატება; და იგი (სული) გონებაზეც მაღლა დგას.
43. როცა შეიცნობ რომ შენი მეობა მატერიალური გრძნობების, ჭკუისა და გონების მიღმა დგას, ო მკლავმაგარო არჯუნა, უნდა განიმტკიცო ჭკუა ჩაფიქრებული სულიერი გონებით (კრშნას ცნობიერებით) და სულიერი ძალით დაამარცხო ეს დაუცხრომელი მტერი, რომელსაც ავხორცობა ჰქვია.

(4) თავი მეოთხე
ტრანსცენდენტული ცოდნა

1. ღმრთეების პიროვნებამ, უფალმა შრი კრიშნამ თქვა: იოგას ეს უკვდავი მეცნიერება მე მზის ღმერთ ვივასვანს ვასწავლე, ვივასვანმა ასწავლა მანუს, კაცობრიობის მამამთავარს, მანუმ კი, თავის მხრივ, იგი იკშავაკუს გადასცა.
2. ეს უმაღლესი მეცნიერება გადაეცემოდა მოწაფეობრივი თანმიმდევრობის ჯაჭვით და წმინდანი მეფეებიც ასე გებულობდნენ მას. მაგრამ დროთა განმავლობაში თანმიმდევრობა დაირღვა, ამიტომ მეცნიერების ჭეშმარიტი სახე დაკარგული ჩანს.
3. დღეს უზენაესთან ურთიერთობის სწორედ ამ უძველეს მეცნიერებას გიყვები, ვინაიდან შენ ჩემი ერთგული და მეგობარი ხარ და ამიტომ ამ მეცნიერების ტრანსცენდენტალი საიდუმლოების გაგება შეგიძლია.
4. არჯუნამ თქვა: მზის ღმერთი ვივასვანი დაბადებით შენზე უფროსია. რას ნიშნავს, რომ თავად შენ ასწავლე მას ეს მეცნიერება?
5. ღმრთეების პიროვნებამ თქვა: მრავალი, მრავალი დაბადება გავიარეთ შენც და მეც. მე მახსოვს ყოველი მათგანი, შენ კი — არა, ო მტრის შემმუსვრელო.
6. თუმცა მე არშობილი ვარ და ჩემი ტრანსცენდენტული სხეული არასოდეს იხრწნება, თუმცა მე ვარ უფალი ყოველი ცოცხალი არსებისა, მაინც ყოველ ეპოქაში ჩემი ტრანსცენდენტული სახით ვევლინები.
7. როდესაც და სადაც ქვეყნად რელიგიური სამსახური ეცემა, იმ დროს მე ვევლინები, ო ბჰარატას შთამომავალო.
8. წმინდანების გასანთავისუფლებლად და არამზადების მოსასპობად, აგრეთვე რელიგიური პრინციპების აღსადგენად მე თავად ვევლინები ეპოქიდან ეპოქაში.
9. ვინც იცის ქვეყნად ჩემი მოვლენისა და საქმიანობების ტრანსცენდენტული ბუნება, სხეულის მიტოვების შემდეგ მატერიალურ სამყაროში აღარ იბადება, არამედ ჩემს მარადიულ სასუფეველში აღწევს, ო არჯუნა.
10. მიჯაჭვულობის, შიშისა და მრისხანებისაგან განთავისუფლებული, მთლიანად ჩემით მოცული, ჩემი თავშესაფრის მიღებით მრავალი და მრავალი პიროვნება განიწმინდა წარსულში ჩემი შეცნობით და ჩემს ტრანსცენდენტალ სიყვარულს მიაღწია.
11. როგორც ყველა მომენდობა მე, მეც ისე ვასაჩუქრებ მათ. ყველა ყოველმხრივ ჩემს გზას მიჰყვება, ო პართვას შვილო.
12. ადამიანებს ამქვეყნად კარმიულ საქმიანობებში წარმატების მიღწევა სურთ, ამიტომ ნახევარღმერთებს სცემენ თავყვანს. მართლაც, სულ მალე ადამიანები ღებულობენ ამქვეყნად გაწეული კარმიული შრომის შედეგებს.
13. მატერიალური ბუნების სამი მოდუსისა და მათთან დაკავშირებული შრომის თანახმად ადამიანთა საზოგადოებაში ოთხი განაყოფი შევქმენი. და თუმცა ეს სისტემა მე შევქმენი, იცოდე, რომ მაინც ვარ ვმოქმედებ, ვინაიდან უცვლელი ვარ.

14. არ არსებობს შრომა, რომელიც ჩემზე გავლენას ახდენს; მე არც საქმიანობის ნაყოფებს ვესწრავ, ვისაც ჩემს შესახებ ეს ჭეშმარიტება ესმის, არც ის იხლართება შრომის კარმიულ რეაქციებში.
15. გარდასულ დროთა ყოველი განთავისუფლებული სული ჩემი ტრანსცენდენტული ბუნების ასეთი გაგებით მოქმედებდა. ამიტომ მათ კვალდაკვალ შენი მოვალეობა უნდა შეასრულო.
16. გონიერიც კი ცდება, იმის განსაზღვრისას, რა არის მოქმედება და რა არის უმოქმედობა. ახლა მე ავიხსნი, რა არის მოქმედება, რისი ცოდნითაც ყოველგვარი განსაცდელისგან განთავისუფლდება.
17. მოქმედების სირთულეები ძნელად გასაგებია. ამიტომ საჭიროა იმის სწორად ცოდნა, თუ რა არის მოქმედება, რა არის აკრძალული მოქმედება და რა არის უმოქმედობა.
18. ის ვინც ხედავს უმოქმედობას მოქმედებაში და მოქმედებას უმოქმედობაში, გონიერია კაცთა შორის და ტრანსცენდენტალ მდგომარეობაში იმყოფება, თუმცა ყოველთვის დაკავებულია სხვადასხვა საქმიანობით.
19. ის, ვისი ყოველი მცდელობაც გრძნობათა დაკმაყოფილების სურვილს მოკლებულია, სრული ცოდნის მქონედ ითვლება. ბრძენებს უთქვამთ მასზე, რომ იგი მოღვაწეა, რომლის შრომის რეაქციები სრულყოფილი ცოდნის ცეცხლით არის დამწვარი.
20. უარს ამბობს რა თავისი საქმიანობის შედეგებისადმი ყოველგვარ მიჯაჭვულობაზე, მუდამ კმაყოფილი და დამოუკიდებელი, იგი არავითარ კარმიულ მოქმედებას არ ჩადის, თუმცა ათასგვარ საქმიანობას ეწევა.
21. ასეთი ცოდნის მქონე ადამიანი სრულიად დამორჩილებული ჭკუითა და გონებით მოქმედებს, უარს ამბობს ყოველგვარი საკუთრების გრძნობაზე და იღწვის მხოლოდ იმისთვის, რაც სიცოცხლისთვის ყველაზე აუცილებელია. ასეთი შრომისას იგი ცოდვითი რეაქციების გავლენაში არ ექცევა.
22. ვისაც აკმაყოფილებს თავისით მოსული მონაპოვარი, ვინც თავისუფალია ორმაგობისა და შურისგან, ვინც ურყევი რჩება წარმატებისა და დამარცხების დროს, მოქმედების მიუხედავად არასოდეს ექცევა ტყვეობაში.
23. შრომა იმ ადამიანისა, რომელიც მიჯაჭვული არ არის მატერიალური ბუნების მოდუსებს და სრულ ტრანსცენდენტალ ცოდნას ფლობს, მთლიანად იძირება ტრანსცენდენციაში.
24. პიროვნება, რომელიც სრულად არის დანთქმული კრძნას ცნობიერებაში, აუცილებლად მიაღწევს სულიერ სასუფეველს, ვინაიდან ყველაფერს წირავს სულიერ საქმიანობებს, რომელშიც შთანთქმულიცაა და შენაწირიც ერთი და იგივე აბსოლუტური სულიერი ბუნებით ხასიათდება.
25. ზოგი იოგი სხვადასხვა მსხვერპლშეწირვებით სრულყოფილად სცემს თაყვანს ნახევარღმერთებს, ზოგიერთს კი უზენაესი ბრატმანის ცეცხლში მიაქვს მსხვერპლი.

26. ზოგიერთებს (წმინდა ბრაჰმაცხარებს) ჭკუის მართვის ცეცხლში მოსმენის პროცესი და გრძნობები მიაქვთ მსხვერპლად, სხვებს კი (ვინც მოწესრიგებულ საოჯახო ცხოვრებას ეწევიან) გრძნობათა ცეცხლში გრძნობათა ობიექტები მიაქვთ მსხვერპლად.
27. სხვები, რომლებიც ჭკუისა და გრძნობების მართვის გზით მიიწვევენ თვითრეალიზაციისკენ, გრძნობებისა და სასიცოცხლო სუნთქვის ქმედებებს დამორჩილებული ჭკუის ცეცხლს სწირავენ.
28. მკაცრი აღთქმების დადების შედეგად, ზოგი გასხვივოსნებას აღწევს საკუთრების მსხვერპლად გაღებით, ზოგი — მკაცრი ასკეტიზმის გავლით, რვასაფეხურიანი მისტიური იოგას შესრულებით ან ვედების შესწავლით, რომლის მიზანიც ტრანსცენდენტული ცოდნის განვითარებაა.
29. სხვები კი, რომელთაც სუნთქვის შეკავების პროცესით ტრანსში დარჩენის მიდრეკილება აქვთ, ამომავალი სუნთქვის მოძრაობას შემომავალს და შემომავალ სუნთქვას ამომავალს სწირავენ და საბოლოოდ ტრანსში რჩებიან, წყვეტენ რა ყოველგვარ სუნთქვას. სხვები კვების პროცესის შემცირებით ამომავალ სუნთქვას ამომავალ სუნთქვასვე სწირავენ.
30. ყოველი შემსრულებელი, რომელმაც მსხვერპლშეწირვის მნიშვნელობა იცის, ცოდვითი რეაქციებისგან იწმინდება და მსხვერპლშეწირვების სიტკბოს გაგების გამო უმაღლეს მარადიულ ატმოსფეროს უახლოვდება.
31. ო კურუთა შორის საუკეთესოც, მსხვერპლშეწირვის გარეშე ადამიანი ვერასოდეს იქნება ბედნიერი ამ პლანეტაზე ან ამ სიცოცხლეში: მაშ, რაღა ითქმის შემდეგ სიცოცხლეზე?
32. ვედებში ნებადართულია ყველა ეს სხვადასხვა სახის მსხვერპლშეწირვა და ყოველი მათგანი სხვადასხვა სახის შრომით არის შობილი. მათი ამგვარი ცოდნით განთავისუფლებას მიაღწევ.
33. ო მტრის შემმუსვრელო, ცოდნით შესრულებული მსხვერპლშეწირვა ჯობია მატერიალური ქონების უბრალო შეწირვას. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ო პრთჰას შვილო, შრომის ყოველი მსხვერპლშეწირვა მწვერვალს ტრანსცენდენტალ ცოდნაში აღწევს.
34. უბრალოდ სულიერი მოძღვრისადმი მიმართვით სცადე ჭეშმარიტების გაგება. მორჩილად დაუსვი კითხვები და ემსახურე მას. თვითრეალიზებულ სულებს შეუძლიათ გაგინდონ ცოდნა, რამეთუ მათ იხილეს ჭეშმარიტება.
35. თვითრეალიზებული სულისგან ცოდნის მიღების შედეგად, აღარასოდეს მოექცევი ასეთ ილუზიაში, ვინაიდან ამ ცოდნის წყალობით დაინახავ, რომ ყოველი ცოცხალი არსება უზენაესის ნაწილია მხოლოდ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ჩემი არიან.
36. ყოველ ცოდვილთა შორის უდიდეს ცოდვილადაც რომ ითვლებოდე, ტრანსცენდენტული ცოდნის გემზე ასვლისას ტანჯვის ოკეანეს გადალახავ.



37. როგორც მოგიზგიზე ცეცხლი ფერფლად აქცევს შეშას, ო არჯუნა, ცოდნის ცეცხლიც ფერფლად აქცევს მატერიალურ საქმიანოვ\ბათა ყოველ რეაქციას.
38. ამ სამყაროში არაფრია ტრანსცენდენტალ ცოდნასავით ამაღლებული და წმინდა. ასეთი ცოდნა მთელი მისტიციზმის მწიფე ნაყოფია. და ვინც ერთგულ სამსახურში სრულყოფას მიაღწია, დროთა განმავლობაში საკუთარ თავში დატკბება ამ ცოდნით.
39. რწმენით სავსე ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი ტრანსცენდენტალ ცოდნას მიუძღვნა და გრძნობებს იმორჩილებს, ასეთი ცოდნის მოპოვების ღირსია და ამის შემდეგ, მალე უმაღლეს სულიერ მშვიდობას მიაღწევს.
40. მაგრამ უგუნური და ურწმუნო პიროვნებები, რომლებსაც განდობილ წერილებში ეჭვი ეპარებათ, ვერ აღწევენ ღმერთის ცნობიერებას;
41. ის, ვინც ერთგულ სამსახურში მოქმედებს, უარს ამბობს თავისი საქმიანობის ნაყოფებზე, და ვისი ეჭვებიც ტრანსცენდენტული ცოდნითაა განადგურებული, ნამდვილად განმტკიცებულია საკუთარ მეობაში. ამრიგად, შრომის რეაქციები არ ბოჭავს მას, ო სიმდიდრის დამპყრობელო.
42. ამიტომ უგუნურების გამო შენს გულში აღმოცენებული ეჭვები ცოდნის იარაღით უნდა ჩაიჩეხოს. იოგათი შეიარაღებული, ო ბჰარატავ, აღსდექ და იბრძოლე.

(5) თავი მეხუთე

კარმა იოგა — მოქმედება კრიშნას ცნობიერებაში

1. არჯუნამ თქვა: ო კრშნა, ჯერ შრომაზე უარის თქმას მეუბნები, შემდეგ კი კვლავ ერთგულებით შრომას მირჩევ. გთხოვ გამარკვიე, რომელია ამ ორთაგან უფრო სასიკეთო?
2. ღმრთეების პიროვნებამ უპასუხა: შრომისაგან განდგომაცა და ერთგულებით შრომაც კარგია განთავისუფლებისთვის. მაგრამ ამ ორიდან ერთგულ სამსახურში შრომა ჯობია შრომისგან განდგომას.
3. ის, ვისაც არც სძულს საკუთარი საქმიანობების შედეგები და არც შენატრის მათ, მუდამ განდევნილად არის ცნობილი. ასეთი პიროვნება, თავისუფალი ყოველგვარი ორმაგობისგან, ადვილად აღწევს თავს მატერიალურ ტყვეობას და სრულიად განთავისუფლებულია, ო მკლავმაგარო არჯუნა.
4. მხოლოდ უგუნურები ანსხვავებენ ერთმანეთისგან ერთგულ მსახურებას (კარმა იოგას) და მატერიალური სამყაროს ანალიტიკურ შესწავლას (სანქჰია-იოგას). სწავლულნი ამბობენ, რომ ერთ-ერთ ამ გზაზე მდგარი ორივეს შედეგს მიაღწევს.
5. ვისაც ესმის, რომ ანალიტიკური შესწავლით მიღწეული მდგომარეობა ერთგული სამსახურითაც მიიღწევა და ამის გამო ანალიტიკურ შესწავლას და ერთგულ სამსახურს ერთ დონეზე აღიქვამს, ჭეშმარიტი სახით ხედავს საგნებს.



6. ყოველგვარ საქმიანობაზე უბრალოდ უარის თქმა, უფლის ერთგული სამსახურის გარეშე, ვერავის გააბედნიერებს. მაგრამ მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ერთგულად ემსახურება უფალს, უმაღლესს უზენაესს.
7. ვინც ერთგულ სამსახურში შრომობს, ვინც წმინდა სულია და საკუთარ ჭკუასა და გრძნობებს მართავს, ძვირფასია ყველასთვის და ყველა ძვირფასია მისთვის. ასეთი კაცი, თუმცა მუდამ შრომობს, არასოდეს ექცევა ტყვეობაში.
- 8-9. თუმცა ღვთაებრივ ცნობიერებაში მყოფი პიროვნება ხედავს, ისმენს, ეხება, ყნოსავს, ჭამს, მოძრაობს, ძინავს და სუნთქავს, შინაგანად მუდამ ესმის, რომ სინამდვილეში იგი არაფერს აკეთებს. ვინაიდან ლაპარაკის, დაცლის, მიღების ან თვალების გახელისა თუ დახუჭვისას მუდამ გაცნობიერებული აქვს, რომ მხოლოდ მატერიალური გრძნობები ურთიერთმოქმედებენ თავიანთ ობიექტებთან და რომ თვითონ განზე დგას მათგან.
10. მასზე, ვინც მიჯაჭვულობის გარეშე ასრულებს საკუთარ მოვალეობას და შედეგებს უზენაეს უფალს უძღვნის, არ მოქმედებს ცოდვითი საქმიანობა, როგორც ლოტოსის ყვავილი არ სველდება წყალში.
11. იოგები, უარს ამბობენ რა მიჯაჭვულობაზე, სხეულით ჭკუით, გონებითა და გრძნობებითაც მხოლოდ განწმენდის მიზნით მოქმედებენ.
12. განუხრელად ერთგული სული ჭეშმარიტ მშვიდობას აღწევს, ვინაიდან მთავაზობს ყოველგვარი საქმიანობის შედეგებს; მაშინ როდესაც პიროვნება, რომელიც ერთიანობაში არ არის ღვთაებასთან და დახარბებულია თავისი შრომის ნაყოფებს, ტყვეობაში ექცევა.
13. როდესაც ხორცშესხმული ცოცხალი არსება ცონტროლს უწევს საკუთარ ბუნებას და ჭკუით უარს ამბობს ყოველგვარ საქმიანობაზე, ბედნიერად ცხოვრობს ცხრაკარიან ქალაქში (მატერიალურ სხეულში), არც შრომობს და არც შრომის მიზეზი ხდება.
14. ხორცშესხმული სული, საკუთარი სხეულის ქალაქის ბატონი, არ მოქმედებს, არც აიძულებს ხალხს იმოქმედოს, არც მოქმედების ნაყოფებს ქმნის. ყოველივე ამას მატერიალური ბუნების მოდუსები ასრულებს.
15. არც უზენაესი უფალი აგებს პასუხს ვინმეს ცოდვილ ან ღვთაებრივ საქმიანობაზე. მაგრამ ხორცშესხმული არსებები გაბრიყვებულნი არიან უფუნურების გამო, რომელიც მათ ჭეშმარიტ ცოდნას ფარავს.
16. მაგრამ როდესაც ცოცხალი არსება უმეცრების გამანადგურებელი ცოდნით გასხოვოსნდება, მისი ცოდნა ნათელს მოჰფენს ყველაფერს, ისევე როგორც მზე ანათებს ყველაფერს დღისით.
17. როდესაც ცოცხალი არსების გონება, ჭკუა, რწმენა ა თავშესაფარი უზენაესშია დაფუძნებული, სრული ცოდნის საშუალებით იგი ბოლომდე იწმინდება ეჭვებისგან და წინ მიიწევს განთავისუფლების გზაზე.
18. თავმდაბალი ბრძენები ჭეშმარიტი ცოდნის წყალობით ერთნაირი თვალთ ხედავენ სწავლულსა და კეთილშობილ ბრაჰმანს, ძროხას, სპილოს, ძაღლსა და ძაღლისმჭამელს (უკასტოს).



19. მათ, ვისი ჭკუაც განმტკიცებულია იგივეობასა და წონასწორობაში, უკვე გაიმარჯვეს დაბადებასა და სიკვდილზე. ისინი ბრაჰმანივით უნაკლონი არიან და უკვე იმყოფებიან ბრაჰმანში.
20. პიროვნება, რომელსაც არც სასიამოვნოს მიღება უხარია და არც არასასიამოვნოს მიღებისას გლოვობს, ვინც თვითგონიერია, გაუბრიყვებელია და ესმის მეცნიერება ღმერთზე, უკვე ტრანსცენდენციაში იმყოფება.
21. ასეთ განთავისუფლებულ პიროვნებას არ იზიდავს მატერიალურ გრძნობათა სიამოვნება, არამედ მუდამ ტრანსშია, რამეთუ განცხრომას შინაგანად პოულობს. ამრიგად, თვითრეალიზებული პიროვნება უსაზღვრო ბედნიერებით ტკბება, ვინაიდან ყურადღება უზენაესზე აქვს მიპყრობილი.
22. გონიერი პიროვნება არ ერევა გაჭირვების მიზეზებში, რომლებიც მატერიალურ გრძნობათა ურთიერთობით არის გამოწვეული. ო კუნტის შვილო, ასეთ სიამოვნებებს აქვს დასაწყისი და დასასრული, ამრიგად, ბრძენი კაცი მათგან სიამოვნებას არ ღებულობს.
23. თუკი ცოცხალი არსება ახლანდელი სხეულის მიტოვებამდე მატერიალურ გრძნობათა წადილების მოთმენას და სურვილისა და მრისხანების ძალის შეკავებას შეძლებს, კარგ მდგომარეობაში იმყოფება და ბედნიერია ამქვეყნად.
24. ის, ვისი ბედნიერებაც შინაგანია, ვინც მოქმედია, შინაგანად ტკბება და ვისი მიზანიც შიგნით არის მიმართული, ჭეშმარიტად სრულყოფილი მისტიკოსია.
25. ვინც ეჭვებისგან წარმოშობილ ორმაგობებზე მაღლა დგანან, ვისი ჭკუაც შინაგანად დაკავებულია, ვინც მუდამ შრომობენ ყოველი ცოცხალი არსების საკეთილდღეოდ და თავისუფალი არიან ყოველგვარი ცოდვებისგან, უზენაესში განთავისუფლებას აღწევენ.
26. ვინც თავისუფალი არიან მრისხანებისა და ყოველგვარი მატერიალური სურვილებისგან, ვინც თვითრეალიზებული, თვითდისციპლინირებული არიან და მუდმივად სრულქმნისათვის იღწვიან, უახლოეს მომავალში განაღდებული აქვთ განთავისუფლება უზენაესში.
- 27-28. არ უშვებს რა შიგნით გარეგან გრძნობათა ობიექტებს, მიმართავს რა თვალებისა და მხედველობის კონცენტრაციას წარბებს შორის, ნესტოებში აკავებს რა ჩასუნთქულ და ამოსუნთქულ ჰაერს და ამგვარად აკონტროლებს ჭკუას, გრძნობებსა და გონებას, ტრანსცენდენტალისტი, რომელიც განთავისუფლებას ესწრაფვის, თავს აღწევს სურვილს, შიშსა და მრისხანებას. ის, ვინც ყოველთვის ამ მდგომარეობაში იმყოფება, უდაოდ განთავისუფლებულია.
29. ჩემს სრულ ცნობიერებაში მყოფი პიროვნება, რომელიც მიცნობს, როგორც ყოველი მსხვერპლშეწირვისა და ასკეზის საბოლოო განმცხრომელს, ყოველი პლანეტისა და ნახევარღმერთის უზენაეს უფალს და ყოველი ცოცხალი არსების კეთილისმყოფელსა და კეთილისმსურველს, მატერიალურ გაჭირვებათა ტანჯვებისგან მშვიდობას აღწევს.

(6) თავი მეექვსე
დჰიანა — იოგა

1. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ის, ვინც მიჯაჭვული არ არის თავისი შრომის ნაყოფებს და ვინც მოვალეობის გამო შრომობს, განდეგილის ცხოვრებას ეწევა. იგია ჭეშმარიტი მისტიკოსი და არა ის, ვინც არც ცეცხლს ანთებს და არც მოვალეობას ასრულებს.
2. ო პანდუს შვილო, იცოდე, რომ განდეგილობა იგივე იოგა, ანუ უზენაესთან დაკავშირებაა, რადგან ადამიანი ვერასოდეს გახდება იოგი, ვიდრე გრძნობათა დაკმაყოფილების სურვილს არ განაგდებს.
3. იოგას რვასაფეხურიან სისტემაში ახალბედასთვის შრომა საშუალებად ითვლება; ხოლო მისთვის, ვინც უკვე მიაღწია იოგას მაღალ საფეხურს, საშუალებას ყოველგვარი მატერიალური საქმიანობის შეწყვეტა წარმოადგენს.
4. პიროვნება იოგას მაღალ საფეხურს აღწევს, როდესაც ყოველგვარ მატერიალურ სურვილზე უარის თქმის გამო არც გრძნობათა დაკმაყოფილებისთვის იღწვის და არც კარმიულ საქმიანობებს ეწევა.
5. ჭკუა ადამიანს განთავისუფლებაში უნდა დაეხმაროს და არა დაცემაში. ჭკუა განპირობებული სულის მეგობარიც არის და მტერიც.
6. მისთვის, ვინც ჭკუის დამორჩილება შეძლო, ჭკუა საუკეთესო მეგობარია; ხოლო ვინც ეს ვერმოახერხა, ჭკუა მისი სამუდამო მტერი იქნება.
7. ვინც ჭკუა დაიმორჩილა, უკვე მიაღწია ზესულს, ვინაიდან სიმშვიდე ჰპოვა. ასეთი კაცისთვის სულ ერთია ბედნიერება და უბედურება, სიცხე და სიცივე, პატივი და უპატივობა.
8. როდესაც ადამიანი მიღწეული ცოდნისა და რეალიზაციის საფუძველზე სრულ კმაყოფილებას განიცდის, შეიძლება ითქვას, რომ მან თვითრეალიზაციას მიაღწია და იოგად იწოდება. ასეთი პიროვნება ტრანსცენდენტალ დონეზე იმყოფება და საკუთარ თავს მართავს. იგი ერთნაირად აღიქვამს ყველაფერს: კენჭებს, ლოდებსა თუ ოქროს.
9. პიროვნება სულიერად კიდევ უფრო ამაღლებულად ითვლება, თუკი ერთნაირად აღიქვამს პატიოსან კეთილმსურველთ, მოსიყვარულე კეთილისმყოფელთ, განზე მდგომთ, შურიანებს, მეგობრებსა და მტრებს, ღვთისმოსავთა და ცოდვილთ.
10. ტრანსცენდენტალისტმა სხეული, ჭკუა, და სული განუწყვეტლივ უზენაესთან ურთიერთობაში უნდა დაასაქმოს; მან ეულმა უნდა იცხოვროს განმარტოებულ ადგილას, მუდამ გულდასმით მართოს ჭკუა და თავი დააღწიოს სურვილებსა და მესაკუთრეობის გრძნობას.
- 11-12. იოგას შესასრულებლად ადამიანი უკაცრიელ ადგილას უნდა წავიდეს, მიწაზე ბალახი კუშა დააფინოს და შემდეგ ირმის ტყავი და რბილი ქსოვილი გადააფაროს. ადგილი წმინდა უნდა შეარჩიოს, დასაჯდომი არ უნდა იყოს არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი. შემდეგ იოგი გაუნძრევლად უნდა დაჯდეს და შეასრულოს იოგა, რათა განიწმინდოს გული ჭკუის, გრძნობებისა



- და მოქმედებების კონტროლირებით და ჭკუის ერთი წერტილისკენ მიმართვით.
- 13-14. ადამიანმა ტანი, კისერი და თავი ერთ ხაზზე გამართულად უნდა დაიჭიროს და დაჟინებით მიაცქერდეს ცხვირის წვერს. ასეთ მდგომარეობაში აღუშფოთებელი, დამორჩილებული ჭკუით, უშიშრად, სქესობრივი ცხოვრებისგან მთლიანად განთავისუფლებული, გულში ჩემზე უნდა ფიქრობდეს და სიცოცხლის საბოლოო მიზნადაც მე გამიხადოს.
 15. ამგვარად სხეულის, ჭკუისა და მოქმედებათა მუდმივი მართვით მისტიკოსი ტრანსცენდენტალისტი დამორჩილებული ჭკუით, მატერიალური ყოფის შეწყვეტის გზით ღმერთის სამეფოს (ანუ კრშნას სავანეს) აღწევს.
 16. ო არჯუნა, იოგი ვერასოდეს გახდება ის, ვინც ბევრს ან ცოტას ჭამს, ვისაც ბევრი ან ცოტა ძინავს.
 17. მას, ვინც კვება, ძილი, დასვენება და მუშაობა მოწესრიგებულად აქვს, იოგას სისტემის განხორციელებით ყოველგვარი მატერიალური ტანჯვების შემსუბუქება შეუძლია.
 18. როდესაც იოგი იოგას პრაქტიკის გზით ჭკუის მოქმედებებს იმორჩილებს და ტრანსცენდენტალ დონეს აღწევს — თავისუფლდება რა ყოველგვარი მატერიალური სურვილებისგან — ამბობენ, რომ მტკიცედ არის დაფუძნებული იოგაში.
 19. როგორც ლამპარი არ ირხევა უქარო ადგილას, ასევე ტრანსცენდენტალისტი, რომელსაც ჭკუა დაუმორჩილებია, გამუდმებით ტრანსცენდენტალ მეობას ჭვრეტს.
 - 20-23. სრულყოფის იმ საფეხურზე, რომელსაც ტრანსი ანუ შამადჰი ეწოდება, ადამიანის ჭკუა პრაქტიკის მეშვეობით მთლიანად შორდება მატერიალურ აზრობრივ მოქმედებებს. სრულყოფის ეს საფეხური ხასიათდება ცოცხალი არსების უნარით წმინდა ჭკუით იხილოს საკუთარი მეობა და საკუთარ თავში დატკბეს. ამგვარ ნეტარებაში ადამიანი უსაზღვრო ტრანსცენდენტალ ბედნიერებას განიცდის, რაც ტრანსცენდენტული გრძნობების მეშვეობით აღიქმება. ამ საფეხურზე მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ იგი არასიდეს შორდება ჭემმარიტებას და ამის მიღწევის შემდგომ თვლის, რომ ამაზე მეტი მონაპოვარი არ არსებობს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი არასოდეს მერყეობს, უდიდესი სიძნელის წინაშეც კი. ეს მატერიალური ურთიერთობების გამო აღმოცენებული უბედურებისგან ჭემმარიტ თავისუფლებას წარმოადგენს.
 24. ადამიანი იოგას უნდა ასრულებდეს შეუპოვრობითა და რწმენით, ამასთანავე განუხრელად უნდა მიჰყვებოდეს არჩეულ გზას. მან მთლიანად უნდა დათმოს სპეკულაციური მსჯელობის შედეგად აღძრული უკლებლივ ყოველი მატერიალური სურვილი და ამგვარად ჭკუით მართოს ყოველი გრძნობის ყოველი გამოვლინება.
 25. თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, რწმენით განმტკიცებული გონებით ადამიანმა ტრანსს უნდა მიაღწიოს, ამ გზით ჭკუა მხოლოდ სულისკენ მიიპყროს და სხვა არაფერზე იფიქროს.



26. საითაც არ უნდა გაიქცეს ჭკუა თავისი მერყევი და არამტკიცე ბუნების გამო, ადამიანმა უსათუოდ უნდა დააბრუნოს და დაუმორჩილოს საკუთარ მეს.
27. იოგი, რომლის ჭკუაც ჩემსკენ არის მოპყრობილი, უეჭველად აღწევს ტრანსცენდენტული ბედნიერების უმაღლეს სრულყოფილებას. იგი ვნების მოდუსის მიღმა იმყოფება, ესმის უზენაესთან თავისი თვისობრივი მსგავსება და ამრიგად, წარსულ საქმიანობათა ყოველი რეაქციისგან თავისუფლდება.
28. ამდენად იოგი, რომელიც საკუთარ თავს ფლობს და გამუდმებით იოგას ასრულებს, მატერიალური უწმინდურობისაგან იწმინდება და უფლის ტრანსცენდენტალ სამსახურში სრულყოფილი ბედნიერების უმაღლეს საფეხურს აღწევს.
29. ჭეშმარიტი იოგი ყოველ არსებაში მე მხედავს და ყოველ არსებასაც ხედავს ჩემში. თვითრეალიზებული სული ყველგან და ყველაფერში მხედავს მე, უზენაეს უფალს.
30. ვინც ყველგან მე მხედავს და ყველაფერს ცქემსჰი აღიქვამს, არასოდეს მკარგავს და ჩემთვისაც არასოდეს იკარგება.
31. ასეთი იოგი, რომელიც თაყვანისცემით ემსახურება ზესულს, რამეთუ იცის, რომ მე და ზესული ერთნი ვართ, ნებისმიერ ვითარებაში მუდამ ჩემში რჩება.
32. ო არჯუნა, სრულყოფილია იოგი, რომელიც საკუთარი მეობის დანარჩენ ცოცხალ არსებებთან შედარებისას მათ ჭეშმარიტ თანასწორობას ხედავს, ბედნიერებაშიც და უბედურებაშიც.
33. არჯუნამ თქვა: ო მადჰუსუდანა, შენს მიერ აღწერილი იოგას სისტემა განუხორციელებელი და აუტანელი მეჩვენება, რამეთუ ჭკუა მოუსვენარი და არამტკიცეა.
34. ო კრშნა, რაკი ჭკუა მოუსვენარი, მშფოთვარე, მოუდრეკელი და მეტად ძლიერია, ვფიქრობ მისი დამორჩილება ქარის დამორჩილებაზე ძნელი იქნება.
35. უფალმა შრი კრშნამ თქვა: ო კუნტის მკლავმაგარო შვილო, მოუსვენარი ჭკუის მოთოკვა უეჭველად ძნელია, მაგრამ შესაფერისი პრაქტიკითა და განდეგილობით ამის მიღწევა შეიძლება.
36. აულაგმავი ჭკუის მქონე პიროვნებისთვის თვითრეალიზაციის მიღწევა რთული საქმეა, მაგრამ ვისაც ჭკუა დაუმორჩილებია და სათანადო გზით იღწვის, უსათუოდ ეწევა წარმატებას. ასეთია ჩემი აზრი.
37. არჯუნამ თქვა: ო კრშნა, რა ელის ხელმოცარულ ტრანსცენდენტალისტს, რომელიც თავდაპირველად რწმენით იწყებს თვითრეალიზაციის პროცესს, მაგრამ მიწიერი ცნობიერების შედეგად უხვევს არჩეული გზიდან და მისტიციზმში სრულყოფას ვერ აღწევს.
38. ო მკლავმაგარო კრშნა, განა ტრანსცენდენციის გზიდან ამცდარისთვის ბოლო ედება ყოველგვარ სულიერ და მატერიალურ წარმატებას, დაფლეთილი ღრუბელივით ქრება და ველარსად ჰპოვებს თავშესაფარს?
39. ასეთია ჩემი ეჭვი, ო კრშნა და გთხოვ სრულიად გამიფანტო იგი. შენს გარდა არავინ მეგულება, ვისაც ამ ეჭვის განადგურება შეეძლოს.



40. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: პრთჰას შვილო, ტრანსცენდენტალისტს, რომელიც სასიკეთო საქმიანობებს ეწევა, სიკვდილი არც ამ და არც სულიერ სამყაროში უწერია; კეთილისმყოფელს, ჩემო მეგობარო, ვერასოდეს სძლევს ბოროტი.
41. ღვთისმოსავ ცოცხალ არსებათა პლანეტებზე მრავალი წლის მანძილზე განცხრომის შემდეგ ხელმოცარული იოგი ღვთისმოსავთა ან მდიდარ არისტოკრატთა ოჯახში იბნადება.
42. ანდა (თუ იოგას ხანგრძლივი შესრულების შემდეგ წარმატებას ვერ აღწევს) იმ ტრანსცენდენტალისტთა ოჯახში იბადება, რომლებიც უეჭველად დიდი სიბრძნით გამოირჩევიან. ცხადია, ამ სამყაროში ასეთი დაბადება იშვიათად თუ ვინმეს ხვდება წილად.
43. ო კურუს შვილო, ასეთი დაბადების შემდეგ იგი აღიდგენს წინა ცხოვრების ცნობიერებას და სრული წარმატების მოსაპოვებლად კვლავ წინსვლას ცდილობს.
44. წინა ცხოვრების ღვთაებრივი ცნობიერების წყალობით მას თავისთავად, ძიების გარეშე იოგას პრინციპები იზიდავს. ასეთი ცნობისმოყვარე ტრანსცენდენტალისტი ყოველთვის წმინდა წერილთა რიტუალურ პრინციპებზე მაღლა დგას.
45. და როცა ყოველგვარი ჭუჭყისგან განწმენდილი იოგი გულწრფელად ესწრაფვის შემდგომ წინსვლას, საბოლოოდ მრავალი, მრავალი დაბადების განმავლობის პრაქტიკის შემდეგ სრულყოფის შედეგად უზენაეს მიზანს მიაღწევს.
46. იოგი უფრო მაღალია, ვიდრე ასკეტი, უფრო მაღალია, ვიდრე ემპირიკოსი და უფრო მაღალია, ვიდრე კარმიული მოღვაწე. ამიტომ, ო არჯუნა, ყოველთვის იოგი იყავი.
47. დაყველა იოგს შორის, ვინც დიდი რწმენით მუდამ ჩემში იმყოფება, შინაგანად ჩემზე ფიქრობს და ტრანსცენდენტული სიყვარულით მემსახურება, ყველაზე მჭიდროდ არის ჩემთან იოგათი დაკავშირებული და უმაღლესია. ასეთია ჩემი აზრი.

(7) თავი მეშვიდე აბსოლუტის ცოდნა

1. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ახლა მისმინე, ო პრთჰას შვილო, თუ იოგას პრაქტიკით, ჩემი სრული ცნობიერებით, ჩემზედ მიჯაჭვული ჭკუით, ეჭვებისაგან განთავისუფლებული, როგორ შეძლებ სრულად შემიცნო მე.
2. ახლა მე მთელი სისრულით გადმოგცემ ამ ცოდნას, როგორც ფენომენურს, ასევე ღვთაებრივს. ამის შემდეგ, აღარაფერი დაგრჩება შესაცნობი.



3. მრავალი ათასი კაციდან ერთი შეიძლება ესწრაფოდეს სრულქმნას, და მათგან, ვინც სრულქმნას მიაღწია, ერთიც ძლივა მოინახება, რომელიც მე ჭეშმარიტად მიცნობს.
4. მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, ჭკუა, გონება და ცრუ ეგო — ეს რვა ჩემს განცალკევებულ მატერიალურ ენერგიებს შეადგენს.
5. ამათ გარდა, ო მკლავმაგარო არჯუნა, არსებობს სხვა, ჩემი უმაღლესი ენერგია, რომელიც მოიცავს ცოცხალ არსებებს, რომლებიც ამ მატერიალური, უმდაბლესი ბუნების საშუალებებს იყენებენ.
6. ყოველი შექმნილი არსება დასაბამს ამ ორი ბუნებიდან იღებს. უეჭველად იცოდე, რომ მე ვარ ამ სამყაროში ყოველივე მატერიალურისა და სულიერის დასაბამიც და დასასრულიც.
7. ო სიმდიდრის მომპოვებელო, არ არსებობს ჩემზე მაღალი ჭეშმარიტება. ყველაფერი ჩემზე ძვეს, როგორც ძაფზე აცმული მარგალიტები.
8. ო კუნტის შვილო, მე ვარ წყლის გემო, მზისა და მთვარის შუქი, მარცვალი ომ ვედურ მანტრებში; მე ვარ ბგერა ეთერში და უნარი ადამიანში.
9. მე ვარ მიწის თავდაპირველი სურნელი და მე ვარ სითბო ცეცხლისა. მე ვარ ყოველი ცოცხალის სიცოცხლე და მე ვარ ეპითიმია ყოველი ასკეტისა.
10. ო პრთჰას შვილო, იცოდე რომ მე ვარ ყოველი არსებობის თავდაპირველი თესლი, გონიერთა გონიერება და ძლევამოსილთა სიმამაცე.
11. მე ვარ ძალა ძლიერთა, რომელნიც ვნებასა და სურვილს არიან მოკლებული. მე ვარ სქესობრივი ცხოვრება, რომელიც რელიგიურ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, ო ბჰარატათა მეუფე (არჯუნა).
12. იცოდე რომ არსებობის ყოველი მდგომარეობა — სათნოების, ვნებისა თუ უგუნურების — ჩემი ენერგიით ვლინდება. ერთის მხრივ, მე ყველაფერი ვარ, მაგრამ დამოუკიდებელი ვრჩები. მე არ ვექცევი მატერიალური ბუნების მოდუსების გავლენაში, ვინაიდან პირიქით, ისინი იმყოფებიან ჩემში.
13. სამი მოდუსით (სათნოებით, ვნებითა და უგუნურებით) მოტყუებული მთელი სამყარო არ მიცნობს მე, მოდუსებზე მაღლა მყოფსა და უშრეტს.
14. ძალიან ძნელია ამ ჩემი ღვთაებრივი ენერგიეს ძლევა, რომელიც მატერიალური ბუნების სამი მოდუსისგან შედგება. მაგრამზე მონდობილებს ადვილად შეუძლიათ მისი გადაღახვა.
15. არამზადები, რომლებიც უკიდურესად სულელნი, კაცთა შორის უმდაბლესნი არიან, ვისი ცოდნაც ილუზიით არის განძარცვული და ვინც დემონთა ათეისტურ ბუნებას იზიარებენ, არ მენდობიან მე.
16. ო საუკეთესოვ ბჰარატათა შორის, ოთხი სახის ღვთისმოსავი ხალხი იწყებს ჩემს მსახურებას — ტანჯულნი, ქონების მოსურნენი, ცნობისმოყვარენი და ისინი, ვინც აბსოლუტის შესახებ ცოდნას ეძებენ.

17. მათ შორის ის ვინც სრულ ცოდნას ფლობს და ვინც მუდამ წმინდა ერთგულ სამსახურს ეწევა, საუკეთესოა. ვინაიდან მე მეტად ძვირფასი ვარ მისთვის და ისიც ძვირფასია ჩემთვის.
18. ყოველი ეს ერთგული უდაოდ დიდსულოვანი სულია, მაგრამ მას, ვინც ჩემს ცოდნას ფლობს, არ ვანსხვავებ ჩემგან. ჩემი ტრანსცენდენტული მსხურების გამო იგი აუცილებლად მომადლწევს მე, უმაღლესსა და ყველაზე სრულყოფილ მიზანს.
19. მრავალი დაბადებისა და სიკვდილის შემდეგ, ვინც ჭეშმარიტ ცოდნას ფლობს, მომენდობა მე, მიცნობს რა მე ყოველი მიზეზისა და ყოველივე არსებულის მიზეზად. ასეთი დიადი სული მეტად იშვიათია.
20. ისინი, ვისი გონებაც განძარცვულია მატერიალური სურვილებით, მიენდობიან ნახევარღმერთებს და მიჰყვებიან თავიანთი ბუნების შესაბამის თაყვანისცემის გარკვეულ წესებსა და რეგულაციებს.
21. მე ყველას გულში ვიმყოფები ზესულის სახით. როგორც კი ვინმე მოისურვებს გარკვეული ნახევარღმერთის თაყვანისცემას, მე ვუმტკიცებ რწმენას, რათა ამ ღვთაებას მიუძღვნას თავი.
22. ასეთი რწმენით დაჯილდოებული, იგი ცდილობს თაყვანი სცეს გარკვეულ ნახევარღმერთს და აისრულოს სურვილები. მაგრამ სინამდვილეში ამ შედეგს ვიძლევი მხოლოდ მე.
23. მცირე გონების მქონე ხალხი თაყვანს სცემს ნახევარღმერთებს და მათი ნაყოფები შეზღუდული და წარმავალია, ისინი, ვინც თაყვანს სცემენ ნახევარღმერთებს, მიდიან ნახევარღმერთთა პლანეტებზე, მაგრამ ჩემი ერთგულები საბოლოოდ აღწევენ ჩემს უმაღლეს პლანეტას.
24. უგონო ხალხი, რომელიც სრულყოფილად არ მიცნობს, თვლის, რომ მე, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, კრძნა, უპიროვნო ვიყავი აქამდე, ახლა კი მივიღე ეს პიროვნული ფორმა. თავიანთი მცირე ცოდნის გამო, მა თარ იციან ჩემი მაღალი ბუნება, რომელიც უკვდავია და უზენაესი.
25. მე არასოდეს ვევილინები სულელებსა და უგუნურებს. მათთვის დაფარული ვარ ჩემი შინაგანი პოტენციით, ამიტომ მა თარ იციან, რომ მე უშობელი და უშეცდომო ვარ.
26. ო არჯუნა, როგორც ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ, მე ვიცი ყველაფერი რაც მომხდარა წარსულში, ყველაფერი რაც ხდება აწმყოში და ყველაფერი რაც უნდა მოხდეს. მე აგრეთვე ვიცნობ ყოველ ცოცხალ არსებას; მაგრამ მე არავინ არ მიცნობს.
27. ო ბჰარატას შთამომავალო, ო მტრის შAემმუსვრელო, ყოველი ცოცხალი არსება იბადება ილუზიაში, სურვილისა და ზიზღისგან წარმოშობილი ორმაგობით მოტყუებული.
28. ისინი, ვინც ღვთაებრივ საქმეებს ჩადიოდნენ წარსულ ცხოვრებებში და ვისი ცოდვითი რეაქციებიც სრულიად აღმოფხვრილია, თავისუფალი არიან ილუზიის ორმაგობებისგან და მტკიცე გადაწყვეტილებით მემსახურებიან მე.

29. გონიერი პიროვნებები, რომლებიც იღწვიან სიბერისა და სიკვდილისაგან განთავისუფლებისათვის, თავშესაფარს პოულობენ ჩემში, ერთგულ სამსახურში. ისინი ჭეშმარიტად ბრაჰმანი არიან, ვინაიდან ბოლომდე იციან ყველაფერი ტრანსცენდენტული საქმიანობების შესახებ.
30. მათ, ვისაც სრული ცნობიერება აქვთ ჩემზე, ვინც მიცნობენ მე, უზენაეს უფალს, როგორც მატერიალური გამოვლინების, ნახევარღმერთებისა და მსხვერპლშეწირვის ყოველი მეთოდის მმართველ პრინციპად, შეუძლიათ შემიცნონ და მიცნობდნენ მე, ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, სიკვდილის ჟამსაც კი.

(8) თავი მერვე უზენაესის მიღწევა

1. არჯუნამ იკითხა: ო ჩემო უფალო, ო უზენაესო პიროვნებავ, რა არის ბრაჰმანი? რა არის მეობა? რა არის კარმიული საქმიანობა? რა არისე ს მატერიალური გამოვლინება? და ვინ არიან ნახევარღმერთები? გთხოვ, განმიმარტე ეს.
2. ვინ არის მსხვერპლშეწირვის უფალი და როგორ ცხოვრობს იგი სხეულში, ო მადჰუსუდანა? და როგორ უნდა გიცნობდნენ სიკვდილის ჟამს ისინი, ვინც ერთგული სამსახურით არიან დაკავებული.
3. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ურღვევ ტრანსცენდენტალურ ცოცხალ არსებას ბრაჰმანი ჰქვია დამ ის მარადიულ ბუნებას — ადჰიატმა, მეობა. საქმიანობას, რომელიც ცოცხალ არსებათა მატერიალური სხეულების განვითარებას ეხება, ეწოდება კარმა, ანუ საკუთარი სიამოვნებისათვის გამიზნული საქმიანობები.
4. ო საუკეთესოვ ხორცშესხმულ არსებათა შორის, განუწყვეტლივ ცვალებად ფიზიკურ ბუნებას ადჰიბჰუტა (მატერიალური გამოვლინება) ეწოდება. უფლის სამყაროსეული ფორმა, რომელიც მოიცავს ყოველ ნახევარღმერთს, როგორებიც არიან მზისა და მთვარის ნახევარღმერთები, ადჰიდაივად არის ცნობილი. და მე, უზენაეს უფალს, ყოველი ხორცშესხმული არსების გულში ზესულის სახით წარმოდგენილს, მქვია ადჰიაჯნა (მსხვერპლშეწირვის უფალი).
5. და ვინც სიცოცხლის ბოლოს სხეულს ტოვებს ისე, რომ მხოლოდ მე ვახსოვარ, უმაღლ აღწევს ჩემს ბუნებას. ამაში ეჭვი არ არის.
6. ყოფიერების რა მდგომარეობაც ახსოვს ცოცხალ არსებას სხეულის დატოვებისას, ო კუნტის შვილო, აუცილებლად იმავე მდგომარეობას მიაღწევს.
7. ამიტომ არჯუნა, მუდამ უნდა იფიქრო ჩემზე, როგორც კრშნაზე და ამავე დროს შეასრულო შენი მოვალეობა — იბრძოლო. ჩემდამი მოძღვნილი საქმიანობით და ჩემზედ მოპყრობილი ჭკუითა და გონებით უეჭველად მოაღწევ ჩემამდე.
8. ის, ვინც ფიქრობს ჩემზე, როგორც ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე, ვისი ჭკუაც მუდამ ჩემზე ფიქრით არის მოცული და არ უხვევს გზიდან, ო პრთჰა, აუცილებლად მომაღწევს მე.



9. ცოცხალმა არსებამ უზენაეს უფალზე უნდა იფიქროს, როგორც ყოვლისმცოდნეზე, უხუცესზე, განმგებელზე, მასზე, ვინც უმცირესზე მცირეა, ყოვლის მასულდგმულზე, ვისაც ვერავითარი მატერიალური წარმოდგენა ვერ სწვდება, როგორც მიუწვდომელზე და როგორც მასზე, ვინც ყოველთვის პიროვნებაა. იგი მზესავით ნათელია და ტრანსცენდენტულია მატერიალური ბუნების მიმართ.
10. ის, ვინც სიკვდილის ჟამს სასიცოცხლო ჰაერს წარბებს შუა ათავსებს და იოგას საშუალებით, განუხრელი ჭკუით და სრული ერთგულებით უზენაესი უფლის მოგონებას იწყებს, აუცილებლად აღწევს ღმრთეების უზენაეს პიროვნებას.
11. ვედებში განსწავლული ადამიანები, რომლებიც ომკარას გამოთქვამენ და განდევილის წესში დიადი ბრძენები არიან, ბრაჰმანში შედიან. ვისაც ასეთი სრულქმნის მიღწევა სურს, უბიწოებას იცავს. ახლა, მე მოკლედ აგიხსნი გზას, რომლითაც შეიძლება ხსნის მიღწევა.
12. იოგური მდგომარეობა ყოველგვარი გრძნობითი საქმიანობისაგან განდგომას ნიშნავს. გრძნობათა ყოველი კარის დაკეტვით, ჭკუის გულზე მიპყრობითა და სასიცოცხლო ჰაერის თავის წვერზე მოთავსებით ადამიანი იოგაში მკვიდრდება.
13. თუ იოგას ამ პრაქტიკაში ბგერათა უმაღლესი ერთობლიობის წმინდა მარცვლის — ომ-ის ვიბრირებისას ადამიანი ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე ფიქრით ტოვებს სხეულს, აუცილებლად აღწევს სულიერ პლანეტებს.
14. ვისაც განუწყვეტლივ ვახსოვარ მე, ადვილად მოაღწევს ჩემამდე, ო პრთჰას შვილო, ვინაიდან გამუდმებით ჩემი ერთგული სამსახურით არის დაკავებული.
15. ჩემთან მოსვლის შემდეგ დიადი სულები, რომლებიც ღვთის ერთგული იოგები არიან, არასოდეს უბრუნდებიან გაჭირვებით აღსავსე ამ წარმავალ სამყაროს, ვინაიდან უმაღლეს სრულქმნას მიაღწიეს.
16. მატერიალურ სამყაროში ყოველი პლანეტა, დაწყებული უმაღლესიდან, დამთავრებული უმდაბლესით, ტანჯვით აღსავსე ადგილია, სადაც განმეორებადი დაბადება და სიკვდილი ბატონობს, მაგრამ ის, ვინც ჩემს სასუფეველს აღწევს, ო კუნტის შვილო, ხელახლა აღარასოდეს იბადება.
17. კაცთა ანგარიშით ერთად აღებული ათასი ეპოქა ბრაჰმას ერთი დღის ტოლია. და ასეთივე ხანგრძლივობისაა მისი ღამეც.
18. ბრაჰმას დღის დასაბამს ყოველი ცოცხალი არსება ვლინდება გამოუვლენელი მდგომარეობიდან და შემდეგ, ღამის დამდეგს, კვლავ გამოუვლენელში შედის.
19. კვლავ და კვლავ, როდესაც დგება ბრაჰმას დღე, ცოცხალი არსებები იწყებენ არსებობას და ბრაჰმას ღამის დადგომასთან ერთად უმწეოდ ნადგურდებიან.
20. და მაინც, არსებობს სხვა გამოუვლენელი ბუნება, რომელიც მარადიული და ტრანსცენდენტულია ამ გამოვლენილი და გამოუვლენელი მატერიის მიმართ. იგი უმაღლესია და არასოდეს ნადგურდება. როდესაც ამ სამყაროში ყველაფერი ისპობა, ეს ნაწილი ხელუხლებელი რჩება.

21. ის, რასაც ვედანტიკები აღწერენ, როგორც გამოუვლენელსა და უნაკლოს, რაც უმაღლეს მიზნად არის ცნობილი, ადგილი, რომლის მიღწევის შემდეგ არასოდეს ბრუნდებიან — ჩემი უმაღლესი სავანე გახლავთ.
22. მხოლოდ წმინდა ერთგულებით შეიძლება ღმრთეების უზენაესი პიროვნების, უდიადების მიღწევა, თუმცა იგი თავის სავანეში იმყოფება, ყველაფერს გამსჭვალავს და ყველაფერი მასშია.
23. ო ბჰარატათა შორის საუკეთესოვ, ახლა დაგიხასიათებ სხვადასხვა დროებს, როდესაც ამ ქვეყნიდან წასული იოგები უკან ბრუნდებიან ან არ ბრუნდებიან.
24. უზენაესი ბრაჰმანის მცოდნენი აღწევენ ამ უზენაესს, თუკი ამ ქვეყანას ცეცხლის ღმერთის გავლენისას, სინათლეში, დღის საუკეთესო ხანს, სავსე მთვარის ორი კვირის განმავლობაში ტოვებენ, ან იმ ექვსი თვის მანძილზე, როდესაც მზე ჩრდილოეთში მოძრაობს.
25. მისტიკოსი, რომელიც მიდის ამ სამყაროდან კვამლისას, ღამით, მილეული მთვარის ნახევარი თვის, ან იმ ექვსი თვის განმავლობაში, როდესაც მზე სამხრეთში გადის, აღწევს პლანეტა მთვარეს, მაგრამ კვლავ უკან ბრუნდება.
26. ვედური შეხედულების თანახმად, არსებობს ამ ქვეყნიდან წასვლის ორი გზა — ერთი სინათლეში, მეორე კი — სიბნელებაში. სინათლეში წასული ცოცხალი არსება აღარ მოდის, მაგრამ სიბნელებაში წასული უკანვე ბრუნდება.
27. თუმცა ერთგულებმა იციან ეს ორი გზა, ო არჯუნა, ისინი არასოდეს ცდებიან. ამიტომ ერთგულებაში მუდამ მტკიცე იყავ.
28. ის, ვინც ერთგული სამსახურის გზაზე დგება, მოკლებული არ არის ვედების შესწავლის, რთული მსხვერპლშეწირვების შესრულების, ქველმოქმედების ან ფილოსოფიური და კარმიული საქმიანობების შესრულებით მიღებულ შედეგებს. უბრალოდ ერთგული სამსახურით იღებს ამ ყველაფერს და ბოლოს უმაღლეს მარადიულ სასუფეველს აღწევს.

(9) თავი მეცხრე ყველაზე საკრალური ცოდნა

1. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ჩემო ძვირფასო არჯუნა, ვინაიდან შენ არასოდეს გასურს ჩემი, მე გაგინდობ ამ ყველაზე საკრალურ ცოდნასა და რეალიზაციას, რომლის ცოდნითაც განთავისუფლდები მატერიალური არსებობის ტანჯვებისგან.
2. ეს ცოდნა განათლების მეფეა, საიდუმლოთა საიდუმლო. წმინდა ცოდნაა და ვინაიდან მისი საშუალებით სული უშუალოდ აღიქმება რეალიზაციის გზით, რელიგიის სრულქმნას წარმოადგენს. იგი სამარადისოა დამ ის შესრულებას ბედნიერება მოაქვს.
3. ვისაც ერთგული სამსახურის არა სწამთ, ვერ აღწევენ ჩემამდე, ო მტრის შემმუსვრელო. ამიტომ უბრუნდებიან დაბადებისა და სიკვდილის გზას მატერიალურ სამყაროში.




4. მე, ჩემი გამოუვლენელი სახით, განვმსჭვალავ მთელ ამ სამყაროს. ყოველი არსება ჩემშია, მაგრამ მე მათში არა ვარ.
5. და მაინც, ყოველი შექმნილი არ განისვენებს ჩემში. შეხედე ჩემს მისტიკურ სიდიადეს! თუმცა მე ყოველ ცოცხალ არსებას ვასულდგმულე და ყველგან ვარ, არ მივეკუთვნები ამ კოსმოსურ გამოვლინებას, ვინაიდან მე თვითონ ვარ სამყაროს დასაბამი.
6. გესმოდეს, რომ როგორც ყველგან მქროლავი ძლიერი ქარი მუდამ ცაში რჩება, ყოველი შექმნილი არსებაც ჩემში განისვენებს.
7. ო კუნტის შვილო, ეპოქის დასასრულს მთელი მატერიალური გამოვლინება ჩემს ბუნებაში შედის და ახალი ეპოქის დასაბამს, კვლავ ვქმნი მათ, ჩემი პოტენციეს საშუალებით.
8. მთელი კოსმოსური სისტემა მე მემორჩილება. ჩემი ნებით კვლავ და კვლავ თავისთავად ვლინდება და ჩემივე ნებით ისპობა ბოლოს.
9. ო დჰანანჯაია, მთელი ეს შრომა ვერ მბოჭავს მე. მე მუდამ ჩამოცილებული ვარ მატერიალური საქმიანობებისაგან, თითქოს განზე მდგომი ვიყო.
10. ეს მატერიალური ბუნება, რომელიც ჩემს ერთ-ერთ ენერგიეს წარმოადგენს, ჩემი ზედამხედველობით მოქმედებს, ო კუნტის შვილო და ყოველ მოძრავ და უძრავ არსებას წარმოქმნის. მისი განმგებლობით ეს გამოვლენა კვლავ და კვლავ ვლინდება და ნადგურდება.
11. სულელები დამცინიან მე, როდესაც ადამიანის სახით ვეშვები. მათ არ იციან ჩემი, როგორც ყოველივე არსებულის უზენაესი უფლის ტრანსცენდენტული ბუნება.
12. ამგვარად მოტყუებულთ დემონური და ათეისტური შეხედულებები იზიდავთ. ასეთ შეცბუნებულ მდგომარეობაში მათი განთავისუფლების იმედები, კარმიული საქმიანობა და ცოდნის განვითარება მარცხით მთავრდება.
13. ო პრთჰას შვილო, ღვთაებრივი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან ის დიადი სულელები, რომლებიც არ ტყუვდებიან. ისინი ბოლომდე დაკავებულნი არიან ერთგული სამსახურით, ვინაიდან მიცნობენ მე, როგორც ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, თავდაპირველსა და უშრეტს.
14. ეს დიადი სულელები, რომლებიც მუდამ ჩემს დიდებას გალობენ და დიდი შეუპოვრობით იღწვიან, ქედს იხრიან ჩემს წინაშე და განუწყვეტლივ ერთგულებით თაყვანს მცემენ.
15. სხვები, რომლებიც მსხვერპლშეწირვას ცოდნის განვითარების გზით ასრულებენ, თაყვანს სცემენ უფალს, როგორც განუმეორებელს, მრავალფეროვანს მრავალთა შორის და კოსმოსურ ფორმაში.
16. მაგრამ სწორედ მე ვარ რიტუალი, მსხვერპლშეწირვა, შესაწირი წინაპართათვის, სამკურნალო ბალახი, ტრანსცენდენტული საგალობელი. მე ვარ კარაქი, ცეცხლი და შესაწირი.

17. მე ვარ სამყაროს მამა, დედა, ბურჯი და წინაპარი. მე ვარ ცოდნის საგანი, განმსპეტაკებელი და მარცვალი ომ. მე ვარ აგრეთვე რიგ, სამა და იაჯურ ვედები.
18. მე ვარ მიზანი, მასულდგმულელებელი, მბრძანებელი, მოწმე, სავანე, განსასვენებელი და უძვირფასესი მეგობარი. მე ვარ შექმნა და განადგურება, საფუძველი ყოვლისა, განსასვენებელი ადგილი და მარადიული თესლი.
19. ო არჯუნა, მე ვიძლევი სითბოს და მე ვაკავებ და ვაგზავნი წვიმას. მე ვარ უკვდავება და მე ვარ განსახიერებელი სიკვდილი. სულიცა და მატერიაც ჩემშია.
20. ისინი, ვინც სწავლობენ ვედებს და სვამენ წვეთ სომას, ელტვიან რა ზეციურ პლანეტებს, არაპირდაპირი გზით მე მეთაყვანებიან. ცოდვითი რეაქციებისგან განწმენდილნი, ინდრას ღვთაებრივ ზეციურ პლანეტაზე იბადებიან, სადაც ტკბებიან ღმერთთა განცხრომით.
21. როდესაც ისინი ასე დატკბებიან გრძნობათა უზარმაზარი ზეციური სიამოვნებით და მათი ღვთაებრივი საქმიანობების შედეგები ამოიწურება, კვლავ ამ მოკვდავ პლანეტას უბრუნდებიან. ამდენად, ისინი, ვინც გრძნობათა სიამოვნებას ელტვიან, იცავენ რა სამი ვედის პრინციპებს, მხოლოდ განმეორებად დაბადებასა და სიკვდილს აღწევენ.
22. მაგრამ მათ, ვინც მუდამ გამორჩეული ერთგულებით მეთაყვანებიან, ჩემს ტრანსცენდენტალ ფორმაზე ფიქრობენ — მე ვამლევი იმას, რაც აკლიათ და ვუნარჩუნებ, რაც აქვთ.
23. ისინი, ვინც სხვა ღმერთების ერთგულები არიან და მათ ეთაყვანებიან, სინამდვილეში მხოლოდ მე მცემენ თაყვანს, ო კუნტის შვილო, მაგრამ ამას არასწორად ასრულებენ.
24. მე ვარ ყოველი მსხვერპლშეწირვის ერთადერთი განმცხრომელი და მბრძანებელი. ამიტომ ისინი, ვინც ჩემს ჭეშმარიტ ტრანსცენდენტალ ბუნებას არ აღიარებენ, ეცემიან.
25. ნახევარღმერთების თაყვანისმცემლები იბადებიან ნახევარღმერთთა შორის; წინაპართა თაყვანისმცემლები წინაპრებთან წავლენ; მოჩვენებებისა და სულების თაყვანისმცემელნი ასეთ არსებებთან იბადებიან; და ისინი, ვინც მე მცემენ თაყვანს, ჩემთან იცხოვრებენ.
26. თუკი ადამიანი სიყვარულითა და ერთგულებით შემომთავაზებს ფოთოლს, ყვავილს, ნაყოფსა თუ წყალს, მე მივიღებ.
27. რასაც აკეთებ, რასაც ჭამ, რასაც თავაზობ ან გასცემ და რა ასკეზებსაც ასრულებ — გაილე ჩემს ძღვნად, ო კუნტის შვილო.
28. ამრიგად თავს დაიხსნი შრომის ტკივილებისგან და მისი სასიკეთო და არასასიკეთო შედეგებისგან. თუკი ასეთი განდევილობით მომაპყრობ ჭკუას, განთავისუფლდები და ჩემთან მოხვალ.

29. მე არავინ მძულს და არც არავიზე ვარ მიკერძოებული. ერთნაირად ვექცევი ყველას, მაგრამ ის, ვინც ერთგულებით მემსახურება, ჩემი მეგობარია, ჩემშია და მეც მისი მეგობარი ვარ.
30. თუკი ცოცხალი არსება ერთგული სამსახურითაა დაკავებული, ყველაზე სამაგელი საქმეც რომ ჩაიდინოს, წმინდანად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სწორი მიზანი აქვს დასახული.
31. იგი მალე ხდება ღვთისმოსავი და აღწევს მარადიულ სიმშვიდეს. ო კუნტის შვილო, თამამად განაცხადე, რომ ჩემი ერთგული არასოდეს იღუპება.
32. ო პრთჰას შვილო, მდაბიო წარმოშობის ხალხს — ქალებს, ვაიშიებს (ვაჭრებს) და შუდრებსაც კი (მუშებსაც) — რომლებიც ჩემს თავშესაფარს პოულობენ, შეუძლიათ დანიშნულების უმაღლეს ადგილას მიღწევა.
33. მაშ, რამდენად მართებულია ეს ღვთისმოსავი ბრატმანებისათვის, ერთგულებისა და წმინდა მეფეებისათვის. ამიტომ მოსულხარ რა ამ წარმავალ, გაჭირვებით აღსავსე სამყაროში, სიყვარულით მემსახურე მე.
34. ყოველთვის ჩემზე იფიქრე, გახდი ჩემი ერთგული, ემთხვეე მიწას ჩემს წინაშე და თაყვანი მეცი. თუკი სრულიად დაინთქმები ჩემში, აუცილებლად მოაღწევ ჩემამდე.

(10) თავი მეათე აბსოლუტის სიდიადე

1. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: კვლავ მისმინე, ო მკლავმაგარო არჯუნა. ვინაიდან ჩემი ძვირფასი მეგობარი ხარ, შენდა სასიკეთოდ უფრო მეტს მოგიყვები და მოგცემ ცოდნას, რომელიც უკეთესია იმაზე, რაც აქამდე განმიმარტავს.
2. არც ნახევარღმერთთა დასმა და არც დიადმა ბრძენებმა არ იციან ჩემი წარმოშობა ან სიდიადეები, ვინაიდან მე ვარ ნახევარღმერთთა და ბრძენთა დასაბამი ყოველმხრივ.
3. ის, ვინც მიცნობს მე, როგორც არშობილს, როგორც დაუსაბამოს, როგორც ყოველი სამყაროს უზენაეს უფალს — მხოლოდ ის, კაცთა შორის შეუმცდარი, განწმენდილია ყოველი ცოდვისგან.
- 4-5. გონიერება, ცოდნა, ეჭვებისა და შეცდომებისგან თავისუფლება, მიმტევებლობა, სიმართლე, გრძნობათა მართვა, ჭკუის მართვა, ბედნიერება და უბედურება, დაბადება, შიში, უშიშრობა, არაძალმომრეობა, წონასწორობა, კმაყოფილება, ასკეტიზმი, ქველმოქმედება, სახელი და უსახელობა — ცოცხალ არსებათა ეს თვისებები მხოლოდ ჩემს მიერ არის შექმნილი.
6. შვიდი დიდი ბრძენი და, მათ მოვლენამდე ოთხი დანარჩენი დიდი ბრძენი და მანუები (კაცობრიობის მამამთავრები) მომდინარეობენ ჩემგან, შობილი არიან ჩემი ჭკუიდან და ყოველი ცოცხალი არსება, რომელიც სხვადასხვა პლანეტაზე სახლობს, მათგან მოდის.



7. ვინც მართლაც დარწმუნებულია ამ ჩემს სიდიადესა და მისტიურ ძალაში, წმინდა ერთგული სამსახურით მემსახურება მე; და ამაში ეჭვი არ არსებობს.
8. მე ვარ ყოველი სულიერი და მატერიალური სამყაროს დასაბამი. ყველაფერი ჩემგან მომდინარეობს. ბრძენები, რომელთაც სრულყოფილად იციან ეს, ერთგულად მემსახურებიან მე და მთელი გუილტა და სულით თაყვანს მცემენ.
9. ჩემი წმინდა ერთგულების ფიქრები მომართულია ჩემსკენ, მათი ცხოვრება ბოლომდე ჩემს მსახურებას ეძღვნება და ერთმანეთის გასხივოსნებითა და ჩემზე საუბრით ისინი დიდ კმაყოფილებასა და ნეტარებას განიცდიან.
10. მათ, ვინც მუდამ სიყვარულით მემსახურებიან, შეცნობის უნარს ვაძლევ, რომლითაც ჩემამდე მოაღწევენ.
11. განსაკუთრებული მადლყ რომ მოვფინო მათ, მე, რომელიც მათ გულებში ვიმყოფები, ცოდნის კაშკაშა ჩირაღდნით ვსპობ უგუნურებით შობილ წყვილიადს.
- 12-13. არჯუნამ თქვა: შენ ხარ ღმრთეების უზენაესი პიროვნება, საბოლოო სავანე, უწმინდესი, აბსოლუტური ჭეშმარიტება. შენ ხარ მარადიული, ტრანსცენდენტული, თავდაპირველი პიროვნება, არშობილი, უდიადესი, ყოველი დიადი ბრძენი, როგორებიც არიან ნარადა, ასიტა, დევალა და ვიასა ადასტურებენ ამ ჭეშმარიტებას შენს შესახებ და ახლა შენ თავად მიცხადებ ამას.
14. ო კრშნა, მე სრულ ჭეშმარიტებად ვაღიარებ ყოველ შენს ნათქვამს. ვერც ნახევარღმერთებს და ვერც დემონებს, ო უფალო, არ შეუძლიათ შენი პიროვნების შეცნობა.
15. სინამდვილეში შენ თავს მხოლოდ შენ იცნობ შენივე შინაგანი უნარის საშუალებით, ო უზენაესო პიროვნებავ, ყოვლის დასაბამო, ყოველი არსების უფალო, ღმერთთა ღმერთო, სამყაროს მეუფეო.
16. გთხოვ დაწვრილებით მომიყევი იმ შენი ღვთაებრივი სიდიადეების შესახებ, რომლითაც ყოველ სამყაროს განმსჭვალავ.
17. ო კრშნა, უდიადესო მისტიკოსო, როგორ ვიფიქრო გამუდმებით შენზე და როგორ შეგიცნო შენ? რომელი სხვადასხვა სახით მახსოვდე, ო ღმრთეების უზენაესო პიროვნებავ?
18. ო ჯანარდანა, გთხოვ კვლავ დაწვრილებით დამიხასიათე შენი სიდიადეების იდუმალი ძალა, მე ვერასოდეს დაგკმაყოფილდები შენს შესახებ მოსმენით, ვინაიდან რაც მეტს ვისმენ, მით უფრო მეტად მსურს ვიგემო შენი სიტყვების ნექტარი.
19. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: დიახ, მე მოგიყვები ჩემი დიდებული გამოვლინებების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ყველაზე მთავარს, ო არჯუნა, რამეთუ ჩემი სიდიადე უსაზღვროა.
20. ო არჯუნა, მე ვარ ყოველი ცოცხალი არსების გულში მყოფი ზესული. მე ვარ თავი, შუაგული და ბოლო ყოველი არსებისა.



21. ადიტიათა შორის მე ვარ ვიშნუ, მნათობთა შორის — მოკაშკაშე მზე, მარუტთა შორის — მარიჩი, ვარსკვლავთა შორის კი მთვარე ვარ.
22. ვედათა შორის სამა ვედა ვარ; ნახევარღმერთთა შორის ვარ ინდრა, ზეცის მეუფე; გრძნობათა შორის მე ვარ ჭკუა; ცოცხალ არსებათა შორის კი — სასიცოცხლო ძალა (ცნობიერება).
23. მთელ რუდრათა შორის მე ვარ უფალი შივა, იაკშასებსა და რაკშასებს შორის მე ვარ სიმდიდრის უფალი (კუვერა), ვასუებს შორის მე ვარ ცეცხლი (აგნი) და მათა შორის მე ვარ მერუ.
24. იცოდე, ო არჯუნა, რომ მღვდელთმსახურთა შორის მე ვარ მთავარი, ბრჰასპატი ვარ. მხედართმთავართაგან მე ვარ კარტიკეა, წყალთა შორის კი მე ვარ ოკეანე.
25. დიად ბრძენთა შორის მე ვარ ბჰრგუ; ვიბრაციათა შორის — ტრანსცენდენტული ომ. მსხვერპლშეწირვათა შორის ვარ წმინდა სახელთა გალობა (ჯაპა), უძრავ საგანთა შორის კი — ჰიმალაები.
26. ყოველ ხეს შორის მე ბანიანის ხე ვარ, ნახევარღმერთთა შორის ბრძენთაგან კი მე ვარ ნარადა. განდჰარვთა შორის მე ვარ ჩიტრარათჰა, სრულქმნილ არსებათა შორის კი — ბრძენი კაპილა.
27. იცოდე, რომ ცხენთა შორის მე ვარ უჩჩაიჰშრავა, ნექტარის ოკეანის დღვებისას წარმოშობილი. სამეფო სპილოთა შორის მე ვარ აირავიტა, ადამიანთა შორის კი — მონარქი.
28. იარაღთა შორის მე ვარ მეხი; ძროხათა შორის — სურაბჰი. გამრავლების მიზეზთა შორის კანდარჰა, სიყვარულის ღმერთი ვარ, გველთა შორის კი — ვასუკი.
29. მრავალთავიან ნაგათა შორის მე ვარ ანანტა, წყლის არსებათა შორის — ნახევარღმერთი ვარუნა. გარდაცვლილ წინაპართა შორის მე ვარ არიამა, კანონის აღმსრულებელთა შორის კი — იამა, სიკვდილის მეუფე.
30. დემონ დაიტიათა შორის მე ვარ ერთგული პრაჰლადა, შემმუსვრელთა შორის მე ვარ დრო, ცხოველთა შორის — ლომი, ფრინველთა შორის კი — გარუდა.
31. განმსპეტაკებელთა შორის მე ვარ ქარი, იარაღის მფლობელთა შორის — რამა, თევზთა შორის ზვიგენი ვარ, მდინარეთა შორის კი — განგა.
32. მთელ ქმნილებეთა შორის მე ვარ თავი, ბოლო, შუაგული, ო არჯუნა. მეცნიერებათა შორის მე ვარ სულიერი მეცნიერება მეობის შესახებ, ყოველ ლოგიკოსთა შორის კი — დასკვნითი ჭეშმარიტება.
33. ასოთა შორის მე ვარ “ა”, შედგენილ სიტყვათა შორის კი — ორმაგი შედგენილი სიტყვა. მე ვარ უშრეტი დროც, შემოქმედთა შორის კი ბრაჰმა.
34. მე ვარ ყოვლის გამანადგურებელი სიკვდილი და წარმომქმნელი საწყისი ყოვლისა, რასაც დაბადება უწერია. ქალთა შორის მე ვარ დიდება, იღბალი, ლამაზი მეტყველება, მეხსიერება, გონიერება, სიმტკიცე და მოთმინება.
35. სამა Vედას ჰიმნების შორის მე ვარ ბრჰატ-სამა, პოეზიიდან — გაიატრი. თვეებიდან მარგაშირშა (ნოემბერი-დეკემბერი) ვარ, წელიწადის დროთა შორის კი — აყვავებული გაზაფხული.

36. ტყუილთა შორის მე აზარტული თამაში ვარ და დიდებულთა შორის — დიდებულება. მე ვარ გამარჯვება, რისკი და ძალა ძლიერის.
37. ვრშნის შთამომავალთა შორის მე ვარ ვასუდევა, პანდავთა შორის — არჯუნა. ბრძენთა შორის ვიასა ვარ, დიად მოაზროვნეთა შორის კი უშანა.
38. უკანონობის ყოველგვარ დათრგუნვათა შორის მე ვარ სასჯელი, გამარჯვების მაძიებელთა შორის — ზნეობა. საიდუმლოებათა შორის სიჩუმე ვარ, ბრძენთა შორის კი — სიბრძნე.
39. უფრო მეტიც, ო არჯუნა, მე ვარ ყოველი არსებობის გამრავლების თესლი. არ არის არსება — მოძრავი თუ უძრავი — ჩემს გარეშე რომ სულდგმულობდეს.
40. ო მტრის ძლევამოსილო შემმუსვრელო, ბოლო არა აქვს ჩემს ღვთაებრივ გამოვლინებებს. რაც მე მოგიყევი, უბრალო მინიშნებაა ჩემს უსასრულო სიდიადეებზე.
41. იცოდე, რომ ყოველი დიადი, მშვენიერი და დიდებული ქმნილება ჩემი დიდებულების მხოლოდ ნაპერწკალიდან აღმოცენდება.
42. მაგრამ რა საჭიროა, არჯუნა, მთელი ეს დაწვრილებითი ცოდნა? ჩემი ერთი ნაწილაკით განვმსჭვალავ და ვასულდგმულებ მთელ სამყაროს.

(11) თავი მეთერთმეტე სამყაროსეული ფორმა

1. არჯუნამ თქვა: ყველაზე საკრალური სულიერი საკითხების შესახებ შენს მიერ მოწყალედ მოცემულ რჩევა-დარიგებათა მოსმენის შემდეგ ჩემი ილუზია უკვე გაიფანტა.
2. ო ლოტოსის თვალებავ, მე დაწვრილებით მოვისმინე შენგან ყოველი ცოცხალი არსების მოვლენისა და გაუჩინარების შესახებ და შევიცანი შენი უშრეტი დიდება.
3. ო პიროვნებათა შორის საუკეთესოვ, ო უზენაესო ფორმავ, თუმცა ახლა შენი ჭეშმარიტი სახით გხედავ, როგორც შენ თვითონ დაიხასიათე თავი, მსურს ვიხილო, როგორ შედიხარ ამ სამყაროსეულ გამოვლინებაში. მსურს ვიხილო ეს შენი ფორმა.
4. თუკი თვლი, რომ უნარი შემწევს ვიხილო შენი სამყაროსეული ფორმა, ო ჩემო უფალო. ო მთელი მისტიური ძალების მბრძანებელო. გთხოვ მიჩვენე ეს უსასრულო სამყაროსეული სახე.
5. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ჩემო ძვირფასო არჯუნა, ო პრთჰას შვილო, იხილე ჩემი დიდებულება, ასეულ ათასობით მრავალგვარი, ღვთაებრივი და ათასფერადი ფორმა.
6. ო ბჰარატათა შორის საუკეთესოვ, იხილე აქ ადიტიები, ვასუები, რუდრები, აშვინიკუმარები და დანარჩენი ნახევარღმერთები. შეხედე მრავალ საოცრებას, რომელიც აქამდე არავის უნახავს ან გაუგონია.



7. ო არჯუნა, რისი ხილვაც გასურს, ერთბაშად დაინახავ, ამ ჩემს სხეულში. ეს სამყაროსეული ფორმა გიჩვენებს, რისი დანახვაც გინდა და რისი ნახვაც მომავალში შეიძლება მოისურვო. ყველაფერი, მოძრავიცა და უძრავიც, აქ ერთად არის.
8. მაგრამ ახლანდელი თვალებით მე ვერ დამინახავ. ამიტომ მე ღვთაებრივ თვალებს მოგცემ. აი ჩემი მისტიური ძალა!
9. სანჯაიამ თქვა: ო მეფეო, ამის თქმის შემდეგ მთელ მისტიურ ძალთა უზენაესმა უფალმა, ღმრთეების პიროვნებამ არჯუნას თავისი სამყაროსეული ფორმა უჩვენა.
- 10-11. ამ სამყაროსეულ ფორმაში არჯუნამ იხილა უსასრულო პირები, უსასრულო თვალები, უსასრულო საოცარი სანახაობები. ფორმა მრავალი ზეციური სამკაულით იყო მორთული და მრავალი შემართული იარაღი ეჭირა. იგი ზეციურ ყვავილთა ასხმებსა და სამოსელს ატარებდა, მის სხეულს მრავალი ღვთაებრივი სუნამო ეცხო. ყველაფერი განსაცვიფრებელი, ბრწყინვალე და ყოვლისგამოჭოლი გახლდათ.
12. ერთბაშად ასეულ ათასობით მზე რომ ამოსულიყო ცაზე, მათი კაშკაში თუ შეედრებოდა უზენაესი პიროვნების ამ სამყაროსეული ფორმის ციალს.
13. ამ დროს არჯუნამ უფლის სამყაროსეულ ფორმაში დაინახა სამყაროს უსასრულო ექსპანსიები, რომლებიც ერთ ადგილას იმყოფებოდა, თუმცაღა მრავალ ათას ნაწილად იყო დაყოფილი.
14. მაშინ გაოგნებულმა და განცვიფრებულმა და განცვიფრებულმა არჯუნამ, რომელსაც თმები ყალყზე ედგა, თავყვანისცემის ნიშნად ქედი მოიხარა და ხელდაკრეფილმა ლოცვანი აღუვლინა უზენაეს უფალს.
15. არჯუნამ თქვა: ჩემო ძვირფასო უფალო კრშნა, შენს სხეულში შეკრებილს ვხედავ ყოველ ნახევარღმერთსა და დანარჩენ ცოცხალ არსებებს. ვხედავ ბრაჰმას, რომელიც ლოტოსის ყვავილზე ზის, უფალ შივასა და ყოველ ბრძენსა და ღვთაებრივ გველს.
16. ო სამყაროს უფალო, ო სამყაროსეულო ფორმავე, შენს სხეულში მე ვხედავ უამრავ ხელს, მუცელს, პირსა და თვალს, რომლებიც უსაზღვროდაა მოფენილი ყველგან. შენში ვერ ვხედავ ვერც დასასრულს, ვერც შუაგულსა და ვერც დასაწყისს.
17. ძნელია შენი სახის დანახვა მისი თვალისმომჭრელი ციალის გამო, რომელიც მოგიზგიზე ცეცხლისა თუ მზის განუზომელი კაშკაშის მსგავსად ყოველ მხარეს ვრცელდება. და მაინც, მე ყველგან ვხედავ ამ თვალისმომჭრელ ფორმას, რომელიც ათასგვარი გვირგვინით, კვერთხითა და დისკოთია დამშვენებული.
18. შენ ხარ უმაღლესი თავდაპირველი მიზანი. შენ ხარ მთელი სამყაროს საბოლოო განსხვავების ადგილი. შენ ხარ უმრეტი და შენ ხარ უხუცესი. შენ ხარ მარადიული რელიგიის მასულდგმულელებელი, ღმრთეების პიროვნება. ასეთია ჩემი აზრი.


19. შენ არა გაქვს დასაბამი, შუაგული ან ბოლო. შენი დიდება უსაზღვროა, ურიცხვი ხელები გაქვს, მზე და მთვარე კი შენი თვალებია. ვხედავ შენ, რომელსაც პირიდან მოგიზგიზე ცეცხლი ამოგდის, შენი კამკაშით რომ წვავ მთელ სამყაროს.
20. თუმცა ერთი ხარ, მთელ ცაზე, პლანეტებზე და მათ შორის სივრცეზე ხარ განფენილი. ო უდიადესო, ამ სასწაული და საშიში ფორმის ხილვისას მთელი პლანეტარული სისტემები შეშფოთებულია.
21. ნახევარღმერთთა ყოველი დასი გემორჩილება შენდ ა შენში შედის. ზოგიერთი მათგანი დიდი შიშის გამო დაკრეფილი ხელებით ადავლენს ლოცვებს. დიად ბრძენთა და სრულყოფილ არსებათა დასები გასძახიან “სრული მშვიდობა!” და ვედური საგალობლებით გვევდრებიან.
22. უფალ შივას, ადიტიების ვასუების, სადჰიების, ვიშვედების, ორი აშვის, მარუტების, წინაპრების, განდჰარვების, იაკშასების, ასურების, ასურებისა და სრულქმნილი ნახევარღმერთების სხვადასხვა გამოვლინებები განცვიფრებულნი შემოგყურებენ.
23. ო მკლავმაგარო, მრავალი სახის, თვალის, ხელის, ბარძაყის, ფეხის, მუცლისა და მრავალი შიშისმომგვრელი კბილის მქონე შენი დიადი ფორმის დანახვაზე შეშფოთებულია ყოველი პლანეტა თავიანთი ნახევარღმერთებით; და მათ მსგავსად, მეც შეშფოთებული ვარ.
24. ო ყოვლისშემძლე ვიშნუ, როდესაც ვხედავ შენს მრავალ მოკაშკაშე ფერს, რომლებიც ცას ეხება, შენს დაღებულ პირებსა და დიდ თვალისმომჭრელ თვალებს, გონება მერევა შიშისგან. ველარ ვინარჩუნებ ჭკუის სიმტკიცესა და ჭკუის წონასწორობას.
25. ო უფალთა უფალო, ო სამყაროთა თავშესაფარო, გთხოვ მოწყალება გაიღე ჩემდამი. თავს ვერ ვიკავებ შენი თვალისმომჭრელი სახეებისა და შიშისმომგვრელი კბილების დანახვაზე. სადაც არ უნდა გავიხედო, ყველაფერი საგონებელში მაგდებს.
- 26-27. დჰრტარამტრას შვილები, მოკავშირე მეფეებთან ერთად, ბჰიშმა, დრონა, კარმა და ჩვენი მთავარი მეომრებიც შენ საშიშ პირებში მიექანებიან. და მე ვხედავ, რომ რომ ზოგიერთი მათგანი გაჩეჩვილი თავებით არის შენ კბილებში გაჩხერილი.
28. ისევე როგორც მდინარეთა უამრავი ტალღა ჩაედინება ოკეანეში, ყოველი ეს დიადი მეომარიც შედის ცეცხლმოკიდებული შენ პირებში.
29. მე ვხედავ, რომ მთელი ხალხი დიდი სისწრაფით მიექანება შენს პირებში, ისევე როგორც ჩრჩილები მიქრიან მოგიზგიზე ცეცხლში მოსასპობად.
30. ო ვიშნუ, ვხედავ ცეცხლიანი პირებით როგორ სპობ ყოველი მხრიდან მთელ ხალხს. მთელ სამყაროს შენი ციალი ფარავს და შენც საშიში, მწველი სხივების სახით ვლინდები.



31. ო უფალთა უფალო, მრისხანების განსახიერებავ, გთხოვ, მითხრა, ვინა ხარ, მე ქედს ვიხრი შენს წინაშე; გთხოვ, მოწყალეობა გაიღე ჩემდამი. შენ ხარ თავდაპირველი უფალი. მსურს ვიცოდე შენს შესახებ, ვინაიდან არ მესმის, რა არის შენი მისია.
32. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: მე ვარ დრო, სამყაროთა უდიდესი გამანადგურებელი და მოვედი, რათა მთელი ხალხი გავანადგურო. თქვენს (პანდავებს) გარდა, აქ ორივე მხრიდან ყოველი მეომარი დაიხოცება.
33. ამიტომ აღსდექ. მოემზადე ბრძოლისთვის და მოიპოვე დიდება. დაამარცხე მტერი და დატკბი აყვავებული სამეფოთი. მე ისე მოვაწყე ყველაფერი, რომ ისინი უკვე მკვდრები არიან. შენ კი, ო სავიასაჩი, შეგიძლია მხოლოდ იარაღი იყო ბრძოლაში.
34. მე უკვე მოვსპე დრონა, ბჰიშმა, ჯაიადრათჰა, კარმა და დანარჩენი დიადი მებრძოლები. ამიტომ მოკალი ისინი და ნუ შეშფოთდები. უბრალოდ იბრძოლე და მტერს ბრძოლაში დაამარცხებ.
35. სანჯაიამ უთხრა დჰრტარაშტრას: ო მეფეო, ღმრთეების უზენაესი პიროვნებისგან ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, აცახცახებული არჯუნა კვლავ და კვლავ ქედს იხრიდა დაკრეფილი ხელებით. შეშინებულმა აკანკალებული ხმით ასე მიმართა უფალ კრშნას.
36. არჯუნამ თქვა: ო გრძნობათა მეუფევე, სამყაროს უხარია შენი სახელის მოსმენა და ამდენად ყველა შენ შემოგნატრის. თუმცა სრულყოფილი არსებები მოკრძალებით გცემენ თაყვანს, დემონებს ეშინიათ და აქეთ-იქით გარბიან. ეს ყველაფერი სამართლიანია.
37. ო დიადო უფალო, თვით ბრაჰმაზეც უდიადესო, შენ ხარ თავდაპირველი შემოქმედი. მაშ მოწიწებით თაყვანი რატომ არ უნდა გცენ მათ? ო უსასრულოვ, ღმერთთა ღმერთო, სამყაროს თავშესაფარო! შენ ხარ უძლეველი წყარო, ყოველ მიზეზთა მიზეზი, ამ მატერიალური გამოვლინების მიღმა მყოფი.
38. შენ ხარ ღმრთეების თავდაპირველი პიროვნება, უხუცესი, ამ გამოვლენილი კოსმოსური სამყაროს საბოლოო განსასვენებელი. შენ იცი ყველაფერი და ხარ ყველაფერი, რაც შეცნობადია. შენ ხარ უმაღლესი თავშესაფარი, მატერიალურ მოდუსებზე მაღლა მყოფი. ო უსაზღვრო ფორმავ! მთელი ეს სამყაროსეული გამოვლენა შენით არის გამსჭვალული!
39. შენ ხარ ჰაერი და შენ ხარ უმაღლესი განმგებელი! შენ ხარ ცეცხლი, წყალი და მთვარე! შენ ხარ ბრაჰმა, პირველი ცოცხალი ქმნილება და შენ ხარ ბაბუის მამა, ამიტომ ათასჯერ და კვლავ და კვლავ მოწიწებით ქედს ვიხრი შენს წინაშე!
40. თაყვანს გცემ წინიდან, უკნიდან და ყოველი მხრიდან! ო უსაზღვრო ძალავ, შენ ხარ მეუფე უსასრულო ძლევათა მფლობელისა! შენ ხარ ყოვლისგამჭოლი და შენ ხარ ყველაფერი!
- 41-42. გთვლიდი რა ჩემს მეგობრად, დაუდევრად მოგმართავდი: “ო კრშნა”, “ო იადავა”. “ ო ჩემო მეგობარო”, არ ვიცოდი რა შენი დიდება. გთხოვ მაპატიე, რაც სიგიჟის ან სიყვარულის გამო გამიკეთებია. ბევრჯერ უპატივცემულოდ მოგექეცი, გეხუმრებოდი დასვენებისას, ერთ საწოლში წოლისას, ჯდომისას ან



- ერთად ჭამისას, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ კი მრავალ მეგობარს შორის. ო შეუცდომელო, გთხოვ, მაპატიე ეს შეურაცხყოფები.
43. შენ ხარ მამა მთელი კოსმოსური გამოვლინებისა, მოძრავთა და უძრავთა, შენ ხარ სათაყვანებელი მეთაური, უზენაესი სულიერი მოძღვარი. არავინ არის შენი თანასწორი, არც არავინ არის შენთან ერთიანი. მაშინ ვინ უნდა იყოს შენზე დიადი სამ სამყაროში, ო განუზომელო ძალის უფალო?
44. შენ ხარ უზენაესი უფალი, სათაყვანებელი ყოველი ცოცხალი არსებისთვის. ამიტომ მიწას ვემხოები, რათა თაყვანი გცე და მოწყალება გთხოვო, როგორც მამა ითმენს შვილის თავხედობას, მეგობარი — მეგობრის კადნიერებას, ან ცოლი — მეუღლის მოურიდებლობას, გთხოვ მოითმინე შეცდომები, რომლებიც შენს მიმართ დამიშვია.
45. სამყაროსეული ფორმის ხილვის შემდეგ, რომელიც აქამდე არ მინახავს, გახარებული ვარ, მაგრამ, ამავე დროს, ჩემი ჭკუა შეპყრობილია შიშით. ამიტომ გთხოვ, გაიღე ჩემდამი წყალობა და კვლავ გამინდე ღმრთეების პიროვნების შენი ფორმა, ო უფალთა უფალო, ო სამყაროს განსასვენებელო.
46. ო სამყაროსეულო ფორმავ, ო ათასხელიანო უფალო, მსურს ვიხილო შენი ოთხხელიანი ფორმა, მუზარადით თავზე და კვერთხით, ბორბლით, ნიჟარითა და ლოტოსის ყვავილით ხელებში. შენი ამ ფორმის ნახვა მსურს.
47. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ჩემო ძვირფასო არჯუნა, ჩემი შინაგანი პოტენციით სიხარულით გაჩვენე ეს უზენაესი სამყაროსეული ფორმა ამ მატერიალურ სამყაროში. შენამდე არავის უნახავს ეს უმაღლესი ფორმა, უსასრულო და თვალისმომჭრელი სიკაშკაშით აღსავსე.
48. ო კურუს მეომართა შორის საუკეთესოვ, შენამდე არავის უნახავს ჩემი სამყაროსეული ფორმა, რადგან არც ვლების შესწავლით, არც მსხვერპლშეწირვებით, არც ქველმოქმედებით, არც მკაცრი ეპითემიებით არ შეიძლება ამ მატერიალურ სამყაროში ჩემი ამ ფორმის ხილვა.
49. შენ შეგაშფოთა და საგონებელში ჩაგაგდო ამ ჩემი საშინელი ნიშან-თვისებების ხილვამ. დაე ბოლო მოეღოს ამას. ჩემო ერთგულო, კვლავ განთავისუფლდი ყოველგვარი მღელვარებისგან. დამშვიდებული ჭკუით ახლა იმ ფორმას იხილავ, რომელიც გსურს.
50. სანჯაიამ უთხრა დჰრტარაშტრას: არჯუნასათვის ამის თქმის შემდეგ ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ, კრშნამ გამოავლინა თავისი ოთხხელიანი ფორმა და ბოლოს თავისი ორხელიანი ფორმა უჩვენა, რითაც გაამხნევა შემინებული არჯუნა.
51. როდესაც არჯუნამ კრშნა მის მშვენიერ თავდაპირველ ფორმაში იხილა, თქვა: ო ჯანარდანა, ამ მშვენიერი ადამიანისმაგვარი ფორმის შემყურეს ჭკუა დამიწყნარდა და ჩემს თავდაპირველ ბუნებას დავუბრუნდი
52. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ჩემო ძვირფასო არჯუნა, ჩემი ეს ფორმა, რომელსაც ახლა ხედავ მეტად ძნელი დასანახია. ნახევარღმრთეებიც კი მუდამ მისი ხილვის შესაძლებლობას ეძებენ, რომელიც ესოდენ ძვირფასია.



53. იმ ფორმის შეცნობა, რომელსაც შენი ტრანსცენდენტული თვალებით ხედავ, შეუძლებელია უბრალოდ ვედების შესწავლით, სერიოზული ეპითემიების გავლით, ქველმოქმედებით ან თაყვანისცემით. ამგვარად ჩემი ჭეშმარიტი სახის დანახვა შეუძლებელია.
54. ჩემო ძვირფასო არჯუნა, მხოლოდ განუყოფელი ერთგული სამსახურით შეიძლება ჩემი რეალური შეცნობა იმ სახით, რომლითაც შენს წინაშე ვდგავარ და ამგვარად ჩემი უშუალოდ დანახვა. მხოლოდ ამ გზით შეგიძლია შეაღწიო ჩემი შემეცნების საიდუმლოებაში.
55. ჩემო ძვირფასო არჯუნა, ის ვინც წმინდა ერთგულებით მემსახურება, ვინც განწმენდილია კარმიული საქმიანობისა და სპეკულაციური მსჯელობების უწმინდურებისაგან, ვინც ჩემთვის შრომობს, ვინც სიცოცხლის უმაღლეს მიზნად მხდის და მეგობრობს ყოველ ცოცხალ არსებასთან, აუცილებლად მოაღწევს ჩემამდე.

(12) თავი მეთორმეტე ერთგული სამსახური

1. არჯუნამ იკითხა: ვინ ითვლება უფრო სრულყოფილად, ის, ვინც ყოველთვის ჯეროვანი ერთგულებით გემსახურება, თუ ის, ვინც თაყვანს სცემს გამოუვლენელს — უპიროვნო ბრაჰმანს?
2. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ვისი ჭკუაც ჩემი პიროვნული ფორმისადმი მოპყრობილი და ყოველთვის დიდი და ტრანსცენდენტული რწმენით მცემს თაყვანს, მას ყველაზე სრულყოფილად ვაღიარებ.
- 3-4. მაგრამ ისინი, ვინც ბოლომდე თაყვანს სცემენ გამოუვლენელს, გრძნობათა აღქმის მიღმა მყოფს, ყოვლისგამჭოლს, წარმოუდგენელს, უცვლელს, ურყევსა და უძრავს — აბსოლუტური ჭეშმარიტების იმპერსონალურ კონცეფციას — იმით, რომ მართავენ სხვადასხვა გრძნობებს და თანაბრად არიან განწყობილნი ყველადადმი და ყველას სასიკეთოდ მოქმედებენ, საბოლოოდ მაინც ჩემთან მოდიან.
5. ძალიან უჭირთ წინსვლა იმათ, ვისი ჭკუაც უზენაესის გამოუვლენელ, იმპერსონალურ ნიშან-თვისებაზეა მიპყრობილი. ხორცმესხმულთათვის ყოველთვის ძნელია ამ წვრთნაში წინსვლა.
- 6-7. მაგრამ ისინი, ვინც თაყვანს მცემენ მე, მთელ საქმიანობებს მე მიძღვნიან, განუხრელად თავდადებულნი არიან ჩემთვის, ერთგულად მემსახურებიან, ყოველთვის ჩემზე არიან დაუნჯებულნი და ჭკუა ჩემსკენ აქვთ მოპყრობილი, ო პრთჰას შვილო, ისინი მალე ამომყავს დაბადებისა და სიკვდილის ოკეანიდან.

8. მხოლოდ მე, ღმრთეების უზენაეს პიროვნებას მომაპყრე ჭკუა და მთელი შენი გონება ჩემით დაასაქმე. ამდენად, მუდამ ჩემში იცხოვრე, უეჭველად.
9. ჩემო ძვირფასო არჯუნა, ო სიმდიდრის მომპოვებელო, თუკი განუხრელად ვერ მომაპყრობ ჭკუას, მაშინ შეასრულე ბჰაკტი-იოგას განაწესები და ამგვარად განივითარე ჩემამდე მოღწევის სურვილი.
10. თუკი არ შეგიძლია ბჰაკტი-იოგას რეგულაციების შესრულება, მაშინ უბრალოდ ეცადე იშრომო ჩემთვის, ვინაიდან ჩემთვის შრომით სრულქმნის საფეხურამდე მიხვალ.
11. მაგრამ თუკი ჩემზე ასეთი ცნობიერით შრომა არ შეგიძლია, მაშინ შეეცადე უარი თქვა შრომის მთელ შედეგებზე და თვითმყოფობა დაიმკვიდრო.
12. თუკი არ შეგიძლია ამ პრაქტიკის შესრულება, მაშინ ცოდნა განივითარე, მაგრამ ცოდნას მედიტაცია ჯობს, მედიტაციას კი — საქმიანობის ნაყოფებისგან აღკვეთა, ვინაიდან ასეთი აღკვეთის შედეგად ადამიანი ჭკუის სიმშვიდეს მიაღწევს.
- 13-14. ის, ვინც არ მტრობს არავის, არამედ ყველა ცოცხალი არსების კეთილი მეგობარია, ვინც თვლის, რომ მას არაფერი ეკუთვნის და თავისუფალია ცრუ ეგოსგან, ის, ვინც ერთნაირად შეჰყურებს ბედნიერებასაც და გაჭირვებასაც, ვინც მომთმენია და მუდამ კმაყოფილი, ვინც ფლობს საკუთარ თავს და შეურყევლად ერთგულად მემსახურება, ვისი ჭკუაც და გონებაც ჩემზეა მოპყრობილი, ასეთი ერთგული ძალიან ძვირადღირებულია ჩემთვის.
15. ის, ვინც სხვისი დაბრკოლების მიზეზი არ ხდება და ვისაც ვერავინ აწუხებს, ვინც ერთნაირია ბედნიერებასა და უბედურებაში, შიშსა და მღელვარებაში, მეტად ძვირფასია ჩემთვის.
16. ჩემი ერთგული, რომელიც არ არის დამოკიდებული საქმეთა ჩვეულებრივ მსვლელობაზე, რომელიც წმინდა, გამოცდილი, უდარდელი და ყოველგვარი ტკივილისგან თავისუფალია და რაიმე შედეგისთვის არ იღწვის, მეტად ძვირფასია ჩემთვის.
17. ის, ვინც არც ხარობს და არც დარდობს, არც გლოვობს და არც ნატრობს და უარს ამბობს სასიკეთოსა და არასასიკეთოზე — ასეთი ერთგული მეტად ძვირფასია ჩემთვის.
- 18-19. ის, ვინც ერთნაირია მეგობრებისა და მტრების მიმართ, ვინც წინასწარობას არ ჰკარგავს პატივსა და უპატივცემულობაში, სითბოსა და სიცივეში, ბედნიერებასა და უბედურებაში, სახელსა და უსახელობაში, ვინც მუდამ ჩამოცილებულია უწმინდურ ურთიერთობებს, მუდამ ჩუმია და ყველაფრით კმაყოფილი, ვინცარ ზრუნავს საცხოვრებელ ადგილზე, განმტკიცებულია ცოდნაში და ერთგულად მემსახურება — ასეთი პიროვნება ძალიან ძვირფასია ჩემთვის.
20. ისინი, ვინც ერთგული სამსახურის ამ უკვდავ გზას მიჰყვებიან და რწმენით მთლიანად არიან დასაქმებული, მხდიან რა საბოლოოდ უმაღლეს მიზნად მე, უაღრესად ძვირფასი არიან ჩემთვის.



(13) თავი მეცამეტე ბუნება განმცხრომელი და ცნობიერება

- 1-2. არჯუნამ თქვა: ო ჩემო ძვირფასო კრძნა, მე მსურს ვიცოდე, რა არის პრაკრიტი (ბუნება), პურუშა (განმცხრომელი), ველი და ვეილს მცოდნე, ცოდნა და ცოდნის მიზანი.
- უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ამ სხეულს, ო კუნტის შვილო, ველი ეწოდება, მა სკი, ვინც ამ სხეულს იცნობს — ვეილს მცოდნე.
3. ო ბჰარატას შთამომავლო, იცოდე რომ მეც ვიმყოფები ყოველ სხეულში, როგორც მცოდნე და ამ სხეულისა და მისი მცოდნის გაგებას ცოდნა ეწოდება. ასეთია ჩემი აზრი.
4. მომისმინე, გეთაყვა, ახლა მოკლედ დაგიხასიათებ მოქმედების ამ ველსა დამ ის აგებულებას, რა ცვლილებებს გადის იგი, საიდან წარმოიქმნება, ვინ არის მოქმედებების ვეილს მცოდნე და როგორია მისი ზეგავლენა.
5. სხვადასხვა ბრძენებმა სხვადასხვა ვედურ ნაწარმოებებში აღწერეს ეს ცოდნა მოქმედებების ველისა და მოქმედებების მცოდნის შესახებ. იგი განსაკუთრებული სახით არის წარმოდგენილი ვედანტა სუტრაში, მიზეზ-შედეგობრიობით მსჯელობის საფუძველზე.
- 6-7. ხუთი დიდი სტიქია, ცრუ ეგო, გონება, გამოუვლენელი, ათი გრძნობა და ჭკუა, გრძნობათა ხუთი ობიექტი, სურვილი, ზიზღი, ბედნიერება, უბედურება, ერთობლიობა, სიცოცხლის ნიშნები და დარწმუნებულობა — ესენი, საერთო ჯამში, მოქმედების ველად დამ ის ურთიერთქმედებად ითვლება.
- 8-12. მორჩილება; თავმდაბლობა; არამალმომრეობა; მოთმინება; უბრალოება; ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის მიმართვა; სისუფთავე; სიმტკიცე; თავშეკავება; გრძნობათა დაკმაყოფილების ობიექტებისაგან აღკვეთა; ცრუ ეგოს არქონა; ცოდნა იმისა, რომ დაბადება, სიკვდილი, სიბერე და ავადმყოფობა ბოროტებაა; განჯაჭვულობა; თავისუფლება შვილების, ცოლის სახლისა და სხვა დანარჩენის ტყვეობისაგან; სიმშვიდე სასიამოვნო და არასასიამოვნო შემთხვევების დროს; ჩემდამი მუდმივი და წმინდა ერთგულება; განმარტოებულ ადგილას ცხოვრების სურვილი; ხალხთა მასებს ჩემოცილება; თვითრეალიზაციის მნიშვნელობის შეგნება და აბსოლუტური ჭეშმარიტების ფილოსოფიური ძიება — მე ვაცხადებ, რომ ყველაფერი ეს ცოდნაა, ამის გარდა კი რაც არ უნდა იყოს უგუნურებას წარმოადგენს.
13. ახლა აგიხსნი შესაცნობს, რომლის ცოდნითაც მარადისობას იგემებ. დაუსაბამო და ჩემზე დამოკიდებული ბრაჰმანი, სული, ამ მატერიალური სამყაროს მიზეზ-შედეგობრიობის მიღმაა.
14. ყველგან მისი ხელები და ფეხები, მისი თვალები და სახეებია, და მისი ყურებიც ყველგანაა, ასე არსებობს ზესული, ფარავს რა ყველაფერს.

15. თუმცა ზესული ყოველი გრძნობის პირველწყაროა, მას გრძნობები არა აქვს. იგი მიჯაჭვული არ არის, თუმცა ყოველ ცოცხალ არსებას ასულდგმულებს. ბუნების მოდუსებს მიღმა დგას და თანაც მატერიალური ბუნების ყოველ მოდუსს განაგებს.
16. უზენაესი ჭეშმარიტება არის ყოველი ცოცხალი არსების, მოძრავისა და უძრავის შიგნით და გარეთ. რაკი ნატიფია, მატერიალური გრძნობებით მისი დანახვა ან შეცნობა შეუძლებელია. თუმცა ძალიან შორსაა, ყველასთან ახლოსაცაა.
17. თუმცა ჩანს რომ ზესული მთელს ასებათა შორის გაყოფილია, არასოდეს იყოფა. იგი ერთია. თუმცა ყოველ ცოცხალ არსებას ასულდგმულებს, უნდა გვესმოდეს, რომ იგი სპობს და ანვითარებს ყველაფერს.
18. იგია ყოველი მანათობელი საგნის სინათლის წყარო. მატერიის წყვდიადს მიღმა და გამოუვლენელია. იგია ცოდნა, ცოდნის საგანი და ცოდნის მიზანი. იგი ყველას გულში იმყოფება.
19. ამრიგად მოკლედ დაგიხასიათე მოქმედებათა ველი (სხეული), ცოდნა და შესაცნობი. მხოლოდ ჩემს ერთგულს შეუძლია ბოლომდე გაიგოს ეს და ასე მოაღწიოს ჩემს ბუნებას.
20. იცოდე, რომ მატერიალურ ბუნებას და ცოცხალ არსებებს საწყისი არა აქვთ. მათი გარდაქმნები და მატერიის მოდუსები მატერიალური ბუნების ნაწარმს წარმოადგენს.
21. ამბობენ, რომ ბუნება ყოველი მატერიალური მიზეზისა და შედეგის მიზეზია, მაშინ როდესაც ცოცხალი არსება ამ სამყაროში ათასგვარი ტანჯვისა და სიამოვნების მიზეზს წარმოადგენს.
22. ამრიგად, მატერიალურ ბუნებაში მყოფი ცოცხალი არსება მიჰყვება ცხოვრების გზებს, ტკბება რა ბუნების სამი მოდუსით. ამის მიზეზი ისაა, რომ მატერიალურ ბუნებასთან არის დაკავშირებული. ამდენად, იგი კარგსა და ცუდს ხვდება სხვადასხვა სახეობებში.
23. მაგრამ ამ სხეულში არის სხვა, ტრანსცენდენტული განმცხრომელი, რომელიც უფალია, უმაღლესი მესაკუთრეა, ზედამხედველი და ნების დამრთველია და ცნობილია ზესულის სახით.
24. ის, ვისაც ესმის ეს ფილოსოფია მატერიალური ბუნების, ცოცხალი არსებისა და ბუნების მოდუსების ურთიერთქმედების შესახებ, აუცილებლად განთავისუფლდება. მიუხედავად მისი ახლანდელი მდგომარეობისა, იგი აქ აღარ დაიბადება.
25. ზოგი საკუთარ თავში ზესულს მედიტაციით აღიქვამს, ზოგი — ცოდნის განვითარებით, ზოგი კი — კარმიული სურვილების გარეშე შრომით.
26. მაგრამ არსებობენ ისინიც, ვინც, თუმცა არ არიან სულიერ მოძღვრებაში განსწავლული, სხვებისგან მოსმენის შედეგად იწყებენ უზენაესი პიროვნების თაყვანისცემას; რადგან ავტორიტეტებისგან მოსმენის მიდრეკილება აქვთ, ისინიც გადალახავენ დაბადება-სიკვდილის გზას.



27. ო ბჰარატათა შორის მთავარო, იცოდე, რომ რაც კი არსებობს, მოძრავიცაა და უძრავიც, მოქმედებათა ველისა და ვეილს მცოდნის ნაერთია მხოლოდ.
28. ჭემმარიტად ხედავს ის, ვინც ხედავს ზესულს, რომელიც ყველას სხეულში ინდივიდუალურ სულს ახლავს თან და ვისაც ესმის, რომ არც სული და არც რღვევად სულში მყოფი ზესული არასოდეს ნადგურდებიან.
29. იგი, ვინც ხედავს, რომ ზესული ყველგან, ყოველ ცოცხალ არსებაში ერთნაირად იმყოფება, თავისი ჭკუით არ დეგრადირდება. ამრიგად, იგი უახლოვდება ტრანსცენდენტალ მიზანს.
30. ჭემმარიტად ხედავს ის, ვინც ხედავს, რომ ყოველ მოქმედებას მატერიალური ბუნებისგან შემდგარი სხეული ასრულებს, სული კი სრულიად უმოქმედოა.
31. როდესაც გონიერი ადამიანი ვეღარ ხედავს სხვადასხვა პიროვნებებს, მათი განსხვავებული მატერიალური სხეულების გამო და ხედავს თუ როგორ არიან არსებები გაერთიანებული ყველგან, იგი ბრაჰმანის გაგებას აღწევს.
32. ვინც მარადისობას აღიქვამენ, ხედავენ, რომ უკვდავი სული ტრანსცენდენტულია, მარადიული და ბუნების მოდუსებს მიღმა მყოფი. მატერიალურ სხეულთან კავშირის მიუხედავად, ო არჯუნა, სული არც მოქმედებს და არც იხლართება.
33. თუმცა სული ყოვლისგამჭოლია, თავისი ნატიფი ბუნების გამო არაფერში ერევა და სწორედ ასევე, ბრაჰმანის მხედველი სული არ ერევა სხეულს, თუმცა ამ სხეულში იმყოფება.
34. ო ბჰარატას შვილო, ისევე როგორც ერთი მზე ანათებს მთელ სამყაროს, ასევე სხეულში მყოფი ერთი ცოცხალი არსებაც ანათებს მთელ სხეულს ცნობიერებით.
35. ისინი, ვინც ცოდნის თვალებით ხედავენ განსხვავებას სხეულსა და სხეულის მცოდნეს შორის და მატერიალურ სამყაროში ტყვეობიდან განთავისუფლების გზის გაგება შეუძლიათ, უმაღლეს მიზანს აღწევენ.

(14) თავი მეთოთხმეტე მატერიალური ბუნების სამი მოდუსი

1. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: მე კვლავ განგიცხადებ ამ უმაღლეს სიბრძნეს, საუკეთესო ცოდნას, რომლითაც ყოველმა ბრძენმა უმაღლეს სრულქმნას მიაღწია.
2. ის ვინც ამ ცოდნაში მტკიცდება, ჩემი ბუნების მსგავს ტრანსცენდენტალ ბუნებას იძენს. ის, ვინც ამგვარადაა განმტკიცებული, შექმნისას არ იბადება და არც განადგურებისას წუხდება.
3. მთელი მატერიალური სუბსტანცია, რომელსაც ბრაჰმანი ეწოდება, დაბადების სათავეა და სწორედ ამ ბრაჰმანში ჩავსახავ მე სიცოცხლეს, რითაც შესაძლებელს ვხდი ყოველი ცოცხალი არსების დაბადებას, ო ბჰარატას შთამომავალო.



4. იცოდე, რომ სიცოცხლის ყოველი სახეობა, ო კუნტის შვილო, ამ მატერიალურ ბუნებაში იბადება და რომ მე ვარ თესლის მიმცემი მამა.
5. მატერიალური ბუნება შედგება სამი მოდუსისაგან: სათნოების, ვნებისა და უგუნურებისაგან. როდესაც ცოცხალი არსება ბუნებას უკავშირდება, ო მკლავმაგარო არჯუნა, იგი განპირობებული ხდება ამ მოდუსებით.
6. ო უცოდველო, სათნოების მოდუსს, როგორც სხვებზე წმინდას, სინათლე მოაქვს და ათავისუფლებს ცოცხალ არსებას ყოველი ცოდვითი რეაქციისგან. ამ მოდუსში მყოფნი ბედნიერებითა და ცოდნით ხდებიან განპირობებულნი.
7. ვნების მოდუსი უსაზღვრო სურვილებისა და წადილისაგან არის წარმოშობილი, ო კუნტის შვილო, რის გამოც ცოცხალი არსება მატერიალურ საქმიანობებზეა მიჯაჭვული.
8. ო ბჰარატას შვილო, იცოდე, რომ უგუნურებისაგან შობილ წყვდიადის მოდუსში ყოველი ხორცშესხმული ცოცხალი არსება მოტყუებულია. ამ მოდუსის შედეგებია სიზარმაცე, სიგიჟე და ძილი, რაც ატყვევებს სულს.
9. ო ბჰარატას შვილო, სათნოების მოდუსი ბედნიერებით განაპირობებს არსებას; ვნება — კარმიული საქმიანობით; უგუნურება კი სიამოვნებას მიაჯაჭვავს იმით, რომ ცოცხალი არსების ცოდნას ფარავს.
10. ზოგჯერ სათნოების მოდუსი ჭარბობს, ამარცხებს რა ვნებისა და უგუნურების მოდუსებს, ო ბჰარატას შვილო, ზოგჯერ ვნების მოდუსი ჯობნის სათნოებასა და უგუნურებას. ზოგჯერ კი უგუნურება ერევა სათნოებასა და ვნებას. ამგვარად, მუდამ პაექრობაა პირველობისთვის.
11. სათნოების მოდუსი ვლინდება მაშინ, როდესაც სხეულის ყოველი კარი ცოდნითაა განათებული.
12. ო მთავარო ბჰარატათა შორის, როდესაც ვნების მოდუსი მატულობს, ვითარდება დიდი მიჯაჭვულობის, კარმიული საქმიანობის, ძლიერი ძალისხმევის და დაუოკებელი სურვილისა და წადილის ნიშნები.
13. როდესაც უგუნურების მოდუსი მატულობს, ო კურუს შვილო, ვლინდება წყვდიადი, უმოქმედობა, სიგიჟე და ილუზია.
14. როდესაც ცოცხალი არსება სათნოების მოდუსში გარდაიცვლება, დიადი ბრძენების წმინდა, მაღალ პლანეტებს აღწევს.
15. როდესაც ცოცხალი არსება ვნების მოდუსში გარდაიცვლება, იბადება მათ შორის, ვინც კარმიულ საქმიანობებს ეწევიან; და როდესაც არსება უგუნურების მოდუსში გარდაიცვლება, იბადება ცხოველთა სამყაროში.
16. ღვთაებრივი საქმიანობის შედეგი წმინდაა და ამბობენ, რომ სათნოების მოდუსს მიეკუთვნება, მაგრამ ვნების მოდუსში შესრულებულ საქმიანობას მოჰყვება ტანჯვა, უგუნურების მოდუსში შესრულებულს კი — სიგიჟე.
17. სათნოების მოდუსიდან ვითარდება ჭეშმარიტი ცოდნა, ვნების მოდუსიდან — სიზარბე, უგუნურების მოდუსიდან კი — ჭკუასუსტობა, სიგიჟე და ილუზია.
18. ისინი, ვინც სათნოების მოდუსში იმყოფებიან, თანდათანობით მაღალ პლანეტებზე აღიმართებიან, ვნების მოდუსში მყოფნი დედამიწის მაგვარ



- პლანეტებზე იცხოვრებენ; ისინი კი, ვინც უგუნურების შემზარავ მოდუსში არიან, ჯოჯოხეთის სამყაროებში ეშვებიან.
19. როდესაც ცოცხალი არსება სწორად ხედავს, რომ მოქმედებენ მხოლოდ ბუნების მოდუსები და ცნობს უზენაეს უფალს, რომელიც მთელ ამ მოდუსებზე მაღლა დგას, ჩემს სულიერ ბუნებას აღწევს.
 20. როდესაც ხორცშესხმული არსება მატერიალურ სხეულთან დაკავშირებულ ამ სამ მოდუსზე ამაღლდება, თავს აღწევს დაბადებას, სიკვდილს, სიბერესა და გაჭირვებებს და ამ ცხოვრებაშიც იგემებს ნექტარს.
 21. არჯუნამ იკითხა: ო ჩემო ძვირფასო უფალო! რა ნიშნებით უნდა იცონ ის, ვინც გადალახა ეს სამი მოდუსი? როგორ იქცევა და როგორ გადალახავს ბუნების მოდუსებს?
 - 22-25. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ო პანდუს შვილო, ის, ვისა ცარ სძულს გასხივოსნების, მიჯაჭვულობისა და ილუზიის მოსვლა და ვინც არ შენატრის მათ, როდესაც ქრებიან; მატერიალური თვისებების ნებისმიერი ურთიერთქმედების მიმართ შეუდრეკელი და უშფოთველია, ნეიტრალური და ტრანსცენდენტული, ვისაც კარგად ესმის, რომ მხოლოდ მატერიალური მოდუსები მოქმედებენ; ვისი ყურადღებაც საკუთარ მეობაზეა მიპყრობილი და ვინც თანაბრად ხვდება ბედნიერებასა და უბედურებას; ვინც მუჭა მიწას, ქვასა და ოქროს ნაჭერს ერთი თვალით შეჰყურებს; ვინც თანაბრად შეჰყურებს სასურველსა და არასასურველს, ვინც მტკიცეა, ვინც ერთნაირად ექცევა შექებასაც და საყვედურსაც, პატივსაც და ლანძღვასაც; ვინც ერთნაირად ექცევა მეგობრებსაც და მტრებსაც; და აღკვეთილია ყოველგვარი მატერიალური საქმიანობისაგან — ამბობენ, რომ ასეთმა პიროვნებამ გადალახა ბუნების მოდუსები.
 26. ის, ვინც ნებისმიერ ვითარებაში უცვლელად, სრული ერთგული სამსახურით მემსახურება მე, უმაღლ გადალახავს მატერიალური ბუნების მოდუსებს და ასე აღწევს ბრაჰმანის დონეს.
 27. და მე ვარ ფუძე უპიროვნო ბრაჰმანისა, რომელიც უკვდავი, უხრწნადი, მარადიული და საბოლოო ბედნიერების კონსტიტუციური მდგომარეობაა.

(15) თავი მეთხუთმეტე უზენაესი პიროვნების იოგა

1. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ნათქვამია, რომ არსებობს ბანიანის უკვდავი ხე, რომლის ფესვებიც ზემოთ იზრდება, ტოტები კი ქვემოთ, ხოლო მისი ფოთლები ვედური ჰიმნებია. ვინც ეს ხე შეიმეცნა, იგი ვედათა მცოდნეა.
2. ამ ხის ტოტები ზემოთ და ქვემოთაა გაშვებული და მატერიალური ბუნების მოდუსებით იკვებება. შტოები გრძნობათა ორგანოებია. ამ ხეს ქვევით მიმართული ფესვებიც აქვს, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების კარმიულ მოქმედებებთან არის გადახლართული.



- 3-4. ამ სამყაროში შეუძლებელია ამ ხის ჭეშმარიტი სახის შეცნობა. არავის ძალუძს გაიგოს, სად აქვს მას ბოლო, თავი ან საფუძველი. მაგრამ ადამიანმა განდგომის იარაღით, შემართებით უნდა მოჰკვეთოს მძლავრად ფესვგადგმული ხე. შემდგომ ამისა მოიძიოს ის ადგილი, სადაც წასული, უკან არასოდეს დაბრუნდება და იქ მიენდოს ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, ვისგანაც ყველაფერი დაიწყო და უხსოვარი დროიდან მომდინარეობს ყოველი.
5. ამ მარადიულ სამეფოს ჰპოვებენ ისინი, ვინც მოჩვენებით სახელს, ილუზიასა დაყ ალბ ურთიერთობას თავი დააღწიეს, რომელთაც შეიმეცნეს მარადიული და ბოლო მოუდეს მატერიალურ ვნებას, განთავისუფლდნენ ბედნიერებისა და უბედურების ორმაგობებისაგან და ვინც უშეცდომოდ იციან როგორ მიენდონ უზენაეს პიროვნებას.
6. ამ ჩემს უმაღლეს სავანეს არც მზე და არც მთვარე, არც ცეცხლი და არც ელექტრობა არ ანათებს. ის, ვინც მას მიაღწევს, არასოდეს უბრუნდება მატერიალურ სამყაროს.
7. განპირობებულ სამყაროში მყოფი ცოცხალი არსებები ჩემი მარადიული, განუყოფელი ნაწილაკები არიან. განპირობებული სიცოცხლის გამო ისინი გაშმაგებით ებრძვიან ექვს გრძნობას, რომელთა რიცხვსაც ჭკუა მიეკუთვნება.
8. როგორც ჰაერს გადააქვს სურნელები, ასევე გადააქვს მატერიალურ სამეფოში ცოცხალ არსებას სიცოცხლეზე სხვადასხვა წარმოდგენები სხეულიდან სხეულში. ამგვარად, იგი ღებულობს ერთი სახის სხეულს და მერე ტოვებს მას, რათა სხვა შეიძინოს.
9. ახალი უხეში სხეულის ამგვარად მიღების შემდეგ ცოცხალი არსება გარკვეული სახის ყურებს, თვალებს, ენას, ცხვირს და შეხების ორგანოებს იძენს, რომლებიც ჭკუის გარშემო არის თავმოყრილი. ასე ტკბება იგი განსაზღვრული ჯგუფის გრძნობათა ობიექტებით.
10. უგუნურთათვის ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ტოვებს ცოცხალი არსება სხეულს, ვერც იმას ხვდებიან, თუ ბუნების მოღუსებით მოჯადოებული, როგორი სხეულით ტკბება იგი. მაგრამ ყოველივე ამის დანახვა ძალუძს მას, ვისაც ცოდნით აეხილა თვალი.
11. გულმოდგინე ტრანსცენდენტალისტებს, რომელთაც სრულყვეს თვითრეალიზაცია, ყველაფერ ამის სწორი აღქმის უნარი შესწევთ, ხოლო ის, ვისაც განუვითარებელი ჭკუა აქვს და თვითრეალიზაციის საფეხურზე არ იმყოფება, მოვლენათა არსს ვერ წვდება, თუმცა ცდას შეიძლება არც აკლებდეს.
12. მთელი სამყაროს წყვდიადის გამფანტველი მზის ბრწყინვალეობა ჩემგან მოდის და მე ვარ წყარო მთვარის შუქისა და ცეცხლის ელვარებისა.
13. მე ყოველ პლანეტაში შევდივარ და ჩემი ენერჯის წყალობით ისინი ორბიტაზე რჩებიან. მე მთვარედ ვიქცევი და ამ გზით მთელ ბოსტნეულს სასიცოცხლო წვენი ვავსებ.
14. მე ვარ მონელების ცეცხლი ცოცხალ არსებათა სხეულებში და ოთხი სახის საკვების გადასამუშავებლად მე ვერწყმი შემავალსა და გამავალ სასიცოცხლო აირს.



15. მე ვარ ყველას გულში. ხსოვნა, ცოდნა და დავიწყება ჩემგან მომდინარეობს. მთელი ვედების მიზანი ჩემი შეცნობაა. სინამდვილეში მე ვარ ვედანტას შემდგენელი და მე ვარ ვედების მცოდნე.
16. არსებობს ორი სახის არსებები — შეცდომებს დაქვემდებარებულნი და შეუცდომელები. მატერიალურ სამყაროში ყოველი არსება ცდება, სულიერ სამყაროში კი ყველა შეუცდომელია.
17. ამ ორის გარდა არსებობს უდიადესი პიროვნება, ზესული, თავად მარადიული უფალი, რომელიც სამივე სამყაროშია შესული და ასულდგმულებს მათ.
18. რამეთუ მე ტრანსცენდენტული ვარ შემცდართა და შეუცდომელთა მიმართ, ჩემი სიდიადის გამო, სამყარო და ვედები ხოტბას მასხამენ, როგორც უზენაეს პიროვნებას.
19. ყოვლისმცოდნეა ის, ვინც ეჭვგარეშე მიცნობს ღმრთეების უზენაეს პიროვნებად. ამის გამო იგი, ო ბჰარატის შვილო, სრული ერთგულებით მემსახურება.
20. ეს ვედურ წმინდა წერილთა ყველაზე იდუმალი ნაწილია, ო უცოდველო, და შენ გიმჟღავნებ მას. ვინც კი მას შეიცნობს, სიბრძნით აღივსება და მისი მცდელობები სრულყოფილებით დასრულდება.

(16) თავი მეთექვსმეტე ღვთაებრივი და დემონური ბუნებანი

- 1-3. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: უშიშრობა; საკუთარი არსებობის განწმენდა; სულიერი ცოდნის გაღრმავება; ქველმოქმედება; თვითკონტროლი; მსხვერპლშეწირვა; ვედების შესწავლა; ასკეტიზმი; უბრალოება; არაძალმომრეობა; სიმათლვე; ბრაზისაგან თავისუფლება; განდეგილობა; სიმშვიდე; სხვათა ნაკლის ძიებისგან თავისუფლება; ყოველი ცოცხალი არსებისადმი სიბრალული; გაუმაძღრობისაგან თავისუფლება; სიკეთე; თავშეკავება; შეუდრეკელობა; სიძლიერე; შემწყნარებლობა; სიმამაცე; სიწმინდე; შურისაგან და პატივისაკენ სწრაფვისგან თავისუფლება — ამ ტრანსცენდენტული თვისებებით შემკულნი, ო ბჰარატას შვილო, ღვთაებრივი ბუნებით დაჯილდოებული ღვთისმოსავი ადამიანები არიან.
4. სიამაყე, მედიდურობა, პატივმოყვარეობა, ბრაზი, უხეშობა და უმეცრება დემონური ბუნების მატარებელი თვისებებია, ო პრთჰას შვილო.
5. ტრანსცენდენტული თვისებები ხელს უწყობს განთავისუფლებას, ხოლო დემონური — ტყვეობას. ნუ სწუხარ, ო პანდუს შვილო, რამეთუ შენ ღვთაებრივი თვისებებით ხარ შობილი.
6. ო პრთჰას შვილო, ამ სამყაროში არსებობენ ორი სახის შექმნილი არსებები. ერთნი ღვთაებრივად იწოდებიან, მეორენი კი — დემონურებად. ღვთაებრივი თვისებები მეტად დაწვრილებით აგისხენი, ახლა დემონური თვისებების შესახებ ისმინე.


7. დემონებმა არ იციან, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. მათგან შორსა დგას სიწმინდე, ღირსეული ქცევა და სიმართლე.
8. ისინი ფიქრობენ, რომ ეს სამყარო არარეალურია, უსაფუძვლოა და ღმერთი არ განაგებს მას. ისინი ამბობენ, თითქოსდა იგი სქესობრივი სურვილისგან წარმოიშვა და ვნების გარდა სხვა მიზეზი არა გააჩნია რა.
9. ასეთი დასკვნების გამო დემონები, თავი რომ დაკარგეს და გონიერებაც არ გააჩნიათ, სამყაროს დამანგრეველ, უსარგებლო, საზარელ საქმეებს ჩადიან.
10. აფარებენ რა თავს დაუოკებელ ვნებას და ეფლობიან პატივმოყვარეობაში, ამპარტავნობასა და მოჩვენებით სახელში, დემონები ილუზიის გამო მუდამ უწმინდური საქმის აღთქმას იძლევიან, რამეთუ წარმავალი ხიბლავთ.
- 11-12. მათი რწმენით, გრძნობათა დაკმაყოფილება ადამიანთა ცივილიზაციის უპირველესი აუცილებლობაა. ამდენად, მათი მღელვარება განუზომელია. სიცოცხლის ბოლომდე ასიათასობით სურვილის ხლართებში გაბმულნი, ჟინსა და ბრაჰში ჩაძირულნი, გრძნობათა დაკმაყოფილების მიზნით არაკანონიერი გზით შოულობენ ფულს.
- 13-15. დემონი ფიქრობს: “დღეს ამდენი სიმდიდრე მაქვს, ცემი გეგმებით ხვალ უფრო მეტს მოვიპოვებ. ახლა დიდძალი ქონების პატრონი ვარ, მომავალში სულ უფრო გაიზრდება. ის ჩემი მტერია და სიცოცხლეს გამოვასალმებ, სხვა ჩემი მტრებიც მოიკვლებიან. მე ვარ ყოვლის მბრძანებელი, მე ვარ განმცხრომელი, სრულყოფილი; ძლიერი და ბედნიერი ვარ. მე ვარ არისტოკრატი ნათესავებით გარემოცული, ყველაზე შეძლებული. ჩემზე ძლევამოსილი და ბედნიერი არავინ არის. მე გავიღებ მსხვერპლს, გავცემ მოწყალებას და ამით გავიხარებ”. ასე იტყუებს ამგვარ ხალხს უგუნურება.
16. ათასგვარი შფოთვით თავგზააბნეულნი და ილუზიის ხლართებში გაბმულნი, ისინი ძლიერ ეჯაჭვებიან გრძნობათა განცხრომას და ჯოჯოხეთში ვარდებიან.
17. თვითკმაყოფილნი და მუდამ კადნიერნი, სიმდიდრითა და ცრუ პრესტიჟით მოტყუებულნი, ზოგჯერ ამაყად ასრულებენ მსხვერპლშეწირვებს, მხოლოდ სახელისთვის, რაიმე წესისა თუ რეგულაციის შეუსრულებლად.
18. ცრუ ეგოთი, ძალით, სიამაყით, ავხორცობითა და ბრაჰით მოტყუებულნი, დემონები ემტერებიან ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, რომელიც მათ სხეულებში და სხვათა სხეულებშიც იმყოფება და ლანძღავენ ჭეშმარიტ რელიგიას.
19. ბოროტებს და მავნებლებს, რომლებიც კაცთა შორის უმდაბლესნი არიან, მე გამუდმებით ვაგდებ მატერიალური ყოფიერების ოკეანეში, სიცოცხლის სხვადასხვა დემონურ სახეობებში.
20. დემონურ სახეობებში დაბადების გამო, ო კუნტის შვილო, ეს ხალხი მე არასოდეს მიახლოვდება. თანდათანობით ისინი არსებობის უსამაგლეს სახემდე ეშვებიან.
21. არსებობს ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი სამი გზა — ავხორცობა, ბრაჰი და სიხარბე. ყოველმა საღმა ადამიანმა უნდა მიატოვოს ისინი, რადგან სულის დაცმას იწვევენ.



22. ადამიანი, რომელიც ჯოჯოხეთის ამ სამ კარს გაექცევა, ო კუნტის შვილო, თვითრეალიზაციის სასიკეთო საქმეებს ჩადის და ამით თანდათანობით აღწევს უმაღლეს დანიშნულებას.
23. ის, ვინც წმინდა წერილთა დანაწესებს უარყოფს და თვითნებურად მოქმედებს, ვერ აღწევს ვერც სრულყოფილებას, ვერც ბედნიერებას და ვერც უმაღლეს დანიშნულებას.
24. ამიტომ საჭიროა იმის გაგება, თუ წმინდა წერილთა რეგულაციებით რა არის მოვალეობა და რა არ არის მოვალეობა. ამ წესებისა და რეგულაციების ცოდნით საჭიროა ისე მოქმედება, რომ ადამიანი თანდათანობით ამაღლდეს.

(17) თავი მეჩვიდმეტე რწმენის ნაირსახეობანი

1. არჯუნამ იკითხა: ო კრძნა, რა მდგომარეობაში არიან ისინი, ვინც არ მისდევენ წმინდა წერილთა კანონებს, მაგრამ თაყვანს სცემენ თავიანთ წარმოდგენის თანახმად? სათნოებაში არიან ისინი, ვნებასა თუ უგუნურებაში?
2. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: ხორცშესხმული სულის მიერ შექმნილი ბუნების მოდუსების თანახმად ცოცხალი არსების რწმენა შეიძლება იყოს სამი სახის: სათნოებაში, ვნებასა ან უგუნურებაში. ახლა მოისმინე ამის შესახებ.
3. ო ბჰარატას შვილო, ბუნების გარკვეულ მოდუსებში ყოფნის შესაბამისად ცოცხალი არსება გარკვეული სახის რწმენას ინვითარებს. ამბობენ, რომ ცოცხალ არსებას გარკვეული რწმენა მის მიერ შექმნილი მოდუსების თანახმად აქვს.
4. სათნოების მოდუსში მყოფი ხალხი ნახევარღმერთებს ეთაყვანება; ისინი, ვინც ვნების მოდუსში იმყოფებიან, თაყვანს სცემენ დემონებს; უგუნურების მოდუსში კი თაყვანს სცემენ მოჩვენებებსა და სულებს.
- 5-6. იცოდე, რომ ისინი, ვინც სიამაყისა და ეგოიზმის გამო გადიან მკაცრ ასკეზებსა და ეპითემიებს, რომლებიც არ არის მოწოდებული წმინდა წერილებში, ვინც ვნებითა და მიჯაჭვულობით არიან შეგულიანებული, ვინც სულელები არიან და აწამებენ სხეულის მატერიალურ ელემენტებსა და მათში მყოფ ზესულს — დემონებია.
7. თითოეული პიროვნების მიერ შერჩეული საკვებიც კი სამი სახისაა, მატერიალური ბუნების სამი მოდუსის შესაბამისად. იგივე ითქმის მსხვერპლშეწირვაზეც, ასკეზებზეცა და ქველმოქმედებაზეც. ახლა მოისმინე ჩემგან ამ განსხვავებების შესახებ.
8. საკვები, რომელიც ძვირფასია მათთვის, ვინც სათნოების მოდუსში იმყოფება, ზრდის ცხოვრების ხანგრძლივობას, ასპეტაკებს არსებობას და იძლევა ძალას, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კმაყოფილებას. ასეთი საკვები, წვნიანი, ცხიმისანი, სასარგებლოა და გულისთვის სასიამოვნო.




9. საჭმელი, რომელიც მეტისმეტად მწარე, მეტისმეტად მჟავე, მარილიანი, ცხელი, ცხარე, მშრალი და მწველია, ძვირფასია მათთვის, ვინც ვნების მოდუსში იმყოფება. ასეთი საჭმელი იწვევს გაჭირვებას, ტანჯვასა და ავადმყოფობას.
10. საჭმელი, რომელიც მომზადებულია ჭამამდე სამი საათით ადრე, უგემური, გახრწნილი და აყროლებულია და რაც ნარჩენებისა და ხელშეუხებადი საჭმლისაგან შედგება, ძვირფასია მათთვის, ვინც წყვდიადის მოდუსში იმყოფებიან.
11. მსხვერპლშეწირვათა შორის, ის მსხვერპლშეწირვა, რომელიც წმინდა წერილთა მითითებების თანახმად, მოვალეობის გამო სრულდება, მათ მიერ, ვისაც არაფერი სურთ სანაცვლოდ, სათნოების ბუნებისაა.
12. მაგრამ იცოდე, რომ მსხვერპლშეწირვა, რომელიც გარკვეული მატერიალური მოგებისთვის ან სიამაყის გამო სრულდება, ო ბჰარატთა შორის საუკეთესოვ, ვნების მოდუსშია.
13. ნებისმიერი მსხვერპლშეწირვა, რომელიც სრულდება წმინდა წერილთა დანაწესების გაუთვალისწინებლად, პრასადის (სულიერი საკვების) დარიგების, ვედური ჰიმნების, მღვდელმსახურთა დასაჩუქრებისა და რწმენის გარეშე, უგუნურების მოდუსს მიეკუთვნება.
14. სხეულის ასკეტიზმს მიეკუთვნება უზენაესი უფლის, ბრაჰმანების, სულიერი მოძღვრის და უფროსი თაობის წარმომადგენლების, კერძოდ, დედისა და მამის თაყვანისცემა, აგრეთვე სიწმინდე, სისადავე, უბიწოება და არამალმომრეობა.
15. მეტყველების ასკეტიზმი ნიშნავს იმ სიტყვების წარმოთქმას, რომლებიც მართალი, სასიამოვნო და სასიკეთოა, რომელიც არ აღაგზნებს სხვებს, აგრეთვე რეგულარულად ციტირებას.
16. ხოლო კმაყოფილება, სისადავე, სერიოზულობა, თავშეკავება და საკუთარი ყოფიერების განწმენდა წარმოადგენს ჭკუის ასკეტიზმს.
17. ამ სამმაგ ასკეტიზმს, ტრანსცენდენტული რწმენით მათ მიერ შესრულებულს, ვინც არ ელიან მატერიალურ მოგებას, არამედ მხოლოდ უზენაესისთვის მოქმედებენ, ეწოდება ასკეტიზმი სათნოებაში.
18. ითვლება, რომ ეპითიმია, შესრულებული სიამაყის გამო და პატივის, სახელისა და თაყვანისცემის მოსაპოვებლად, ვნების მოდუსშია. იგი არც ურყევია და არც მუდმივი.
19. ნათქვამია, რომ ეპითიმია, შესრულებული სისულელის გამო, თვითგვემით ან სხვების განადგურებითა თუ დასახიჩრებით, უგუნურების მოდუსში იმყოფება.
20. ითვლება, რომ მოწყალება, გაღებული მოვალეობის გამო, ანაზღაურების მოლოდინის გარეშე, სათანადო დროსა და ადგილას, ღირსეული პიროვნებისადმი, სათნოების მოდუსშია.
21. მაგრამ ნათქვამია, რომ ქველმოქმედება, რომელიც სანაცვლოს მიღების მოლოდინით, ან კარმიული შედეგების სურვილით, ან უხალისო განწყობილებით სრულდება, არის ქველმოქმედება ვნების მოდუსში.



22. ნათქვამია, რომ ის ქველმოქმედება კი, რომელიც უწმინდურ ადგილას, არასწორ დროს, უღირსი პიროვნებებისადმი ან სათანადო ყურადღებისა და პატივისცემის გარეშე სრულდება, უგუნურების მოდუსს მიეკუთვნება.
23. სამყაროს დასაბამიდან სამი სიტყვა — ომ ტატ სატ — უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამ სამ სიმბოლურ განსახიერებას იყენებდნენ ბრაჰმანები ვედური ჰიმნების გალობისას და უზენაესის დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი მსხვერპლშეწირვების დროს.
24. ამიტომ როდესაც ტრანსცენდენტალისტები წმინდა დანაწესის თანახმად ასრულებენ მსხვერპლშეწირვებს, ქველმოქმედებასა და ეპითიმias, მუდამ იწყებენ სიტყვით “ომ”, რათა უზენაესს მიაღწიონ.
25. ადამიანმა კარმიული შედეგების სურვილის გარეშე უნდა შეასრულოს ათასგვარი მსხვერპლშეწირვა, ეპითიმია და ქველმოქმედება სიტყვით “ტატ”. ასეთი ტრანსცენდენტული საქმიანობის მიზანი არის მატერიალური ტყვეობიდან თავის დაღწევა.
- 26-27. აბსოლუტური ჭეშმარიტება არის ერთგული სამსახურის მსხვერპლშეწირვის მიზანი და იგი აღნიშნულია სიტყვით “სატ”. ასეთი მსხვერპლშეწირვის შემსრულებელიც არის “სატ”, ისევე როგორც მსხვერპლშეწირვის, ეპითიმias და ქველმოქმედების ყოველი ქმედება, რომელიც თავისი ჭეშმარიტი აბსოლუტური ბუნების წყალობით უზენაესი პიროვნების დასაკმაყოფილებლად სრულდება, ო პრთჰას შვილო.
28. ის, რაც სრულდება მსხვერპლშეწირვის, ქველმოქმედების ან ეპითიმias სახით, უზენაესის რწმენის გარეშე, ო პრთჰას შვილო, წარმავალია. მას ეწოდება “ასატ” და უსარგებლოა როგორც ამ, ასევე შემდეგ ცხოვრებაშიც.

(18) თავი მეთვრამეტე განდეგილობის სრულქმნა


1. არჯუნამ თქვა: ო მკლავმაგარო, მე მსურს ვიცოდე რა არის განდეგილობის (ტიაგის) და განდეგილის ცხოვრების წესის (სანასას) მიზანი, ო დემონ კემის მკვლელი, გრძნობათა მეუფე.
2. ღმრთეების უზენაესმა პიროვნებამ თქვა: დიადი სწავლულები მატერიალურ სურვილზე დამყარებულ საქმიანობაზე უარის თქმას განდეგილის ცხოვრების წესს (სანასას) უწოდებენ. ყოველი საქმიანობის შედეგებზე უარის თქმას კი ბრძენები უწოდებენ განდეგილობას (ტიაგას).
3. ზოგიერთი სწავლული აცხადებს, რომ რაკი ყოველი კარმიული საქმიანობა მანკიერია, ადამიანმა უარი უნდა თქვას მათზე. სხვა ბრძენები კი ადასტურებენ, რომ ადამიანმა არასოდეს უნდა მიატოვოს მსხვერპლშეწირვა, ქველმოქმედება და ეპითიმია.
4. ო ბჰარატა შორის საუკეთესოვ, ახლა ისმინე ჩემი დასკვნა განდეგილობის შესახებ. ო ვეფხვო კაცთა შორის, წმინდა წერილებში ნათქვამია, რომ სამი სახის განდეგილობა არსებობს.



5. არ შეიძლება მსხვერპლშეწირვის, ქველმოქმედებისა და ეპითიმის მიტოვება; ისინი უნდა შეასრულო, სინამდვილეში, მსხვერპლშეწირვა, ქველმოქმედება და ეპითიმია დიად სულებსაც კი ასპეტაკებს.
6. ყოველი ეს საქმიანობა უნდა შესრულდეს მიჯაჭვულობისა და რაიმე შედეგის მოლოდინის გარეშე. ისინი მოვალეობის გამო უნდა შესრულდეს, ო პრთჰას შვილო. ასეთია ჩემი საბოლოო აზრი.
7. დაწესებულ მოვალეობებზე უარის თქმა არასოდეს არ შეიძლება. თუკი ადამიანი ილუზიის გამო უარს ამბობს მასზე დაწესებულ მოვალეობებზე, ნათქვამია, რომ ასეთი განდევილობა უგუნურების მოდუსს მიეკუთვნება.
8. ის, ვინც უარს ამბობს დაწესებულ მოვალეობებზე მათი სირთულის ან სხეულისეული უხერხულობის შიშის გამო, განდევილია ვნების მოდუსში. ასეთი ქმედება არასოდეს აამაღლებს მას განდევილობაში.
9. ო არჯუნა, როდესაც ადამიანი თავის დაწესებულ მოვალეობას მხოლოდ იმიტომ ასრულებს, რომ ეს შესრულებული უნდა იქნას და უარს ამბობს ყოველგვარ მატერიალურ ურთიერთობასა და ნაყოფზე ყოველგვარ მიჯაჭვულობაზე, მისი განდევილობა სათნოების მოდუსშია.
10. სათნოების მოდუსში მყოფ გონიერ განდევილს, რომელსაც არც არასასიკეთო შრომა სძულს და არც სასიკეთო შრომაზეა მიჯაჭვული, ეჭვი არ ეპარება შრომის შესახებ.
11. ხორცშესხმულ არსებას მართლაც არ შეუძლია ყოველგვარ საქმიანობაზე უარის თქმა, მაგრამ მას, ვინც უარს ამბობს ქმედების ნაყოფებზე, ჭეშმარიტად განდევილი ეწოდება.
12. მასთან, ვინც განდევილი არ არის, სიკვდილის შემდეგ მოქმედების სამმაგი ნაყოფები მოდის: სასურველი, არასასურველი და შერეული. მაგრამ მათ, ვინც განდევილის ცხოვრებას ეწევიან, არ უწერიათ ასეთი შედეგით ტანჯვა ან დატკბობა.
13. ო მკლავმაგარო არჯუნა, ვედანტას თანახმად ნებისმიერი საქმიანობის შესრულებისთვის ხუთი მიზეზი არსებობს. ახლა მე გასწავლი მათ.
14. მოქმედების ხუთი ფაქტორია მოქმედების ადგილი (სხეული), მომქმედი, სხვადასხვა გრძნობები, სხვადასხვა მცდელობა და საბოლოო ჯამში, ზესული.
15. ნებისმიერი სწორი თუ არასწორი საქმიანობა, რომელსაც ადამიანი სხეულით, ჭკუითა თუ მეტყველებით ასრულებს, ამ ხუთი ფაქტორითაა გამოწვეული.
16. ამიტომ ის, ვინც საკუთარ თავს ერთადერთ შემსრულებლად თვლის და არ ითვალისწინებს ხუთ ფაქტორს, უდაოდ უგუნურია დ ავერ ხედავს საგნებს ჭეშმარიტ შუქში.
17. ის, ვისი მოქმედებაც ცრუ ეგოთი არ არის გამოწვეული, ვისი გონებაც თავისუფალია, არავის კლავს, თუმცადა კლავს ხალხს ამ სამყაროში. მას ვერც ქმედებები ატყვევებს.
18. ცოდნა, ცოდნის ობიექტი და მცოდნე — ეს ის სამი ფაქტორია, რომლებიც ქმედებას განაპირობებს; გრძნობები, შრომა და შემსრულებელი ქმედების სამი შემადგენელი ნაწილია.



19. მატერიალური ბუნების სხვადასხვა მოდუსების თანახმად არსებობს სამი სახის ცოდნა, მოქმედება და მოქმედების შემსრულებელი. ახლა ჩემგან მათ შესახებ მოისმინე.
20. იცოდე, რომ ცოდნა, რომლის საშუალებითაც ცოცხალი არსება ერთ განუყოფელ სულიერ ბუნებას ხედავს ყოველ ცოცხალ არსებაში, თუმცა ისინი ურიცხვ სახეებად არიან დაყოფილი, სათნოების მოდუსს მიეკუთვნება.
21. იცოდე, რომ ცოდნა, რომლის საშუალებითაც ცოცხალი არსება ყოველ განსხვავებულ სხეულში სხვადასხვა სახის ცოცხალ არსებას ხედავს, ვნების მოდუსში იმყოფება.
22. ის ცოდნა კი, რომლითაც ცოცხალი არსება მთლიანად მიჯაჭვულია ერთი სახის შრომაზე, რომელიც მოკლებულია ცოდნას ჭეშმარიტის შესახებ და მეტად შეზღუდულია, სიბნელის მოდუსს მიეკუთვნება.
23. მოწესრიგებული საქმიანობა, რომელიც მიჯაჭვულობის, სიყვარულისა თუ სიძულვილის და კარმიული შედეგების სურვილის გარეშე სრულდება, მიეკუთვნება სათნოების მოდუსს.
24. მაგრამ იმ მოქმედებას, რომელსაც დიდი ძალისხმევით ასრულებს საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების მოსურნე და ცრუ ეგოს შეგრძნებით მოქმედი პიროვნება, ეწოდება მოქმედება ვნების მოდუსში.
25. ის მოქმედება, რომელიც სრულდება ილუზიაში, წმინდა წერილთა დანაწესების უგულვებელყოფით და იმაზე წუხილის გარეშე, რომ ამას მომავალი ტყვეობა, ძალმომრეობა ან სხვა ტანჯვა მოჰყვება, უგუნურების მოდუსშია.
26. ის, ვინც საკუთარ მოვალეობას მატერიალური ბუნების მოდუსებთან დაუკავშირებლად, ცრუ ეგოს გარეშე, შეუპოვრობითა და ენთუზიაზმით, და წარმატებასა თუ მარცხში შეურყევლად ასრულებს, ამბობენ, რომ სათნოების მოდუსში შრომობს.
27. მშრომელი, რომელიც მიჯაჭვულია შრომასა და შრომის ნაყოფებს, რომელსაც სურს ამ ნაყოფებით დატკბობა და ხარბი, მუდამ შურიანი და ჭუჭყიანია, ვისაც სიხარული და მწუხარება ამოძრავებს, ამბობენ, რომ ვნების მოდუსში იმყოფება.
28. იმ მშრომელს, რომელიც მუდამ წმინდა წერილთა დანაწესების საწინააღმდეგო საქმეს ასრულებს, რომელიც მატერიალისტური, ჯიუტი, მატყუარა და სხვების შეურაცხყოფაში გაწაფულია, ზარმაცი, მუდამ მოღუშული და გამჭიანურებელია, უგუნურების მოდუსში მშრომელი ეწოდება.
29. ო სიმდიდრის მომპოვებელი, ახლა გთხოვ, ისმინე, დაწვრილებით როგორ დაგიხასიათებ მატერიალური ბუნების სამი მოდუსის შესაბამისად სხვადასხვა სახის გაგებასა და შეუპოვრობას.
30. ო პრთვას შვილო, ის გაგება, რომლის საშუალებითაც ადამიანს ესმის, რა უნდა შესრულდეს და რა არ უნდა შესრულდეს, რისი უნდა ემინოდეს და რისი არ უნდა ემინოდეს, რა ითრევს და რა ანთავისუფლებს, სათნოების მოდუსშია.



31. ო პრთჰას შვილო, ის გაგება, რომლითაც ცოცხალი არსება ვერ არჩევს რელიგიას არარელიგიურობისაგან, ქმედებას, რომელიც უნდა შესრულდეს, იმ ქმედებისგან, რომლის შესრულებაც არ შეიძლება, ვნების მოდუსშია.
32. გაგება, რომლითაც არარელიგიურობა რელიგიადაა მიჩნეული, რელიგია კი არარელიგიურობად, რომელიც ილუზიის გავლენასა და წყვდიადში იმყოფება და მუდამ არასწორი მიმართულებითაა მიმართული, ო პრთჰა, უგუნურების მოდუსშია.
33. ო პრთჰას შვილო, შეუპოვრობა, რომელიც შეუწყვეტელია, რომელიც იოგას პრაქტიკის სიმტკიცით საზრდოობს და ამგვარად მართავს ჭკუას, სიცოცხლესა და გრძნობების ქმედებებს, სათნოების მოდუსში მყოფი შეუპოვრობაა.
34. მაგრამ შეუპოვრობა, რომლითაც ცოცხალი არსება ჩაჭიდებულია რელიგიას, ეკონომიკური განვითარებისა და გრძნობათა დაკმაყოფილების კარმიულ შედეგებს, ვნების ბუნებისაა, ო არჯუნა.
35. ის შეუპოვრობა კი, რომელიც სიზმარს, შიშს, გლოვას, გულჩათხრობილობასა და ილუზიას ვერ სცდება — ასეთი არაგონივრული შეუპოვრობა, ო პრთჰას შვილო, წყვდიადის მოდუსშია.
36. ო ბჰარატა შორის საუკეთესოვ, ახლა გთხოვ ისმინე ჩემგან სამი სახის ბედნიერების შესახებ, რომლითაც განპირობებული სული ტკბება და რომლითაც ზოგჯერ ყოველგვარ გაჭირვებას ასრულებს.
37. იმას, რაც დასაწყისში შეიძლება შხამს ჰგავდეს, მაგრამ ბოლოს ნექტარად იქცევა და თვითრეალიზაციისთვის აღვიძებს ცოცხალ არსებას, ეწოდება ბედნიერება სათნოების მოდუსში.
38. იმ ბედნიერებას, რომელიც გრძნობებისა და მათი ობიექტების ურთიერთობისგან მიიღება და დასაწყისში ნექტარს ჰგავს, ბოლოს კი შხამია, ვნების ბუნების ბედნიერება ეწოდება.
39. იმ ბედნიერებას კი, რომელიც თვითრეალიზაციის მიმართ ბრმაა, თავიდან ბოლომდე შეცდომაა და ძილის, სიზარმაცისა და ილუზიისგან აღმოცენდება, უგუნურების ბუნების მქონე ბედნიერება ეწოდება.
40. არც აქ, არც მაღალ პლანეტარულ სისტემებზე დასახლებულ ნახევარდმერთთა შორის არ არსებობს არსება, რომელიც თავისუფალია მატერიალური ბუნებისგან შობილი ამ სამი მოდუსისგან.
41. მატერიალური მოდუსების შესაბამისი თავიანთი ბუნებისაგან შობილი თვისებებით ბრაჰმანები, კშატრიები, ვაიშიები და შუდრები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ო მტრის შემმუსვრელო.
42. სიმშვიდე, თავშეკავება, ასკეტიზმი, სიწმინდე, მოთმინება, პატიოსნება, ცოდნა, სიბრძნე და რელიგიურობა ის ბუნებრივი თვისებებია, რომლებითაც ბრაჰმანები შრომობენ.
43. გმირობა, ძალა, შეუპოვრობა, საზრიანობა, ბრძოლაში სიმამაცე, გულუხვობა და წინამძღოლობა, ბუნებრივი თვისებებია კშატრიათა შრომისთვის.




44. მიწათმოქმედება, ძროხების დაცვა და ვაჭრობა ვაიშიების ბუნებრივი საქმიანობაა, შუდრებისთვის კი შრომა და სხვათა სამსახურია განკუთვნილი.
45. თავისი შრომის თვისებების შესრულებით ყოველ ადამიანს შეუძლია სრულქმნის მიღწევა. ახლა გთხოვ მისმინე, როგორ შეიძლება ამის მიღწევა.
46. უფლის თაყვანისცემით, რომელიც ყოველი არსების წყარო და ყოვლისგამჭოლია, ადამიანს სრულქმნას შეუძლია მიაღწიოს საკუთარი შრომის შესრულებით.
47. უმჯობესია აკეთო საკუთარი საქმიანობა, არასრულყოფილადაც კი, ვიდრე სხვისი საქმე ითავო და სრულყოფილად შეასრულო. საკუთარი ბუნებისადმი დაწესებულ მოვალეობებზე არასოდეს მოქმედებს ცოდვითი რეაქციები.
48. ყოველი ძალისხმევა ისევეა გარკვეული ნაკლით დაფარული, როგორც ცეცხლია დაფარული კვამლით. ამიტომ ადამიანმა არ უნდა მიატოვოს საკუთარი ბუნებისგან შობილი სამუშაო, ო კუნტის შვილო, მაშინაც კი, თუკი ასეთი შრომა ნაკლოვანებითაა სავსე.
49. მას, ვინც მართავს საკუთარ თავს, განჯაჭვულია და არაფრად აგდებს არავითარ მატერიალურ სიამოვნებას, განდევილობის პრაქტიკით რეაქციებისგან თავისუფლების უმაღლეს სრულქმნის საფეხურის მიღწევა შეუძლია.
50. ო კუნტის შვილო, ისწავლე ჩემგან, თუ როგორ ადის სრულქმნის უმაღლეს დონეზე, ბრაჰმანზე, უმაღლეს ცოდნის საფეხურზე ის, ვინც ამ სრულქმნას იმ გზით მიაღწია, რომელსაც ახლა შევაჯამებ.
- 51-53. ვინც საკუთარი გონებით განწმენდილია და სიმტკიცით მართავს ჭკუას, უარს ამბობს გრძნობათა დაკმაყოფილების საგნებზე, განწმენდილია მიჯაჭვულობისა და სიძულვილისაგან, ვინც განმარტოებულ ადგილას ცხოვრობს, ცოტას ჭამს, მართავს საკუთარ სხეულს, ჭკუასა და მეტყველების უნარს, ვინც მუდამ ტრანსშია და განჯაჭვული, თავისუფალია ცრუ ეგოს, ცრუ ძალის, ცრუ სიამაყის, ვნებისა და მრისხანებისაგან და ვინც არ ღებულობს მატერიალურ საგნებს, ვინც თავისუფალია საკუთრების ცრუ გრძნობისაგან და მშვიდია — ასეთი პიროვნება უდაოდ თვითრეალიზაციის მდგომარეობამდეა ამაღლებული.
54. ვინც ასეთ ტრანსცენდენტალ მდგომარეობაში იმყოფება, უმაღლეს შეიცნობს უზენაეს ბრაჰმანს და სიხარულით აღსავსე ხდება. არასოდეს გლოვობს ან ნატრობს რაიმეს. ერთნაირად არის განწყობილი ყოველი ცოცხალი არსებისადმი. ასეთ მდგომარეობაში იგი ჩემს წმინდა ერთგულ სამსახურს აღწევს.
55. ჩემი ჭეშმარიტი სახის, როგორც ღმრთეების უზენაესი პიროვნების შეცნობა მხოლოდ ერთგული სამსახურით შეიძლება და როდესაც ცოცხალი არსება ასეთი ერთგულებით ბოლომდე შემეცნობს მე, შეძლებს ღმერთის სასუფეველში შეღწევას.

56. თუმცა ჩემი წმინდა ერთგული ყოველგვარ საქმიანობას ეწევა, ჩემი მფარველობის გამო ჩემი წყალობით მარადიულ და უკვდავ სავანეს აღწევს.
57. ყოველ საქმეში უბრალოდ ჩემი იმედი გქონდეს და მუდამ ჩემი მფარველობის ქვეშ იმოქმედე. ასეთ ერთგულ სამსახურში ბოლომდე გამაცნობიერე მე.
58. თუკი გაცნობიერებული გეყოლები მე, ჩემი წყალობით განპირობებული სიცოცხლის ყოველ დაბრკოლებას გადალახავ. მაგრამ თუკი იმოქმედებ არა ასეთი ცნობიერებით, არამედ ცრუ ეგოთი და არ მომისმენ მე, დაიკარგები.
59. თუკი ჩემი ხელმძღვანელობით არ იმოქმედებ და არ იბრძოლებ, არასწორ გზას დაადგები. შენივე ბუნებით, იძულებული იქნები იბრძოლო.
60. ილუზიის გამო უარს ამბობს ბრძოლაზე, მაგრამ შენი ბუნებისგან სობილი სრომის გამო მაინც იძულებული იქნები იმოქმედო, ო კუნტის შვილო.
61. უზენაესი უფალი ყველას გულში იმყოფება, ო არჯუნა, და წარმართავს ყოველი ცოცხალი არსების ხეტიალს, რომლებიც თითქოსდა მატერიალური ენერჯისგან შექმნილ მანქანაში სხედან.
62. ო ბჰარატას შთამომავალო, ბოლომდე მიენდე მას, მისი წყალობით შენ ტრანსცენდენტალ სიმშვიდეს და უმაღლეს და მარადიულ სავანეს მოიპოვებ.
63. ამრიგად, მე კიდევ უფრო, საკრალური ცოდნა გადმოგეცი. ბოლომდე აწონ-დაწონე და შემდეგ გააკეთე, რაც გსურს.
64. ვინაიდან შენ ჩემი ძვირფასი მეგობარი ხარ, მე ჩემს უმაღლეს დარიგებას გაძლევ, ყველაზე საკრალურ ცოდნას მთელ ცოდნათა შორის. მისმინე, ვინაიდან ამას შენი სიკეთისთვის ვლაპარაკობ.
65. მუდამ იფიქრე ჩემზე, გახდი ჩემი ერთგული, თაყვანი მეცი და ემთხვიე მიწას ჩემს წინაშე. ასე უცილობლად მოხვალ ჩემთან. მე გპირდები ამას, ვინაიდან შენ ჩემი მეტად ძვირფასი მეგობარი ხარ.
66. მიატოვე ყოველი სახის რელიგია და უბრალოდ მე მომენდე. მე გიხსნი ყოველგვარი ცოდვითი რეაქციებისგან. ნუ გეშინია.
67. ეს საკრალური ცოდნა არასოდეს უნდა აუხსნა მათ, ვინც არ არიან ასკეტურნი, ერთგულნი, ვინც ერთგულ სამსახურს არ ასრულებენ ან მათ, ვისაც ჩემი შურთ.
68. მას, ვინც ამ უმაღლეს საიდუმლოს უხსნის ერთგულებს, განადღებული აქვს წმინდა ერთგული სამსახური და საბოლოოდ იგი ჩემთან ბრუნდება.
69. ამ სამყაროში ჩემთვის მასზე ძვირფასი მსახური არ არსებობს და ვერც ვერავინ იქნება ოდესმე მასზე ძვირფასი.
70. და მე ვაცხადებ, რომ ის, ვინც ამ ჩვენს საკრალურ საუბარს სწავლობს, გონებით თაყვანს მცემს მე.
71. ის კი, ვინც რწმენითა და შურის გარეშე ისმენს, იწმინდება ცოდვითი რეაქციებისაგან და აღწევს სასიკეთო პლანეტებს, სადაც ღვთისმოსავნი ცხოვრობენ.




72. ო პრთჰას შვილო, ო სიმდიდრის მომპოვებელო, ყურადღებით მოისმინე? უკვე გაქარწყლდა შენი უგუნურება და ილუზია?
73. არჯუნამ თქვა: ჩემო ძვირფასო კრშნა, ო შეუცდომელო, უკვე გაქრა ჩემი ილუზია. შენი წყალობით მეხსიერება დამიბრუნდა. ახლა ვერაფერი შემარყევს. ეჭვი არა მაქვს და მზადა ვარ შენი დარიგებების შესასრულებლად.
74. სანჯაიამ თქვა: ასე მოვისმინე ორი დიადი სულის, კრშნასა და არჯუნას საუბარი. და იმდენად საოცარია ეს ეპისტოლე, რომ თმები ყალყზე მიდგება.
75. ვიასას წყალობით მე მოვისმინე ეს ყველაზე საკრალური საუბრები, უშუალოდ მთელი მისტიციზმის მბრძანებლის, კრშნასაგან, რომელიც პირადად არჯუნას ელაპარაკებოდა.
76. ო მეფეო, როდესაც კვლავ და კვლავ ვიგონებ კრშნასა და არჯუნას ამ საოცარ და წმინდა საუბარს, გული მითრთის და ყოველ წამს სიამოვნებას ვგრძნობ.
77. ო მეფეო, როგორც კი უფალი კრშნას საოცარ სახეს ვიხსენებ, უფრო და უფრო აღფრთოვანებული ვარ და კვლავ და კვლავ ვხარობ.
78. სადაც არის კრშნა, მთელი მისტიციზმის მეუფე და სადაც არის არჯუნა, უდიდესი მშვილდოსანი, იქ აუცილებლად იქნება სილიადე, გამარჯვება, არნახული ძალა და ზნეობა. ასეთია ჩემი აზრი.







ანტონ შანდორ ლავეი



ანტონ შანდორ ლავეი

სატანის 9 მცნება

1. სატანა განასახიერებს წაქეზებას ნაცვლად თავშეკავებულობისა.
2. სატანა განასახიერებს ცხოვრებისეულ ყოფას ნაცვლად სულიერი ილუზიებისა.
3. სატანა განასახიერებს შეუბღალავ სიბრძნეს, ნაცვლად ფარისევლურად თავის მოტყუებისა.
4. სატანა განასახიერებს სიყვარულს მათთვის ვინც ამას იმსახურებს, ნაცვლად მლიქვნელებზე დახარჯული სიყვარულისა.
5. სატანა გასანსახიერებს შურისძიებას ნაცვლად მეორე ლოყის მიშვერისა.
6. სატანა განასახიერებს პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობიანების მიმართ, ნაცვლად ფსიქიკურ ვამპირებზე ზრუნვისა.
7. სატანისთვის ადამიანი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მორიგ ცხოველს, რომელიც ზოგჯერ უკეთესი, ხოლო უმეტეს შემთხვევაში კი იმათზე უარესია რომლებიც ოთხ ფეხზე დადიან, რომელიც თავისი «განვითარების, სულიერების და ინტელექტის» ხარჯზე ყველაზე ცოდვილ ცხოველად იქცა.
8. სატანა წარმოადგენს ყველა ე.წ. ცოდვას, თუ მათ ფიზიკური, გონებრივი, ან ემოციონალური სიამოვნება მოაქვთ.
9. სატანა ეკლესიისათვის საუკეთესო მეგობარი იყო, რადგან ის, მთელი ამ წლების განმავლობაში, ხელს უწყობდა მათ ბიზნესს.

დედამიწაზე ცხოვრების 11 სატანისტური წესი

1. წესი ნუ დააფიქსირებ საკუთარ მოსაზრებას და ნურავის მისცემ რჩევას, თუ შენთვის არ უთხოვინათ ამის გაკეთება.
2. ნუ მოუყვები სხვებს საკუთარი უსიამოვნებების შესახებ, თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ მათ ამის მოსმენა უნდათ.
3. სხვის ბუნაგში ყოფნისას, მეკატრონეს პატივი ეცი, თუ არა და იქ მეტი ნულარ გამოჩნდები.
4. თუ სტუმარი შენს ბუნაგში გაჯავრებს, გაუსწორდი მას სასტიკად და უმოწყალოდ.
5. ნუ გააკეთებ სექსუალურ ავანსებს, თუ საამისო მიპატიჟების სიგნალი არ მიგიღია.


6. ნუ აიღებ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის, თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ ეს ნივთი მის პატრონს ტვირთად აწევს და მის თავიდან მოშორებას ლამობს.
7. ნუ უარყოფ მაგიის ძალას თუ შენ ის წარმატებით გამოიყენე, თუ წარმატების შემთხვევაში, შენ მაგიას უარყოფ, წაგერთმევა ყველაფერი რასაც მიაღწიე.
8. ნუ დაიწყებ იმაზე ჩივილს, რაც შენ არ გეხება.
9. პატარა ბავშვებს ნურაფერს დაუშავებ.
10. არ მოკლა არაადამიანური წარმოშობის ცხოველები, თუ ისინი არ დაგესხნენ თავს, ან საჭმელად არ გჭირდება.
11. გაშლილ ადგილას სიარულისას, ნურავის შეაწუხებ. თუ ვინმე გაწუხებს, სთხოვე რომ გაჩერდეს, თუ არ გაჩერდა — გაანადგურე.

სატანისტური ცოდვები


სატანისტური «ცოდვები», უფრო სწორად კი თვისებები, რომელიც არ უნდა გააჩნდეს სატანისტს არის:

1. სისულელე.
2. პრეტენზიულობა.
3. სოლიფსიზმი.
4. საკუთარი თავის მოტყუება.
5. ჯოგური კონფორიზმი.
6. შეხედულებების ფართე არეალის არქონა.
7. წინა თაობების გამოცდილების არცოდნა.
8. კონტრპროდუქციული სიამაყე.
9. არაესთეტიურობა.





ვამპირის ხელოვნება: ბილიკები



ჰენარო

ვამპირის ხელოვნება: ბილიკები

«ყველას საკუთარი გზა აქვს» — რამდენად ხშირად გაგვიგონია ან წაგვიკითხავს წიგნებში მსგავსი გამონათქვამი! ასევე ალამუსების სამყაროშიც, თუმცა, ვამპირების გზებს ეწოდებათ ბილიკები და მიაწინებენ სპეციალიზაციაზე, ალამუსების მიმართულებაზე, თუ რომელი ტიპის მაგიას იყენებს პრაქტიკაში, რა სახის უნარ-ჩვევებს ფლობს ყველაზე უკეთესად, სრულყოფილად. თავდაპირველად ბილიკი, როგორც ასეთი, არ არსებობდა, მაგრამ რაც უფრო მეტი ხდებოდა ვამპირი, უფრო მეტი აზრი ჩნდებოდა მაგიის შესახებ და უფრო მეტად ვითარდებოდა მაგიის სახეობები და ვამპირების სულიერი ტექნიკები. მალე გაჩნდა საჭიროება, რომ მოწესრიგებულიყო მთელი ცოდნა ალამუსების სამყაროში, რაც თავდაპირველად გადაიქცა სამ ბილიკად, რომლებმაც შემდეგში წარმოქმნეს განშტოებები. გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ ბილიკების რაოდენობამ პირველ სამთან ერთად დაიწყო ზრდა, მიაღწია ცამეტს, მათ კი ჩვენამდე მოაღწიეს იმ უცვლელი სახით, როგორებიც იყვნენ თავიანთი ფორმირების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ალამუსების გარკვეულ ჯგუფებს სურთ, გამოეყონ და შექმნან საკუთარი ბილიკი, მაინც ცამეტი ბილიკი არსებობდა და ასე არსებობს საყოველთაოდ მიღებული სისტემით დღემდე.

მთელი ინფორმაცია ბილიკების შესახებ აღებულია «ქარიშხლის მატთანედან» და «ფერფლის წიგნიდან» — ორი მთავარი წყაროდან ვამპირების ცოდნის შესახებ. სამწუხაროდ, ორივე წყაროში ძალიან ცოტა ინფორმაციაა ექვსი ბილიკის დამაარსებლების შესახებ: ლავაროში, საილუსი, ნურნენი, გვი-ერნა, დარბოჯი და ჯარმუჯი. მათი ცხოვრების აღწერის დიდი ნაწილი დაფუძნებულია ამ ვამპირების პირად და მათთან დაახლოებული ხალხის აღწერაზე. უფრო გვიანდელმა ბილიკებმა: ალემილენი, გვი-ერნა, სილემა, იტლიატა, ისვიალი, ტრამარი, ფელმორი, მეკამა — დატოვეს დიდი ინფორმაცია და მათ შესახებ არსებობს სხვა ნამუშევარიც — «მეკამა — ახალი დღის განთიადი». მე ვეცდები, მოგიხროთ ძირითადი საფუძვლების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციის და ისტორიის სიღრმეში ძიების გარეშე.

ამგვარად, ჩვენ ვდგავართ გზაჯვარედინზე და ჩვენს წინაშეა 13 ბილიკი, რომლებიც მიდიან ვამპირების სამყაროში. არ არის მნიშვნელოვანი, რომელი ბილიკით წახვალთ. მთავარია, ეს ბილიკი იყოს თქვენი სულის გამოძახილი! რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?

1. სისხლიანი ბილიკი — ლავაროში


ერთერთი პირველია თავდაპირველად არსებულ ბილიკებს შორის. თავად სახელწოდება ამბობს, თუ რომელი მიმართულებით მოძრაობდნენ ლავაროშის ვამპირები. მათი მაგია სისხლითაა გაჟღენთილი და სწორედ ისინი გახდნენ შუა საუკუნეების ეპოქის კლასიკური სისხლისმსმელი ვამპირების განსახიერებები. ვამპირმა, ცნობილმა მაგიური სახელით ვალარდუსი, პირველმა შექმნა



განცალკევებული საზოგადოება, რომელსაც ეწოდა ლავაროში — «უკვდავთა სისხლი». ალამუსთა ყველა რიტუალი, რომლებშიც გამოიყენება სისხლი, თავიანთ ფესვებს იღებენ სისხლიანი ბილიკიდან. ვალარდუსი თვლიდა, რომ სისხლში არის ნებისმიერი არსების სასიცოცხლო ძალა და თუ მას სწორად გამოიყენებდნენ, შესაძლებელი გახდებოდა ჯანმრთელობის, დიდხანს სიცოცხლის და ძლევამოსილების მიღება. «ქარიშხლის მატთანეში», სადაც ნახსენებია ბილიკები, ასევეა საუბარი სისხლიან ბილიკზე. იქ წერია, რომ ვალარდუსი დაიბადა ავადმყოფ ბავშვად და მცირე ასაკიდან დროის უმეტეს ნაწილს მეგობრებთან ერთად სამოვრებზე ატარებდა. ერთხელ ის მოხვდა სიტუაციაში, როდესაც მამამისი ცხვარს კლავდა. სისხლი შეგროვებული იქნა ცალკე ჭურჭელში, ხორცის დანაწევრებას კი ორი მამაკაცი შეუდგა: მამა და ბიჭის ბაბუა. ვალარდუსი მივიდა თბილი სისხლით სავსე ჭურჭელთან, წითელ სითხეში თითი ჩაუშვა და ზედმეტი ფიქრის გარეშე სისხლს გემო გაუსინჯა. როგორც ამტკიცებდა თავად ვალარდუსი, შედეგად იმ წამსვე გაეხვა სასიამოვნო სითბოში და იგრძნო, როგორ გახდა მისი სხეული მსუბუქი, როგორც ბუმბული. ბიჭმა კვლავ ჩაუშვა თითი ქილაში და ისევ გასინჯა სისხლი... ამის შემდეგ ის ხშირად აგემოვნებდა სისხლს, მერე კი საერთოდ მისი დაღევა დაიწყო, მაგრამ როცა ეს ბიჭის მშობლებმა დაინახეს, დასაჯეს და უთხრეს, რომ ეს ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო მიდრეკილება იყო. მაგრამ ბიჭი მშობლებისგან მალულად მაინც განაგრძობდა სისხლის სმას.

გავიდა «სისხლით თრობის» რამდენიმე წელი და ვალარდუსი ხედავს სიზმარში, როგორ უახლოვდება მას უცნაური ადამიანის მსგავსი არსება შავი ფრთებით და გასისხლიანებული ეშვებიანი პირით. ამ არსებას ეწოდებოდა უფლისწული ზარჰიმალი და შესთავაზა უკვე მოზარდს თავის მფარველობა. გამოღვიძებული ვალარდუსი ცივ ოფლში ცურავდა და პირში სისხლის გემო ჰქონდა. თავიდან მას შეეშინდა მომხდარის გამო, მაგრამ მერე, როცა ზარჰიმალი კიდევ გამოეცხადა სიზმარში, დათანხმდა მის შემოთავაზებას. ამ მომენტიდან ვალარდუსი ყოველ ღამით ხედავდა სიზმრებში უფლისწულ ზარჰიმალს და მისგან იღებდა საიდუმლო ცოდნას სამყაროს მოწყობის და მაგიის, განსაკუთრებით კი სისხლიანი რიტუალების შესახებ. როცა ვალარდუსი გაიზარდა, მან თავის გარშემო შემოიკრიბა სისხლის მოყვარულთა მიმდევრები. მისი თანამედროვეები ვალარდუსს თუ არა გიჟად, უცნაურ პიროვნებად მაინც ნამდვილად თვლიდნენ. მას შეეძლო, ღამით მთელი ის სოფელი გაეარა, სადაც დედამ გააჩინა და თან უცნაური სიმღერები ემღერა უცნობ ენაზე, მთლიანად სისხლში მოსვრილს და ხელში ცხვრის გულით. გაუმართლა, რომ ის არ ჩათვალეს ბოროტების რომელიმე მიმდევრად და არ შეეხნენ. ფიქრობდნენ, რომ ის უბრალოდ საღ გონებაზე არ იყო. ვალარდუსი კი მშვიდად ღვრიდა სისხლს, ატარებდა თავის რიტუალებს ლავაროშელ თანამომძეებთან ერთად და უსმენდა ზარჰიმალის რჩევებს

«ქარიშხლის მატთანეში» წერია, რომ ვალარდუსმა იცხოვრა დაახლოებით 200 წელი (!) და მიუხედავად ამისა, ძლიერ, ლამაზ ახალგაზრდა მამაკაცად გამოიყურებოდა. მას მრავალი მიმდევარი და საზოგადოების წევრი ჰყავდა,



რომლებიც ბაძავდნენ, მაგრამ ვალარდუსი გულგრილი იყო იმ მიმდევრების მიმართ, რომლებიც არ შედიოდნენ ლავაროშის სამძოს რიგებში და აღიარებდა მხოლოდ მიახლოებულ ძმებს. დანარჩენებზე ის ამბობდა, რომ ისინი უბრალო გადაგვარებულები იყვნენ, რომლებმაც არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ. და ეს ასეც იყო! ვალარდუსი უყვებოდა უფლისწულ ზარჰიმალისგან მიღებული სისხლის ჭემმარიტი რიტუალების შესახებ მხოლოდ მასთან დაახლოებულ პირებს, დანარჩენებს კი შეეძლოთ მიეღწიათ მხოლოდ «მეორე ხარისხის» რიტუალებამდე, რომლებიც შემუშავებული იქნა გაერთიანების არსებობის მანძილზე. მაგრამ როგორებიც არ უნდა იყოს სისხლიანი ბილიკის რიტუალები, ჩვენს დროშიც ერთმნიშვნელოვნად გააჩნიათ დიდი ძალა.

ასე და ამგვარად, შედეგად ვიღებთ იმას, რომ ლავაროშის ბილიკს მიჰყვებიან ვამპირები, რომელთა რიტუალები (არაა მნიშვნელოვანი, სიკეთისკენ არის მიმართული თუ ბოროტებისკენ) დაკავშირებულია მხოლოდ სისხლთან. ამ ბილიკის მიმდევრები მკითხაობდნენ სისხლზე, კურნავდნენ და აახალგაზრდებდნენ ახალი სისხლით, იკრებდნენ ძალებს. თუ თქვენ გიზიდავთ მსგავსი რიტუალები, სადაც ძირითად ფრაგმენტს წარმოადგენს სისხლი, შესაძლებელია, ეს ბილიკი თქვენთვის იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯერ არ იჩქაროთ და გაეცანით ალამუსთა სამყაროს დანარჩენ ბილიკებსაც, სანამ განსაზღვრავთ ბილიკს, რომელსაც თქვენ მთელს ცხოვრებას მიუძღვნით. დიახ, დიახ, მე არ შევმცდარვარ, სწორედ ცხოვრებას. ერთხელ რომ დაადგებით ბილიკს, თქვენ ამით მთელ ცხოვრებას ძირეულად შეცვლით, შეერწყმებით ამ გზას და ვეღარასოდეს გახდებით ის, ვინც ადრე იყავით — უკან დასაბრუნებელი გზა არაა. და თუ მოისურვებთ უკან დაბრუნებას, მიხვდებით, რომ არაფერი დაგიკარგავთ, ხოლო საეჭვოა ის, რომ ჭემმარიტი შენაძენზე უარის თქმის სურვილი გაგიჩნდეთ.

ლავაროშის სიმბოლიკა: სისხლით სავსე თასი, რომლის კიდედან წითელი სითხე მოწვეთავს. შავი ხანჯალი ტარში ჩასმული სისხლისფერი ლალის თვლით. დემონი, რომელიც ნთქავს ცხვარს.

ტერიტორიული ნიშანი: სისხლიანი ისარი, რომლიდანაც სისხლის წვეთი იღვრება. ზოგჯერ შესაძლებელია, შეხვდეთ ლავაროშისგან გამოყოფილი ჯგუფების სხვა იმპროვიზირებულ სიმბოლოებსაც, მაგრამ სიმბოლოში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს ისარი სისხლის წვეთით.

ფერი: სისხლისფერი.

2. ძღვეამოსილი ბილიკი — საილუსი

ბილიკი, რომელიც ეძებს ძალას. შეიქმნა თითქმის იმავე დროს, როცა ჩამოყალიბდა ლავაროშის ბილიკი. მისი შემქმნელია ალამუსი, რომლის მაგიური სახელია ელარბა.

ელარბა დაიბადა საკმაოდ ცნობილ ოჯახში, რომელიც დაახლოებული იყო მმართველთან. ის დაიბადა ახლანდელი ირლანდიის ტერიტორიაზე. პატარა ასაკიდან ის ფუფუნებაში ცხოვრობდა და ვერ ხედავდა ცხოვრებისეულ სირთულეებს. მაგრამ დადგა დღე, როცა მისი მამა შორეულ გზაზე გაემგზავრა და აღარ დაბრუნდა. ცნობამ იმის შესახებ, რომ ოჯახის უფროსი ყაჩაღებმა მოკლეს,



სულის სიღრმემდე შეძრა დედამისი და ქალი სულიერი ტკივილის გამო მალე ლოგინად ჩავარდა. მეღანქოლია და დეპრესია საშუალებას არ აძლევდა, ლოგინიდან წამომდგარიყო და საჭმელი მაინც ეჭამა. სახლის დიასახლისმა ძალების კარგვა დაიწყო, სიკვდილი კი მასთან მივიდა და იდგა გაშვერილი ხელის მანძილზე.

როცა მისი შვილი ისევ შევიდა დედის ოთახში, დაინახა ნაცრისფერი მოფარფატე კვამლი ლოგინის გვერდით. სუნთქვა შეიკავა, აუჩქარებლად მიუახლოვდა და დაინახა, რომ თხელი, ღია ცისფერი ძაფები დედამისისგან ამ კვამლისკენ იწეოდნენ. ბიჭს ძალიან შეეშინდა, მაგრამ დედაზე მზრუნველობა საშუალებას არ აძლევდა, ასე უბრალოდ მიეტოვებინა მისი ცხოვრების ძვირფასი ადამიანი. მან თითები გაიშვირა და ხელისგულის მკვეთრი მოძრაობით ის ძაფები გაწყვიტა, რომლებიც ერთმანეთს აერთებდა ნახევრადგამჭვირვალე კვამლს და ავადმყოფ ქალს. ამ მომენტში მან თითქოს თითები დაიწვა, წამოიყვირა და ხელისგულს ჩაეჭიდა. კვამლი გაქრა, მაგრამ ძაფები ისევ ჩანდა, მოძრაობდნენ, როგორც წყალმცენარეები წყალში. ბიჭი მივიდა და დედამისთან დაიხარა. ხელები თავისით ამოქმედდნენ, ის მხოლოდ ამოდრავებდა მათ, თითქოს ვინმესგან ჰქონდა ნასწავლი და თითქოს იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. წუთებმა წამებივით გაიარეს და უკვე აღარ ჩანდა არც აბურდული მოფარფატე ძაფები და არც რაიმე მოჩვენება.

დილით ბიჭმა თავის ლოგინში გაიღვიძა, ხელი თითქმის აღარ სტკიოდა. ის ოთახიდან გამოვიდა და იმწუთასვე დედამისის საძინებლისკენ გაემართა, რომ გაეგო, რა მოუვიდა წინა საღამოს: ეს იყო სიზმარი თუ რეალობა. დედა ოთახში არ აღმოჩნდა და მან დაიწყო მისი ძებნა მთელს სახლში. თუმცა, მალე ბიჭმა დაინახა, თუ როგორ დგას დედამისი სახლის გვერდით მდებარე ბაღში, უცქერს მზის სხივებს ხის ტოტებს შორის და შესამჩნევად ჯანმრთელად გამოიყურება. ეს იყო ენერგიებით მანიპულირების პირველი გამოცდილება მომავალი ოსტატისა.

როცა ის წამოიზარდა, დედამისმა გადაწყვიტა, ახალგაზრდა ბიჭი სასწავლებლად მიეზარებინა, მაგრამ ის ამბობდა, რომ მას არ სჭირდებოდა რამის სწავლა, რადგან ისედაც ხედავდა ისეთ სამყაროს, როგორსაც სხვა ვერავინ ამჩნევდა. ამის მაგივრად მან დედას სთხოვა, სამოგზაუროდ გაეშვა, მაგრამ ვისთან, სად და რატომ — არ თქვა. დედას არ სურდა ბიჭის დიდი ხნით გაშვება, რადგან უფრთხილდებოდა მის სიცოცხლეს, ეშინოდა, რომ ახლა შვილს დაკარგავდა გზაში. მაგრამ ხანგრძლივი დარწმუნების შემდეგ ის დაჰყვა მის სურვილს და ბიჭი შერჩეული საუკეთესო ცხენით სადღაც ჩრდილოეთით გაემგზავრა.

გავიდა ნახევარი წელიწადი და ის შინ დაბრუნდა ცხოვრებისეული შეხედულებებით დაბრძენებული. გადაჭრით ითავა ოჯახის უფროსობა, დაკავდა ვაჭრობით და აგზავნიდა საქონელს შორეულ მიწებზე. რა მოუვიდა ბიჭს მოგზაურობის იმ ნახევარ წელიწადში და სად იყო, ელარბა არავის ეუბნებოდა, თუმცა, ერთი რამ ცხადი იყო — მან ბევრი რამ ნახა, მაგრამ არა ადამიანის, არამედ ვამპირის თვალებით. ორი წლის გასვლის შემდეგ მის გარშემო ხალხმა იწყო შემოკრება, რომლებიც ისევე, როგორც ელარბა, სამყაროს სხვანაირად ხედავდნენ და მალე გაჩნდა გაერთიანება საილუსი — «უხილავი ძალა». გაერთიანება ძალიან



გაიზარდა და უკვე ერთ წელიწადში მასში გაერთიანებული იყო ოცდაათი ნიჭით დაჯილდოვებული «ხილული ძალა», რომლებიც თავიანთი არსის წყალობით მალე შეუერთდნენ უკვე არსებულ ალამუსებს. ამბობენ, რომ ელარბა მრავალი წლის მანძილზე ძალიან იყო დაახლოვებული საიდუმლო საზოგადოება ნურნენის დამაარსებელთან, ასევე, რამდენჯერმე ჰქონდა კონტაქტი ვალარდუსთანაც, მაგრამ მათ ვერ შეძლეს დამეგობრება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამას ვერავინ ვერასოდეს გაიგებს.

საილუსის საზოგადოებამ სრულიად მიუძღვნა თავი ძალის შესწავლას. მათი რიტუალები მიმართული იყო შეცნობისკენ და გარესამყაროს მაგიური ხედვის გაფართოებისკენ. საილუსის წევრები ხედავდნენ ყველაფერს ათასი კილომეტრის და სამყაროთა თხელი საზღვრების მიღმა. სუფთა ძალა და ენერჯია იყო ყველაფერი, რაც ელარბას და მის მიმდევრებს აინტერესებდათ. მათ მაგიაში არ გამოიყენებოდა მატერიალური ნივთები, რომელთა ნაწილიც ფიგურირებდა ყველა სხვა დანარჩენ ბილიკებში. გაერთიანება არ იყო ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი, თუმცა, არც განსაკუთრებულ ფარულ ცხოვრებას ეწეოდა. ადამიანთა უბრალო შეკრებას და მათ ურთიერთობას არ შეეძლო, ყურადღება მიეპყრო გარშემომყოფებისგან.

საილუსის სიმბოლიკა: ცეცხლოვანი ბურთი. ელვა, რომელიც წყალში ეცემა.

ტერიტორიული ნიშანი: სამკუთხედი, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია წრე, რომელშიც თავის მხრივ მოთავსებულია თვალი ელვის ფორმის გუგით.


ფერი: თეთრი.

3. მკვდარი ბილიკი — ნურნენი

ლიბენია დაიბადა პატარა სოფელში. გარეგნულად ის საკმაოდ ლამაზი, შავგვრემანი გოგონა იყო გრძელი, შავი თმით და მწვანე თვალებით. ამით სრულდება ლიბენიას აღწერა. როგორ ჩაიარა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ, უცნობია. «ქარიშხლის მატთანეში» არსებობს ცოტაოდენი ინფორმაცია ლიბენიას დაბადების შესახებ, ასევე, მისი ნამდვილი სახელი, რომელიც მშობლებმა დაარქვეს.

შემდეგ კი გოგონას აღწერა ხდება როგორც შიშის და საშინელებების მომტან, ბნელ ძერ ლა ტიერათი, შემოკლებით — ლა ტიერა. როგორ და რატომ დაადგა ის დაქირავებული მკვლელის გზას, არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ცნობილია, რომ მისი ხელებით განადგურებულია დაახლოებით ორმოცდაათი შეკვეთილი ადამიანი. ის დამკვეთისთვის გამოუსადეგარი ადამიანებისგან წმენდდა სამყაროს, ამასთან, არ დარდობდა შედეგებზე. თავიდანვე ყველანაირად ცდილობდნენ მის დაჭერას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: ხაფანგები, მოსყიდული პიროვნებები, ხრიკები — ყველაფერი! სად არ ეძებდნენ, მაგრამ პოვნა ვერ შეძლეს, გოგონა კი მთელი ამ ხნის მანძილზე ქალაქში იყო, უფრო ზუსტად კი ღამეს ათენებდა... ქალაქის სასაფლაოზე.

ამბობდნენ, რომ ის იცნობდა თავად წყვდიადის უფლისწულს, მატლების მბრძანებელს, მაგრამ იმის წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ, რომ ლა ტიერას თავისთვის ამოთხრილ საფლავში ეძინა. რა თქმა უნდა, ის უფრო ფართო იყო,




ვიდრე უბრალო საფლავი. სასაფლაოზე, მიწის ქვეშ, ის სრულიად მოთავსებული იყო, თავისთვის მოიწყო მიწისქვეშა საცხოვრებელი და საფლავის ქვაც კი დადო თავის ყალბ საფლავ-სახლზე, რომ ყურადღება არ მიეპყრო. ლა ტიერა არასდროს და არავისთვის ჰყვებოდა, საიდან მიიღო მან ცოდნა და რატომ იზიდავდა მაინცდამაინც სასაფლაო, მაგრამ მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ბილიკ ნურნენს.

ყველაფერი კი მაშინ მოხდა, როცა განსაზღვრულ დროს უცნობი მიზეზის გამო მან შეწყვიტა ხოცვა, თუმცა, სასაფლაო არ მიატოვა. იმ ადგილას, სადაც ერთ-ორ წელიწადში ყველაფერი ჩაწყნარდა და ხმები მის შესახებ გაიფანტა, ლა ტიერამ ქალაქის მმართველის უფლების დართვით ააშენა საკუთარი აკლდამა შესყიდული «მკვდარი» მიწის ნაწილზე. მის ახირებას განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცევს მაშინაც კი, როცა ის ამ აკლდამაში საცხოვრებლად გადავიდა. მკვლელობები შემცირდა, ქალაქში იმაზე მეტი სიმშვიდე იყო, ვიდრე ბნელი ძერ ლა ტიერას დროს, ამიტომ არავის სურდა, სასაფლაოზე არსებული ახალი დასახლებული აკლდამის შესახებ რაიმე შეეტყო.

ლა ტიერას თქმით, მან მკვლელობები იმის გამო შეწყვიტა, რომ მისთვის სულერთი იყო, ვინმეს სიცოცხლეს მოუსწრაფებდა თუ მკვდრებთან ერთად იცხოვრებდა. ის გრძნობდა, რომ მის გარშემო ორივე შემთხვევაში მოხუცი სიკვდილი ტრიალებდა, სჩუქნიდა მას ცოდნას და ეხმარებოდა რჩევებით. მკვდარი ენერგია მოსწონდა ქალს და ვამპირი სასაფლაოზე თავის გამოცდილებისთვის სიამოვნებით იყენებდა ძნელად მოსაპოვებელ გრიმუარებს ნეკრომანტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დადებითი შედეგები ჰქონდა, ლა ტიერა ვერ იღებდა იმ შეგრძნებას, რომ ეს მისი გზაა. ეჩვენებოდა, რომ ის წრეზე დადიოდა. გაურკვეველია რატომ, მაგრამ უდავოდ იზიდავდა ლა ტიერას თავისკენ. თუმცა, ნეკრომანტიული რიტუალების შესრულებისას ის ვერ უახლოვდებოდა თვითგანვითარებას. გადაწყვიტა, მიეტოვებინა მთელი გამოცდილება და დაეწყო სვლა თავის გზით — ასე დაიწყო ფორმირება ბილიკ ნურნენმა.

მკვდრებს შორის ცხოვრებით ლა ტიერა სწრაფად დაეუფლა ისეთ ძალებს, რომ ნებისმიერ ნეკრომანტს შეშურდებოდა მისი. ის თავის გზით მიდიოდა, რომელსაც ჭეშმარიტი კმაყოფილება მოჰქონდა ცხოვრებისგან, უფრო სწორად კი — სიკვდილისგან. მოხუცებულობის ჟამს მას მიმდევრები გამოუჩნდნენ. მანამდე ის ხანდახან ჩნდებოდა და სტუმრობდა ელარბას, რომლის შესახებაც ზემოთ დაიწერა. ელარბას მოსწავლეები ამბობდნენ, რომ ალამუსებს შორის გაჩნდა სიყვარულის მსგავსი გრძნობა... მაგრამ ცხოვრება ისე შემოტრიალდა, რომ ვერც ელარბამ და ვერც ლა ტიერამ ვერ შეძლეს ერთად ცხოვრება. მათ მთელი სიცოცხლე მიუძღვნეს საკუთარ იდეებს, რომლებიც რეალობად იქცა, სრულყოფილება ჰპოვა ვამპირიზმის ხელოვნებაში და განვითარდა თავის ბილიკით.

ლა ტიერამ მთელი სიცოცხლე ერთ ადგილას იცხოვრა და იმ ადგილასვე მოკვდა თავის აკლდამაში, ერთგული მიმდევრების გარემოცვაში. მან დატოვა უამრავი ნაშრომი მკვდარ ენერგიასთან — ნურნენთან მუშაობის შესახებ. ყველა,



ვინც მკვდარი ბილიკით წავიდა, ცხოვრობდნენ მკვდართა ენერჯის შთანთქმით და სასწაულებრივად ახდენდნენ მის გარდაქმნას სასიცოცხლო ენერჯიად! ეს ჭეშმარიტად დიდებული აღმოჩენა იყო ვამპირთა სამყაროში, სადაც ცოცხალი ადამიანები უკვე აღარ წარმოადგენდნენ საკვების წყაროს. ლა ტიერამ საკუთარი თავი მთლიანად მიუძღვნა მკვდარი ენერჯით მანიპულირების ახალ-ახალ საშუალებების გამოგონებას და ამის გამო მისი მადლიერია უამრავი ვამპირი.

ნურნენის სიმბოლიკა: შავი ვაშლი; ადამიანი კაპიუშონიან მოსასხამში; თავის ქალა; ნარშავა.

ტერიტორიული ნიშანი: მიწისკენ მიმართული სამკაპი თავის ქალიანი ტარით.

ფერი: შავი.

4. მცოდნე ბილიკი — ალემილენი

ეს ბილიკი დააარსა ბოშა როვენამ. ის ბავშვობიდან ესაუბრებოდა სულებს და გარშემო ხედავდა ნიშნებს, დაწყებული გარშემომყოფთა სიტყვებით და დამთავრებული ზეცის ჭკრეტით. ერთი რამ, რაც განასხვავებდა მას ნათელმხილველებისგან და მკითხავებისგან, იყო მისი ვამპირული მიდრეკილებები. როვენას შეეძლო დაენახა ნიშნები და მომავალი მაშინაც კი, როცა უბრალოდ იმყოფებოდა ადამიანის გვერდით ან ხის მიღმა. თავად მათ ის სასიცოცხლო ძალას ართმევდა, მაგალითად, მომავლის გაგების მსურველებს და იყენებდა მიღებული «საკვების» ნაწილს ისე, რომ ის იმყოფებოდა სივრცესა და დროს შორის. სხვა სიტყვებით, მას შეეძლო საკუთარი ძალის გამოყენება, როცა მიიღებდა სხვის ძალას.

საერთოდ კი ვამპირების უმრავლესობას უვითარდება შესაძლებლობა, დაინახოს თავის გარშემო ნიშნები, მაგრამ როვენამ მომთაბარე წლების მანძილზე გააუმჯობესა თავის შესაძლებლობები იმდენად მაქსიმალურად, რომ იცოდა, რა მოხდებოდა უახლოეს რამდენიმე წუთში! ამ გოგონას თავიდან უკვირდა, თუ რატომ არ შეეძლოთ მომავლის დანახვა მის მეგობრებს, როცა შესაძლებელი იყო ამდენად მკაფიო ინფორმაციის გამოტყუება. როვენას ბებიაშვილი კი, რომელიც იმ დროისთვის ცნობილი მკითხავი იყო, ვერ შეძლო ბევრი საკუთარი შესაძლებლობის განვითარება, ისეთების, როგორებიცაა ნათელმხილველობა, ნათლად გაგება სხვადასხვა ხმებისა, ფსიქომეტრია და სხვა მათი მსგავსი შესაძლებლობები, რომელსაც სრულყოფილად ფლობდა ახალგაზრდა ბოშა.

მცოდნე ბილიკით მოსიარულეები მანიპულირებენ წართმეული ენერჯიებით და არამართო იკვებებიან ამით, არამედ მიმართავენ საკუთარი შესაძლებლობების განვითარებისკენ. ბილიკი ალემილენი სპონტანურად ჩამოყალიბდა, თავად როვენა კი არ ფიქრობდა საკუთარი ოსტატობის გამოყოფას სხვებისგან. მაგრამ მოხდა ისე, რომ ვამპირებმა დაიწყეს თავიანთი ცოდნის სისტემატიზირება და სთხოვეს როვენას, გაერთიანებინა თავის სასიცოცხლო დანაზოგი და მათ საფუძველზე შეექმნა სრულიად ახალი ბილიკი, რომლითაც ამ დარგის ვამპირები შეძლებდნენ სვლას და ყველა თვისების განვითარებას. ასე შეიქმნა ბილიკი ალემილენი, ყველაფრის მხედველთა ბილიკი.



ალემილენის სიმბოლიკა: ორი თვალი, რომლებიც ბურუსისდან იმზირებიან; გაშვებული ხელისგული; ქარი.

ტერიტორიული ნიშანი: ბროლის ბურთი დიდი ამოტვიფრული ასო «A»-თი. ბურთის შიგნით ზოგჯერ ხატავენ ბურუსს, თავად ბურთის ქვემოთ კი — სამფეხა სადგამს.

5. ასტრალური ბილიკი — გვი-ერნა

პირდაპირაა დაკავშირებული საილუსის ბილიკთან. გვი-ერნა შექმნილი იქნა ელარბას შვილის — გარნერდის მიერ, ასე რომ ორივე ბილიკის ფესვები თავიანთ საწყისს ერთი წყაროდან იღებენ. მაშინ რატომ შეიქმნა გვი-ერნა?

ელარბას შვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შეეძინა, მაგრამ დროის გასვლის შემდეგ ვამპირის ცოლი ოჯახს გაურკვეველი მიზეზით ტოვებს და სადღაც ქრება. გარნერდი მამასთან ერთად რჩება და ხუთი წლის ასაკიდან იწყებს სამყაროს შეცნობას ელარბას თვალებით. ის ასევე ხედავს ძალას თავის გარშემო, მაგრამ ფიზიკური სამყარო ყოველწლიურად უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება ბიჭისთვის და ის საკუთარ თავში აღმოაჩენს შესაძლებლობებს, რომლებიც, მისივე თქმით, საშუალებას აძლევს, სიზმრები რეალობაში გააცოცხლოს. ანუ მან ისწავლა ასტრალში გასვლა. და როდესაც მან ეს პირველად გააკეთა, თავის სხეულში არნახული ძალით დამტკბარი დაბრუნდა. ის კიდევ და კიდევ იძირებოდა ასტრალურ სამყაროებში, რათა შეეგრძნო ძალების და ენერგიების ნაკადი. ხდებოდა, რომ ახალგაზრდას შეეძლო, მთელი კვირის მანძილზე წოლილიყო სადღაც კარავში უწყლოდ და საკვების გარეშე, გონებით კი ასტრალში ეხეტიალა. შემდეგ ის ძალებით სავსე ბრუნდებოდა. თითქოს არათუ უშიშმილია, არამედ, კარგად უკვებია და დაუსვენია!

გარნერდისთვის ასტრალი მეორე სახლად იქცა, რომელიც მას უზრუნველყოფდა საკვებითაც და დროის სასიამოვნოდ გატარებითაც. მან ნახევრად მკვრივი სახით სხვადასხვა არსებების გამოყვანაც კი ისწავლა ასტრალური სამყაროებიდან. მამა ამაცობდა საკუთარი შვილით და ხედავდა, რომ ის თავის გზით მიდიოდა.

ერთხელ კი თავად ელარბამაც ვერ შენიშნა, როგორ ესაუბრებოდა თავის შვილს, რომელმაც გამოიყენა ასტრალური პროექცია და მის წინ გაჩნდა როგორც ნამდვილი, რეალურად კი იდეალურად გამკვრივებული საკუთარი ასტრალური სხეულით! ჩანდა, რომ მის ძალას საზღვრები არ ჰქონდა და მამამ მიაწოდა იდეა, რომ გარნერდს შეექმნა თავის ვამპირთა გაერთიანება, რომლებსაც ისევე, როგორც მას, შეეძლოთ ასტრალის გამოყენება. ბიჭმა თავიდან უარყო ეს იდეა, თქვა, რომ არც ისე ბრძენია, რომ ალამუსებს გაუძღვს.

მაგრამ რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ გარნერდი მაინც ქმნის საკუთარ გაერთიანებას, რომელსაც არქმევს გვი-ერნას — ერთერთი ასტრალური ქალაქის სახელს, სადაც მას ყველაზე მეტად უყვარდა ყოფნა. და სწორედ იმ ქალაქში იკრიბებოდნენ ხშირად ასტრალურ ბილიკ გვი-ერნას წევრები. მსგავსი ტრადიცია შენარჩუნებულია ჩვენს დროშიც.



გვი-ერნას სიმბოლიკა: შავ-მოიისფრო მტრედი; კარი; გასაღებების აცმა; ბილიკი.

ტერიტორიული ნიშანი: უცნაური ფორმის გასაღები (მთავარია, გარკვევით ჩანდეს, რომ ეს გასაღებია და არა — აბსტრაქცია).

ფერი: ინდიგო.

6. მებრძოლი ბილიკი — დარბოჯი

შექმნილია სისხლიანი ბილიკის მიმდევრების მიერ. ამ ბილიკით მავალნი თავიანთ რიტუალებში ხშირად იყენებენ სისხლის ძალას, მაგრამ ყოველთვის არ ღვრიან მას. ლავარომის ბილიკისგან მათ განასხვავებთ გამოყენებული ენერჯის დიდი ნაირსახეობა. რიტუალებში ჭარბობს საბრძოლო მაგია და ხალხით მანიპულირების მაგია.

დარბოჯის შემქმნელი არის რამონი, ვალარდუსის მოსწავლე, რომელიც თავის მიზნების მისაღწევად მხოლოდ სისხლის გამოყენებაზე არ იყო თანახმა. მას მხარს ვალარდუსი უჭერდა და მიმართა თავის გამოცდილებას, რომლის მიზანიც იყო ძალის ანალოგიური წყაროს პოვნა, რომელსაც შეეძლო სისხლის შეცვლა და ასეთი წყარო ნაპოვნი იქნა. ის აღმოჩნდა ქარიშხლისა და ელვის ენერჯია, რომელიც რაღაცით მოგვაგონებდა ხეების ძალის სისხლის ენერჯიას. მსგავსი ენერჯიები ასევე ამარტივებდნენ ვამპირების მუშაობას ექსტრემალურ პირობებში, როცა საჭირო იყო იმ წამსვე რეაგირება დაყოვნების გარეშე. ახალი წყაროს მოპოვების კვალდაკვალ კი გაჩნდა ბილიკი დარბოჯი — ძალის ბრძოლა. რამონის მიმდევრებს, ისევე, როგორც თავად დამაარსებელს, წარმატებით შეეძლოთ თავიანთი ძალების მიმართვა საბრძოლო სახის მაგიაში, ისეთებში, როგორებიცაა ბრძოლის, წყევლის, მანიპულაციის, ცოტაოდენი სამკურნალო მაგია, ასევე სხვადასხვა არსებების გამოძახების მაგია.

ჩვენს დროში დარბოჯის მიმდევრები ცდილობენ, გააფართოვონ ენერჯეტიკული წყარო, მაგრამ ისე გამოდის, რომ სხვა, რამონის მიერ ნაპოვნი განსხვავებული წყარო, რომელიც გამოდგება საბრძოლო მაგიისთვის, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. «ჩვენი ძალა ბრძოლებშია!» — ამბობენ დარბოჯის წევრები. ისინი მიეჩვივნენ დინამიურ ენერჯიებს, რომლებიც მათ სხეულში ელვის მსგავსად გადის. ეს ალამუსები მოიხმარენ ენერჯიის კოლოსალურ რაოდენობას საპიენის — ბრძოლები ჯადოქრებთან ან სხვა კლანებთან — დროს. მასშტაბური ბატალიების დროს დარბოჯიელი ვამპირების ჯგუფს შეუძლია გარესამყაროს მასიურად გამოფიტვა, მაგრამ საბედნიეროდ, ასეთი რამ არ ხდება. ამის მაგივრად, თუ წარმოიშვა ომები, ეს ხდება პატარა ჯგუფებს შორის და დიდხანს არ გრძელდება.

დარბოჯის სიმბოლიკა: ორპირა ნაჯახი; უქარქაშო ხმალი; თანაბარგვერდებიანი ჯვარი.

ტერიტორიული სიმბოლო: ორპირა ნაჯახთან გადაჯვარედინებული ხმალი, ზოგჯერ ცეცხლის ფონზე.

ფერი: იისფერი.



7. მკურნალი ბილიკი — იტლიატა

გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოს. მისი დამაარსებელი ცუი გი ში ცნობილი მკურნალი იყო აღმოსავლეთ აზიიდან, რომლის ფესვებიც სათავეს იღებს რუმინეთში. მისი ნამდვილი სახელი არავინ იცის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მას დაახლოებით ათი სახელი ჰქონდა, რომლებითაც ის სარგებლობდა სიტუაციის მიხედვით. ყველაზე ხშირად ის წარსდგებოდა როგორც მკურნალი ცუი ან ალამუსი მისაი.

მისაიმ მთელი თავის გაცნობიერებული ცხოვრება მიუძღვნა ავადმყოფობების შესწავლას, მათი წარმოშობის მიზეზებს და განკურნების საშუალებებს. ყველაზე დიდ ყურადღებას ის ენერგეტიკულ მკურნალობას უთმობდა. და რაც მან შეამჩნია, იყო ის, რომ ხშირად, როდესაც ვინმეს ავადმყოფობას ამორებდა, თავად სულის სიღრმეში სიამოვნებას იღებდა. მისაიმ დაიწყო მოშორებული ავადმყოფობის გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის და მიხვდა, რომ შესაძლებელი იყო მისი გარდაქმნა თავის სასარგებლოდ.

მან გამოიტანა დასკვნა, რომ ადამიანის ნებისმიერი ენერგია ნებისყოფისა და შეგნების საშუალებით შეიძლება გარდაიქმნას ენერგიად, რომელიც იკვებება სასიცოცხლო ძალებით, რადგანაც ენერგია ერთიანია. ხოლო როგორ იყენებენ მას, დამოკიდებულია თითოეულ ალამუსზე. მისი გამოცდილების შედეგად ქვეყანას მოევლინა ვამპირთა ბილიკი იტლიატა — «გარდასახვა». იტლიატას მიზანია, მიიღოს ავადმყოფობის ენერგია და გარდაქმნას გამოსაყენებლად ვარგისი ნებისმიერი სახის ენერგიად საკუთარი მიზნების მისაღწევად. უმეტესად კი იტლიატას ვამპირებს უფრო მეტი სარგებელი აქვთ ავადმყოფებისგან, ვიდრე ავადმყოფებს — ალამუსებისგან.

იტლიატას სიმბოლიკა: წითელი ცხარე წიწაკის ჩენჩო; გაშლილი ხელისგული, სადაც სამი თითი (არათითი, შუათითი და საჩვენებელი თითი) გასწორებულია, ნეკა თითი გვერდითაა გაწეული, ცერა თითი კი კი იხრება ხელისგულის ცენტრისკენ; აალებული სანთელი.

ტერიტორიული ნიშანი: თანაბარგვერდებიანი ჯვარი უსასრულობის ორი გადაჯვარედინებული სიმბოლოთი.

ფერი: ყვითელი.

8. მწვანე ბილიკი — ისვიალი

ბილიკი «დრუიდი-ვამპირებისა», ანუ ალამუსებისა, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთხემოქმედებენ ბუნებაზე. სწორედ ბუნების ენერგია შერწყმული კოსმოსის ენერგიასთან წარმოადგენს ბუნებრივ წყაროს უბრალო ადამიანის დახარჯული ძალების შესავსებად. მაგრამ ვამპირები ადამიანებისგან განსხვავებით ხელოვნურად იღებენ ენერგიას ამა თუ იმ ტიპისა და ხარისხის მცენარეებისგან. ადამიანი ინტუიციურად იზიდავს ყველაფერს, როდესაც აღმოჩნდება, მაგალითად, ტყეში. ისვიალის ვამპირები ნამდვილი გურმანები არიან: ერთს გამორჩეულად უყვარს არყის ხით კვება, მეორეს — მხოლოდ წიწვოვნებით, მესამეს კი — ბალახებით, მაგრამ მწვანე ბილიკით ყოველი მავალი ცხოვრობს ბუნების ხარჯზე. «მწვანე» ვამპირებს შორის უმეტესობა ბალახეულის



მცოდნეა, თუმცა, არიან ასევე უბრალოდ ბუნების ძალების მირთმევის მოყვარულები.

ისვიალის ბილიკის დამფუძნებელი არის დალიმირი, ვამპირი სლავური ფესვებით. ბილიკი დაარსდა XVIII საუკუნის ბოლოს. მართალია, მანამდეც იყვნენ ვამპირები, რომლებიც იკვებებოდნენ ბუნების ენერჯით, მაგრამ მთელი ცოდნის სისტემატიზირება და გაერთიანება ერთ ბილიკში ყველა «მწვანეთა» შორის შეძლო სწორედ დალიმირმა. ამბობენ, რომ მან არ იცოდა, თუ რომელი ბალახი რას კურნავდა, ის უბრალოდ გადიოდა მინდორზე ან ტყეში და ესაუბრებოდა მწვანე თანამომძიებებს, ისინი კი მას ურჩევდნენ, თუ რომელი ბალახი დაეკრიფა, რომელი ფოთლები შეეგროვებინა... ხანდახან კი მინდორზე ავადმყოფთან ერთად გადიოდა და ისინი ერთად მიდიოდნენ, სანამ დალიმირი არ იპოვნიდა ბალახს, რომელიც თავის აურით აგონებდა პაციენტის აურას. ახლა უკვე მსგავსი საშუალებით ისვიალის ვამპირებიც აგროვებენ ბალახეულს და ამზადებენ მათთვის, ვისთვისაც ის აუცილებელია.

«ჩვენ ვცხოვრობთ ბუნებაში, ბუნება კი უნდა ცხოვრობდეს ყოველ ჩვენგანში» — ამბობდა დალიმირი, რომელიც ამით ხსნიდა თავის სწრაფვას მცენარეული სამყაროს ენერჯით კვებისგან.

ისვიალის სიმბოლიკა: მუხა, ლელქაში, გვიმრა.

ტერიტორიული ნიშანი: რკო მუხის ფოთლის ფონზე ან მის გარეშე.

ფერი: მწვანე.

9. ქვის ბილიკი — ტრამარი

მტკიცე ხასიათის და სულით მოუდრეკავი ვამპირების ბილიკი. თავად ვამპირები, რომლებიც მიდიან ტრამარის გზით, ჰგვანან ქვებს, რომელთა ენერჯითაც ისინი იკვებებიან. მინერალების სამყარო ამ ალამუსებს აძლევს საკვების უსაზღვრო მარაგს, რომლითაც ცოტა თუ იკვებება. ისე მოხდა, რომ «ქვის» ვამპირები ყველა დროში არც თუ ისე ბევრნი იყვნენ, მაგრამ თუ ასეთები ჩნდებოდნენ ბილიკზე, ტრამარელების უმეტესობა ძალიან ძლიერი მანიპულატორი ხდებოდა.

ბილიკი შექმნილი იქნა ერთერთი შუა საუკუნეებში მცხოვრები ალქიმიკოსის მიერ, რომლის გამოცდილებაც ეხებოდა ქვების ძალას. ამ ალქიმიკოსს უწოდებდნენ ვერიქიუსს. ის სიკვდილამდე მარტოსული და განდევილი იყო. მართალია, მან მოაგვინა ქვეყანას ბილიკი ტრამარი, მაგრამ პირადად ის მთელი თავის ცხოვრების მანძილზე მოძღვრავდა მხოლოდ ორ ვამპირს, რომლებმაც შემდეგ გააგრძელეს გაფართოება ცოდნის მაძიებელთა შორის. შესაძლებელია, თავდაპირველად არსებულმა მცირე რაოდენობით მიმდევრებმა იქონიეს გავლენა ამ ბილიკის მომავალ განვითარებაზე.

ვერიქიუსი თვლიდა, რომ ქვები მიწის ნაწილები იყო, რომელიც, სადაც არ უნდა ყოფილიყო მისი «ძვლები», მუდმივად კვებავდა მათ ძალით. უძველესი ძალა კი, რომელიც მოთავსებული იყო მინერალებში, ვამპირებს ფილოსოფიური აზროვნების და ინტელექტის განვითარებაში ეხმარებოდა. ქვის სიმყარე, მისი უხეში, სწორი და ლოკოკინასავით ნელი ენერგეტიკა ქვებით მკვებავებს



ასაჩუქრებდა ხასიათის სიმტკიცით, აზროვნების სისწორით და გონიერებით. ითვლება, რომ ზოგიერთ ასპექტში (ინტელექტის, სიბრძნის და ფილოსოფიის) ბილიკი ტრამარი და ბილიკი სილემა ერთმანეთს ძალიან ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ისინი ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი, როგორც პირველი სამი ბილიკი და მათი განშტოებები.

ქვის ბილიკი, რომელსაც იყენებენ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, ავსებს მას დაურღვეველი წესრიგით და სისწორით. ქვების მაგია ჰგავს უზარმაზარ ტარანს, რომელიც ანგრევს ყოველივეს თავის მიზნის მიღწევის გზაზე როგორც მშვიდობის, ასევე ბრძოლების დროს. თავის საბრძოლო დარგში ტრამარი ჰგავს დარბოჯის, მაგრამ ძირითადად განსხვავდება მისგან

ტრამარის სიმბოლიკა: რიყის ქვა; ხელი, რომლიდანაც წვრილი ქვები იბნევა; ქვიშის საათი ქვიშის გარეშე.

ტერიტორიული ნიშანი: ფერფლისფერი კვადრატი ან რომბი ცენტრში ასოთი «T», ან ქვიშის საათი პატარა ქვებით.

ფერი: ფერფლისფერი.

10. დაწული ბილიკი — ფელმორი

ამ ბილიკით მიდიან არტეფაქტების ოსტატები, მათ შორის ამულეტების, ავგაროზების და სხვა ხელნაკეთი ნივთების, რომლებიც გამოიყენება მაგიურ სამყაროში. ფელმორის ბილიკით მავალი ვამპირი თავის ცხოვრებით ჩაძირულია ენერჯის წნულებსა და ნაქსოვებში, რომელიც მისთვის გახსნილია. ფელმორის მაგია არის ნაკადების მაგია, რომლებსაც ხედავს და თავის მიზნებისთვის იყენებს ალამუსი. ერთადერთი მინუსი დაწული ბილიკისა არის ფიზიკურ ობიექტებზე მიჩვევა, რომლებშიც ხდება ენერჯის დაგროვება გარესამყაროდან. თუმცა, მიუხედავად არტეფაქტებზე მსგავსი დამოკიდებულებისა, ფელმორის ვამპირებს შეუძლიათ უზარმაზარი ცვლილებების შეტანა გარე სამყაროში, ზოგს მომენტალურად, ზოგს კი — დროის გასვლის შემდეგ.

დაწული ბილიკი დაფუძნებული იქნა ვამპირესა უდვიანას მიერ. ყველაფერი თივის საბავშვო თოჯინების დაწვნით დაიწყო, რომლებიც, როგორც უმტკიცებდა პატარა უდვიანა თავის თანატოლებს, საუბრობენ მასთან და ეხმარებიან სირთულეების დროს. გოგონას ჰქონდა თოჯინები გასასეირნებლად, თოჯინები, რომლებსაც შეეძლოთ განკურნება, «გასართობი-თოჯინები», რომლებიც ესაუბრებოდნენ და ამხიარულებდნენ მათ მფლობელს... თოჯინების კვალდაკვალ გოგონამ დაიწყო ნაკეთობების შექმნა ხისგან, რომლებიც, როგორც მისი თოჯინები, ენერგეტიკულად კორექტირებდნენ კონკრეტული მიზნით, რომლის მიღწევაც სურდა ახალგაზრდა ვამპირესას.

უდვიანა ამბობდა, რომ მის გარშემო არსებულ სივრცეში, საკმარისია, მას მხოლოდ გაეფიქრებინა, იმ წამსვე იწყებოდა მოხერხებული წნულების დაწვნა. ის «იჭერდა» ამ წნულებს და «აკერებდა» თავის ქმნილებებს, ამით მათ ანიჭებდა განსაზღვრულ ენერგეტიკას და ხასიათსაც კი. ასე, წლიდან წლამდე, გოგონა თამაშ-თამაშით ქმნიდა წნულებისა და არტეფაქტების მთელ მეცნიერებას, რომლებიც იქცნენ დაწული ბილიკის შექმნის ფუნდამენტად. ფელმორი — ასე



უწოდებდა თავის ცოდნას გოგონა იმის გამო, რომ ეს სიტყვა მას უჩურჩულა ერთმა «ბრძენმა» თოჯინამ, რომელთან უდვანა ხშირად ურთიერთობდა, როდესაც იწვა ბალახზე და თვალები დახუჭული ჰქონდა. «ფელმორი» ნიშნავს «დაწვნას».

ითვლება, რომ უდვანა ასაკით ყველაზე უმცროსი ბილიკის დამფუძნებელია სხვა ვამპირებთან შედარებით, რომლებიც ქმნიდნენ ბილიკებს. მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი გოგონასთვის, რომ შეექმნა ძლიერი და სხვა ბილიკებისგან დამოუკიდებელი მიმართულება ალამუსების მაგიაში.

ფელმორის სიმბოლიკა: თოკი სამი კვანძით ან ერთი მარყუქით; თვალი; დაწული თოჯინა.

ტერიტორიული ნიშანი: ობობა (ხშირად ქსელში), ხანდახან ობობის მუცელზე ხატავენ მარადისობის ნიშანს.

ფერი: ყავისფერი.

11. სტიქიური ბილიკი — მეკამა

უზარმაზარი ბილიკია და ზოგჯერ პატარა ბილიკებად იყოფა, რომლებიც მიანიშნებენ ალამუსების ერთ სტიქიაში შეზღუდვას. როგორც სახელწოდებიდან შეგვიძლია გამოვიცნოთ, ამ ბილიკმა შეკრიბა ყველა ვამპირი, რომლებიც იკვებებიან სტიქიური ენერგიით: ცეცხლით, წყლით, მიწით, ჰაერით და მათი კომბინაციებით, და მართავენ მათ. მეკამას მიყვებიან ისინი, ვინც საკუთარ თავში იპოვნა სტიქია და სტიქიაში იპოვნა საკუთარი თავი. ქარიშხლის, წვიმის, ქარბუქის, ხანძრის, დიდთოვლობის, სეტყვის და სხვა სტიქიური მოვლენების ძალა ატარებს ბუნების ძლიერ მუხტს, ხშირად ცალმხრივს და პირდაპირ ენერგიას. ამ ძალით კი მეკამას ბილიკის ყველა ვამპირი იკვებება.

ბილიკის დამაარსებელია სიმურა — განდეგილი, რომელმაც მრავალი წელი იცხოვრა მთებში და ტყეებში და ურთიერთობდა ბუნებასთან. განდეგილობის წლებში მან ისწავლა სასიცოცხლო ძალების გამოყოფა სტიქიებისგან, თუნდაც რომ ნახევრად უდაბურ ადგილას ყოფილიყო, სადაც საკვების მოპოვება თითქმის არარეალური იყო. ხეტიალის დროს სიმურას შეეძლო, ათი დღის მანძილზე არაფერი ეჭამა, მაგრამ ამავდროულად სად გონებაზე და ძლიერად ყოფილიყო. ის ამბობდა, რომ მისი სხეული იმდენად გარდაიქმნა, რომ უარს ამბობდა უხეში საკვების მიღებაზე და თავის უკმაყოფილებას გამოხატავდა ორგანოების მუშაობის სხვადასხვა დარღვევებით. თუმცა, როგორც არ უნდა ყოფილიყო, სიმურა კვირაში 2-3-ჯერ იკვებებოდა მცენარეული საკვებით. «არ ვიცი რატომ, მაგრამ მე მუდმივად მსურს რამის ღეჭვა, შეიძლება, ეს ძველი ჩვევაა ან იქნებ, მე ვარ ასე მოწყობილი? მაგრამ გეუბნებით, რომ ეს არანაირად მიშლის ხელს სტიქიით კვების პრაქტიკაში...» — ამბობდა განდეგილი სიმურა.

ბევრი მოგზაური ბერი, რომლებიც ცხოვრებაში შეხვედრიან სიმურას, სთხოვდნენ მას, ესწავლებინა მათთვის ვამპირის ხელოვნება, რათა მიეღოთ და ემართათ სტიქიის ძალები, და განდეგილი თანხმდებოდა, ეხმარებოდა ძლიერ სულებს, მეკამას გზაზე დამდგარიყვნენ.

ჩვენს დროშიც ასევე შეიძლება, შევხვდეთ მეკამას ბილიკით მავალთ — «ვერცხლისფერი ნაფცქვენის» გზით (სიმურა ხშირად ასე აღწერდა ბევრი სტიქიის



ენერგიას) — ისინი ატარებენ მთელ თავისუფალ დროს ბუნებაში, სახლის კედლების გარეთ. სტიქიური ბილიკის ზოგიერთი მიმდევარი კი ემსგავსება სიმურას და დიდხანს ცხოვრობს საზოგადოებისგან განცალკევებით, დედამიწის შორეულ კუთხეებში, ცივილიზაციისგან შორს. მეკამაელებს შეუძლიათ სტიქიის ენერგიის მიმართვა ნებისმიერი მიზნისკენ, მაგრამ ყველაზე ადვილად გამოსდით მისი მიმართვა განადგურებისკენ და თვითგაუმჯობესებისკენ, სხვა მიმართულებები საკმაოდ რთულად იხსნება სტიქიური ძალის მფლობელთათვის.

მეკამას სიმბოლიკა: ცეცხლოვანი გრიგალი; ელვა; ქარიშხალი.

ტერიტორიული ნიშანი: ელვა, რომელიც ეცემა ხეს ან მუჭში დაჭერილი ელვა.

ფერი: ვერცხლისფერი.

12. შთანმთქმელი ბილიკი — ჯარმუჯი

პირდაპირი შტოა მკვდარი ბილიკი ნურნენისა. ითვლება, რომ ნურნენი და ჯარმუჯი ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ორივე დაკავშირებულია ადამიანის ენერგეტიკასთან, უბრალოდ პირველი იკვებება მკვდარი ძალით, მეორე კი — ცოცხალით. ჯარმუჯი საჭიროებს ცოცხალ ადამიანებს, ნურნენი კი დაკავებულია მკვდრებით.

შთანმთქმელი ბილიკი შექმნეს ძმებმა, რომელთა მაგიური სახელები იყო ასტრი და მაალონი. ეს ბილიკი ითვლება თანამედროვე ვამპირებისთვის ფუძემდებლად, რადგან ჯარმუჯიში ძირითად «საკვებ პროდუქტს» წარმოადგენს ცოცხალი ადამიანის ენერგია, ჩვენს დროში კი უმეტესობა ისეთი ვამპირია, რომლებიც მხოლოდ ხალხს მიირთმევენ.

ასტრმა და მაალონმა თავდაპირველად გარშემო ალამუსები შემოიკრიბეს. შემდეგ კი ქმნიდნენ ბილიკს და პრაქტიკაში ახალ მეთოდიკებს ცდიდნენ ყველასთან ერთად. მთავარი შთანმთქმელ ბილიკში არის სრული ერთგულება მისი ძმებისა და დების მიმართ, ასევე პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე. მოღალატეებს სასტიკად სჯიდნენ, ხანდახან სიცოცხლესაც ასალმებდნენ. ძმები მიზანსწრაფულები და ერთგულები იყვნენ თავიანთი იდეებისა, მათი იდეალების წინააღმდეგ აღმართულებს ისინი მკვდართა ქვეყანაში ისტუმრებდნენ. ისინი თავად იყვნენ, როგორც ორი შთანმთქმელი ტუჩი, რომელიც თავის სხეულში გარშემომყოფი ადამიანების ძალას იწოვს. ძალიან იშვიათად იტანჯებოდა სერიოზულად ვინმე მათი «შიმშილის» გამო, ხოლო რომლებიც იტანჯებოდნენ, იყვნენ მტრები — ძმები უკანასკნელ წვეთამდე «სვამდნენ», აშრობდნენ და ართმევდნენ სასიცოცხლო ძალებს.

საიდან გამოჩნდნენ ძმები, არავინ იცის. ისინი ყოველთვის ხუმრობდნენ, რომ მთვარიდან ჩამოვარდნენ.

ჯარმუჯის სიმბოლიკა: ეშვები; რუხი ღრუბელი; ამოტრიალებული ცარიელი ბოკალი; ჩამქვრალი სანთელი გრძელი შავი ფიტლით.

ტერიტორიული ნიშანი: ყბა ეშვებით, ან ვამპირის ეშვები რომბის ფონზე (ზოგჯერ ორად გაყოფილი რომბი, გაფერადებული ჯარმუჯის ფერებით).

ფერი: ოქროსფერი და წითელი.



13. შენახული ბილიკი — სილემა

ბილიკი შექმნილია დალიმურენ ბრძენის მიერ. ამ ალამუსმა მთელი ცხოვრება გაატარა, როგორც ბიბლიოთეკის მსახურმა, იცავდა თანამომძეებთან ერთად ცოდნას და ისტორიას ვამპირების შესახებ. მხოლოდ მოხუცებულობის ჟამს დაკავდა სერიოზულად ბილიკ სილემასთვის ცოდნის სისტემატიზირებით. დალიმურენი მიხვდა, რომ ვამპირებს შორის უნდა არსებულიყო ბილიკი, ძმები და დები, რომლებიც შეინახავდნენ წინაპრებისგან მიღებულ ცოდნას და დამუშავებულ რიტუალები.

შენახული ბილიკით, როგორც თქვენ, ალბათ, გამოიცანით, მიდის ვამპირი, რომელიც უმეტესად იყენებს ინტელექტს. ასეთ ალამუსებს შეუძლიათ, ადვილად მართონ მენტალური სამყარო, დაამსხვრიონ გონების ციხე-სიმაგრეები, წაიკითხონ სხვების აზრები და ჩაატარონ ჰიპნოზური ტრანსები. სილემა თავის მიმდევრებს ანიჭებს უსაზღვრო სივრცეს ცოდნის ჩასაწერად იმ ვამპირებისთვის გადაცემის მიზნით, რომლებიც ინფორმაციას საჭიროებენ. თუ მთელ დღეს დაფიქრების გარეშე გაატარებენ, ასეთი ალამუსები ემსგავსებიან ზომბის, რომელსაც მთელი კვირის მანძილზე არ უკვებია. ისინი ძალიან არიან მენტალურ სამყაროზე დამოკიდებულნი, მაგრამ მაინც ამ ბილიკით მიდიან — ბილიკით, რომელიც ძალიან დასაფასებელია ალამუსების მიერ; რადგან თუ არ იქნებოდა ცოდნა, არ იქნებოდა ყველაფერი ის, რასაც იყენებენ ჩვენს დროში ალამუსები.

სილემას სიმბოლიკა: სქელი წიგნი ცენტრში პენტაგრამით; ხელისგულებით გამოსახული პეშვი; ქვიშის საათი გადაწული გველების ფორმით.

ტერიტორიული ნიშანი: გველი, რომელიც თავის კუდს კბენს.

ფერი: მწვანე და ცისფერი.

თქვენს წინაშეა არჩევანი: წახვიდეთ ერთი ბილიკით თუ თავდაპირველად თავი გამოსცადოთ სხვადასხვა ბილიკებზე, სანამ ზუსტად არ განსაზღვრავთ საკუთარს. მაგრამ სულერთია, რომელ ბილიკს გაყვებით, მთავარია, რომ ის იყოს გზა თქვენი გულისკენ, ჩემო ძმებო და დებო. დადექით ბილიკზე და გაყევით მას, არ გადაუხვიოთ სიკვდილამდე, თუ ასეთი რამ საერთოდ მოვა თქვენთან. გახდით ჭეშმარიტი ვამპირი და იყავით ბრძენი მიმდევარი. დაე, თქვენთან იყოს ძალა!



სიბრძნის გზაზე, შესამლოა, არაა საფრთხე სასიკვდილოზე მეტი, არაა შხამი მომწამვლელზე მეტი, და ცდუნება მცირე, ვიდრე სულიერი სიამაყე, მზესავით ნათელი, ის მოქმედებს პირდაპირ გულში, ამის გარდა, ის იძრდება და აძლიერებს ეგოს, ამიტომ მის მსხვერპლს შავ გუბებში ჩავარდნისა და სამუდამოდ იქ დარჩენის საფრთხე ემუქრება.

ეს საფრთხე შეუძლია მოსპოს ორმა ანტიდოტმა:

საღმა აზრმა და იუმორის გრძნობამ.

როცა გამოფიტული წევხარ ვიშვარუპადარშანის შემდეგ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ «ახლა ყველაზე წმინდა ადამიანი ვარ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ჯონ მ. ყოტკინსის შემდეგ», ჯობია გაიხსენო სიტყვები საკმაოდ სკეპტიკური მსაჯულისა «წმინდა ტუპიკში», ა. პ გერბერტის, მან მათგან მანტრა შექმნა:

«გეუბნებით თქვენ—

გეუბნებით თქვენ—

გეუბნებით თქვენ—

გაიგრილეთ თავი».

ალისტერ ვროული,

»მაგია ცრემლების გარეშე«, თავი 44